

# სამოქმედო კვლევის სახელმძღვანელო

წიგნი I

სამოქმედო კვლევის  
თეორიული საფუძვლები

თბილისი 2018

ავტორი: **დავით ლიპარტელიანი**

რედაქტორები: **თამარ მოსიაშვილი**  
**სიმონ ჯანაშია**

ტექსტის რედაქტორი: **თამარ ჩხაიძე**

© სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი

ISBN 978-9941-9544-9-8

## შინაარსი

---

შესავალი	5
სამოქმედო კვლევა სკოლებში	7
სამოქმედო კვლევის უპირატესობები	12
სამოქმედო კვლევის ეტაპები	15
დიაგნოსტიკების ეტაპი	15
მკვლევართა ჯგუფის შექმნა	16
საკვლევი კითხვის ჩამოყალიბება	18
ლიტერატურის მიმოხილვა	21
პრობლემის შესწავლა	22
მონაცემთა შეგროვების ხერხები	23
ანკეტირება	23
დახურული კითხვები	24
ღია კითხვები	27
კითხვარის ფორმატი	31
კითხვარის პილოტირება	32
ინტერვიუ	35
ინტერვიუს ჩატარება	40
ფოკუს ჯგუფები	42
დოკუმენტების შესწავლა	44
დაკვირვება	48
შერჩევის ტიპები	55
ალბათური შერჩევა	56
მარტივი შემთხვევითი შერჩევა	56



სისტემური შერჩევა	56
სტრატეგიული შერჩევა	57
ხელმისაწვდომი შერჩევა	58
მიზნობრივი შერჩევა	59
ზვავისებრი შერჩევა	60
მოხალისეთა შერჩევა	61
მონაცემთა ანალიზი	62
თვისებრივი მონაცემების ანალიზი	63
რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი	65
დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადები	71
<b>თერაპიის ეტაპი</b>	74
ინტერვენციის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება	75
სამოქმედო კვლევის ანგარიშის მომზადება	77
სამოქმედო კვლევის ანგარიშის სტრუქტურა	81
სამოქმედო კვლევის ანგარიშის ფორმატი	86
<b>ეთიკური საკითხები სამოქმედო კვლევაში</b>	87
<b>სამოქმედო კვლევა უმაღლესი</b>	
<b>საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამაში</b>	97
<b>ბიბლიოგრაფია</b>	106



## შესავალი

---

ბოლო წლებია, საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში აქტიური გახდა სამოქმედო კვლევა, რომელსაც ასევე მოიხსენიებენ როგორც „პრაქტიკულ კვლევას“ ან „პრაქტიკის კვლევას“. ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში სამოქმედო კვლევის დანერგვა 2009 წლიდან დაიწყო, როდესაც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში USAID-ის ხელშეწყობით ორწლიანი სამაგისტრო პროგრამა „განათლების ადმინისტრირება“ შეიქმნა. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურები, ძირითადად სკოლის მასწავლებლებთან ან/და ადმინისტრაციასთან ერთად, სამოქმედო კვლევის საშუალებით არაერთ სკოლაში ახერხებდნენ არსებული პრობლემების გადაჭრას, სასკოლო კულტურის ცვლილებას ან რაიმეს გაუმჯობესებას. სწორედ ამ პროგრამის სტრუქტურებთან ერთად საქართველოში პირველად განხორციელდა სამოქმედო კვლევა.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 2015 წელს დამტკიცდა **„მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“**, რომელშიც გათვალისწინებული იყო სამოქმედო კვლევის კომპონენტი. სქემის მიხედვით, მასწავლებლებს, სამოქმედო კვლევის განხორციელების შემთხვევაში, შესაძლებლობა აქვთ დააგროვონ კრედიტები, რაც დაეხმარება მათ სქემით განსაზღვრული კატეგორიის ამალგებაში. ამ ფაქტმა კიდევ უფრო შეუწყო ხელი სკოლებში სამოქმედო კვლევების განხორციელებას. საქართველოში უკვე არსებობს სკოლები, რომელთა თანამშრომლები ცდილობენ კვლევის საშუალებით გააუმჯობესონ სასკოლო ცხოვრება. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მასწავლებლები თვლიან, რომ სჭირდებათ მეტი ცოდნა და კომპეტენცია კვლევის დაგეგმვისა და განხორციელებისათვის. გარდა სკოლებისა, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც შეიმჩნევა სამოქმედო კვლევით დაინტერესება. მომავალი მასწავლებლების მოსამზადებელი პროგრამების პროფესორ-მასწავლებლები ცდილობენ მეტი ცოდნა მიიღონ კვლევის ამ მეთოდოლოგიის შესახებ. 2016-2017 წლებში, ევროკავშირის დაფინანსებით, World Vision Georgia-სა და „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის“ მიერ განხორციელებული პროექტის – „სკოლის ახალგაზრდული ჯგუფების მხარდაჭერა ეფექ-

ტური და მდგრადი გადანაცვტილებებისათვის“ ფარგლებში, საქართველოს ექვსი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა გაიარეს სამეტაპიანი ტრენინგი სამოქმედო კვლევის განხორციელებასა და საუნივერსიტეტო პროგრამებში დანერგვასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ამ უნივერსიტეტების 24 სტუდენტის მიერ საქართველოს 36 სკოლაში, მოსწავლეებთან ერთად განხორციელდა სამოქმედო კვლევები. ზემოთ აღნიშნული საჭიროებებისა და ინტერესებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, არსებობდეს სახელმძღვანელო, რომელიც დაეხმარება დაინტერესებულ პირს, დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს სამოქმედო კვლევა. აღნიშნული სახელმძღვანელო გამოადგება როგორც მასწავლებლებს, ასევე სკოლის ხელმძღვანელ პირებს, რომლებსაც სურთ დაგეგმონ და განახორციელონ კვლევაზე დაფუძნებული პოზიტიური ცვლილებები საკუთარ პრაქტიკაში. ამგვარი ცვლილებები გამოყარებულია ფაქტებით და არა სავარაუდო ან თუნდაც პროფესიული პრაქტიკის შედეგად მიღებული გამოცდილებით. სახელმძღვანელო ასევე გამოადგებათ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამის ხელმძღვანელებს, სამოქმედო კვლევის საგანმანათლებლო პროგრამებში ინტეგრაციისათვის და სტუდენტებს, რომლებიც გეგმავენ სამოქმედო კვლევის განხორციელებას.

წიგნში განხილულია საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში განხორციელებული კვლევები. სწორედ ამ კვლევების განმახორციელებლებთან საუბრებისა და მსჯელობის შედეგად, შემუშავებულია ის რეკომენდაციები, რაც კვლევის ჩატარების მსურველს დაეხმარება კვლევის განხორციელების დროს წარმოშობილი წინააღმდეგობების გადალახვაში. სახელმძღვანელოში ასევე, აღწერილია კვლევის განხორციელების ეტაპები და თითოეულ ეტაპზე გასათვალისწინებელი მნიშვნელოვანი საკითხები. მკითხველი დამოუკიდებლად დაგეგმავს და განახორციელებს სამოქმედო კვლევას, რეკომენდაციები კი გაუადვილებს პედაგოგსა და სტუდენტს სამოქმედო კვლევის ჩატარებას. სახელმძღვანელო იმითაა გამორჩეული, რომ მკითხველს სთავაზობს იმ მაგალითებს, რომლებიც შეესაბამება ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ გამოწვევებს და მორგებულია ქართულ რეალობას.

## სამოქმედო კვლევა სკოლებში

---

სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს ყოველდღიურად უნევს გადაწყვეტილების მიღება. მასწავლებლები და სკოლის ხელმძღვანელები ცდილობენ დასახონ ისეთი გეგმები, რომლებიც განავითარებს სასკოლო ცხოვრებას, გააუმჯობესებს მოსწავლის განათლებას. ალბათ ყველა მასწავლებელს უკითხავს საკუთარი თავისთვის: რა უნდა გავაკეთო, რომ ჩემს მოსწავლეებს უკეთესი შედეგები ჰქონდეთ? ან რა უნდა გავაკეთო რომელიმე მოსწავლის ან კლასის ქცევის შესაცვლელად? როგორ გავზარდო მოსწავლეთა ინტერესი და მოტივაცია ჩემს საგანში. სკოლის დირექტორებს აქვთ კითხვები: როგორ დავგეგმოთ სასწავლო გარემო, რომ თანამშრომლების მოტივაცია გაიზარდოს და მათი მუშაობა იყოს ეფექტიანი? რა ხერხებით გავზარდოთ მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება? როგორ შევადგინოთ საათობრივი ბაღე? ხომ არ არის საჭირო რომელიმე საგანში ან კლასში საათების გაზრდა? როგორ მივიღოთ ეს გადაწყვეტილება? რა მონაცემები მომცემს შედეგის მეტნაკლებად ზუსტი პროგნოზირების საშუალებას?

ხშირად მრავალწლიანი გამოცდილების მქონე მასწავლებლები და სკოლის ხელმძღვანელი პირები, გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობიან საკუთარ გამოცდილებას და ასე გეგმავენ მომავალს, ან რეაგირებენ სიტუაციაზე. ისინი ავტომატურად რეაგირებენ მოვლენებსა და პროცესებზე. მაგრამ, საკმარისია მხოლოდ გამოცდილება ეფექტიანი გადაწყვეტილების მისაღებად? ხომ არ არსებობს უკეთესი გადაწყვეტილება? და თუ არსებობს, როგორ უნდა მივიღოთ ამ გადაწყვეტილებამდე?

*თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის დირექტორმა და მასწავლებლებმა გადანყვიტეს ვაეუმჯობესებინათ ვაკვეთილების დაგეგმვისა და განხორციელების პრაქტიკა. დირექტორი რამდენიმე წელი ხელმძღვანელობდა სკოლას. მისი ინიციატივით სკოლაში დაინერგა კურიკულუმებსა<sup>1</sup> და საგაკვეთილო გეგმებზე მუშაობის პრაქტიკა. რამ-*

---

1 სასწავლო წელზე გათვლილ საგნობრივ პროგრამას, იმ დროს სკოლის თანამშრომლები კურიკულუმად მოიხსენებდნენ.

დენიშე ხნის შემდეგ, სკოლის დირექტორმა ჩათვალა, რომ არსებული პრაქტიკას გაუმჯობესება სჭირდებოდა. სკოლაში კურიკულუმისა და საგაკვეთილო გეგმების სტრუქტურა რამდენჯერმე შეიცვალა. თავდაპირველად მასწავლებლები წერდნენ მთელ სასწავლო წელზე გათვლილ კურიკულუმს, შემდეგ გადაწყდა, ერთკვირიანი გეგმები შეემუშავებინათ, ბოლოს კი, ყოველდღიურ საგაკვეთილო გეგმებს ამზადებდნენ და გეგმის შესაბამისად წარმართავდნენ გაკვეთილებს.

დირექტორმა აღმოაჩინა, რომ გეგმების მომზადება ფორმალურ ხასიათს ატარებდა. მასწავლებლებისთვის მათი ყოველდღიურ პრაქტიკაში გამოყენება მოუხერხებელი იყო. მან გადაწყვიტა, ვარაუდზე დაფუძნებული ცვლილების ნაცვლად, პრობლემა გადაეჭრა მისი საფუძვლიანი შესწავლის გზით. ამასთან ერთად, პრობლემის გადაწყვეტაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ მასწავლებლებს. სკოლამ მიიწვია მკვლევართა ჯგუფი უნივერსიტეტიდან. მკვლევართა ჯგუფი შედგებოდა სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისგან, რომლებსაც კონსულტაციას უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები უწევდნენ. შეიქმნა კვლევის ჯგუფი, სადაც გაერთიანდნენ სკოლის დირექტორი, მასწავლებლები და სტუდენტები. მათ გადაწყვიტეს შეესწავლათ სკოლაში არსებული საგაკვეთილო გეგმების წარმოებასა და შესრულებასთან დაკავშირებული სირთულეები, მოეძებნათ პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზები. მათი მიზანი იყო ისეთი საგაკვეთილო გეგმის შემუშავება, რომლის ფორმა და წარმოება მოსახერხებელი იქნებოდა მასწავლებლებისთვის და გააუმჯობესებდა სწავლა-სწავლების პროცესის წარმართვას. კვლევის ჯგუფმა გადაწყვიტა დაედგინა:

- რა ღირებულების მატარებელი იყო საგაკვეთილო გეგმები ადმინისტრაციისა და მასწავლებლებისთვის;
- რა სირთულეებს ქმნიდა ყოველდღიური საგაკვეთილო გეგმების წერა;
- როგორ შეიძლებოდა გაუმჯობესებულიყო გაკვეთილის დაგეგმვის პროცესი.

ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ და იკრიბებოდნენ თვეში 2-3-ჯერ. შეხვედრებზე მსჯელობდნენ თითოეულ ეტაპის შედეგებსა და მომავალ საქმიანობებზე. განისაზღვრა განსახორციელებელი საქმიანობების ვადები და ჯგუფის წევრებს შორის განაწილდა ფუნქციები.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა მასწავლებელთა გამოკითხვა. გამოკითხვის მიზანი იყო დადგენილიყო მათი დამოკიდებულება ყოველდღიური საგაკვეთილო გეგმებისადმი, აღმოჩენილიყო ის სირთულეები, რაც გეგმების წარმოებასა და გამოყენებაში წარმოიქმნებოდა. ჯგუფმა

ასევე შეისწავლა ის კურიკულუმები და საგაკვეთილო გეგმები, რომლებსაც სკოლაში აქამდე ქმნიდნენ. სტუდენტებმა გამოკითხეს დირექტორი, რომ დაედგინათ რა მიზანს ემსახურებოდა კურიკულუმსა და საგაკვეთილო გეგმების შემუშავების პრაქტიკა სკოლაში და რა მოლოდინები გააჩნდა სკოლის ადმინისტრაციას. შეგროვებული მონაცემები გაანალიზდა. გამოიკვეთა ის ძირითადი პრობლემები, რაც სკოლაში საგაკვეთილო გეგმების წარმოებასა და სასწავლო პროცესში მათ ეფექტიან გამოყენებას უშლიდა ხელს.

კვლევის ჯგუფის წევრებმა დაამუშავეს ამავე საკითხზე არსებული ლიტერატურა. გაეცნენ სხვა ქვეყნებში გაკვეთილის დაგეგმვისა და განხორციელების წარმატებულ მოდელებს.

პრობლემების გადასაჭრელად მკვლევართა ჯგუფმა დაგეგმა შემდეგი საქმიანობები:

- 1. საგაკვეთილო გეგმების სტრუქტურის გამარტივება** – ახალი საგაკვეთილო გეგმა მოიცავდა მხოლოდ აუცილებელ კომპონენტებს – გაკვეთილის თემა, მიზანი, აქტივობა, შეფასება და რეფლექსია. რეფლექსიის ნაწილში მასწავლებლებს მოკლედ უნდა აღენერათ ჩატარებული გაკვეთილი, აღენიშნათ მისი ძლიერი და სუსტი მხარეები და ემსჯელათ რამდენად მოახერხეს დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. რეფლექსიის შევსება ნებაყოფლობითი უნდა ყოფილიყო.
- 2. მასწავლებელთა შორის თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერება** – მასწავლებლებს ევალუბოდათ საგაკვეთილო პროცესთან დაკავშირებული საკითხების ერთობლივად განხილვა, გაკვეთილის დაგეგმვა, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება და შედეგების შეჯამება. მაგალითად: რომელიმე აქტივობის ერთობლივად დაგეგმვა, შეფასების სტრატეგიებზე მსჯელობა, დისციპლინასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა.

კვლევის ბოლოს შეფასდა მიღებული შედეგები და სკოლისთვის შემუშავდა რეკომენდაციები. რეკომენდაციების საფუძველზე სკოლამ შეიმუშავა ახალი გეგმა. განხორციელებულმა კვლევამ მასწავლებლებს და სკოლის ადმინისტრაციას საშუალება მისცა განეხილათ სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკის ძლიერი და სუსტი მხარეები. სკოლის წარმომადგენლებმა გაიაზრეს საგაკვეთილო გეგმების წარმოების მიზანი და მნიშვნელობა. მასწავლებლებმა თავად განსაზღვრეს როგორი უნდა ყოფილიყო მათი სამუშაო დღე. კვლევის ჯგუფის წევრები (სტუდენტები, მასწავლებლები, დირექტორი) გაეცნენ თანამშრომლობითი სწავლების სტრატეგიებს.

რაც უფრო კარგადაა შესწავლილი გადასაჭრელი პრობლემა, მით უფრო ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღებაა შესაძლებელი. საკითხის გადასაჭრელად საჭიროა მოიძებნოს არსებული პრობლემის გამომწვევი მიზეზები და დადგინდეს მიზეზებსა და შედეგებს შორის კავშირები. ეს კი, საკვლევი საკითხის სიღრმისეული შესწავლის გარეშე ვერ მოხდება.

ითვლება, რომ კვლევას უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებში დასაქმებული ადამიანები ატარებენ. მკვლევარს აქვს მოსაზრება და ამ მოსაზრების შეფასების მიზნით აკვირდება სხვა ადამიანებს ან პროცესებს, ატარებს ექსპერიმენტს, გამოკითხვას ან ინტერვიუებას, შემდეგ კი აანალიზებს მონაცემებს. ჰერონისა და რიზონის (1997) აზრით, კვლევის ასე ჩატარების დროს თითქმის არანაირი კავშირი არ არის მკვლევრის ნააზრევსა და იმ ადამიანების საფიქრალსა და გამოცდილებას შორის, რომლებიც რეალურად ჩართულნი არიან კვლევაში. მათი აზრით, ეს ტრადიციული კვლევის სირთულეა. ასეთ კვლევაში ადამიანებს ეპყრობიან როგორც პასიურ სუბიექტებს და არა როგორც აქტიურ მონაწილეებს. მათი აზრით, კარგია ის კვლევა, რომელიც ტარდება ადამიანებთან ერთად და არა ადამიანებზე.

ტრადიციულ კვლევის მეორე პრობლემა ისაა, რომ მკვლევრები ძირითადად თეორიებს ეყრდნობიან და არა პრაქტიკას. ტრადიციული კვლევა ნაკლებად ეხმარება ადამიანებსა და ორგანიზაციებს შეცვალონ საკუთარი საქმიანობები. ჰერონი და რიზონი (1997) თვლიან, რომ კარგი კვლევის შედეგი არ არის მარტო წიგნები და აკადემიური ნაშრომები, კარგი კვლევის შედეგია ადამიანების მიერ მათთვის მნიშვნელოვანი საკითხის მოგვარებისკენ მიმართული შემოქმედებითი გადაწყვეტილებები. თუ ამ მოსაზრებას განვავითარებთ, შეიძლება ითქვას, რომ უმჯობესია კვლევის განხორციელებაში ჩართულნი იყვნენ ის ადამიანები, ვისთვისაც კვლევის შედეგები ღირებული და მნიშვნელოვანია, როგორც ეს ზემოთ მოყვანილი სკოლის შემთხვევაში იყო. ვინაიდან შედეგები სწორედ მათ საქმიანობასა და გარემოზე აისახება. რაც მეტად იქნებიან ისინი კვლევის პროცესში ჩართულნი, უკეთესი შედეგი მიიღწევა და შესაძლებელი გახდება შედეგის პრაქტიკული გამოყენება.

საქართველოში, განათლების სფეროში, მრავალი კვლევაა ჩატარებული. ზოგიერთი კვლევის მიზანი არის გადაწყვეტილების მიმღებზე ზემოქმედება. ზოგიერთი კვლევა კი მხოლოდ ახალი ცოდნის შექმნას ისახავს მიზნად. ჩვენს ქვეყანაში ბევრი არაფერი ვიცით, როგორ ხდება კვლევების შედეგების გამოყენება, ვინ ზომავს ცვლილებებს და რამდენადაა გათვალისწინებული კვლევის შედეგები ეროვნული თუ ადგილობრივი პროგრამების დაგეგმვისა და დანერგვის დროს.

ჩვენს სახელმძღვანელოში აღწერილი კვლევის მეთოდი კი ითვალისწინებს ცვლილებას. ეს გამოარჩევს მას ტრადიციული კვლევისგან, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, რომელიც მუდმივად განვითარებაზე უნდა იყოს ორიენტირებული. ამ დაწესებულებებს მუდმივად ახალ გლობალურ თუ ეროვნულ გამოწვევებთან უნევთ გამკლავება.

კვლევის მეთოდს, რომლის დროსაც ადამიანები თავად იკვლევენ მათ წინაშე არსებულ პრობლემას და გეგმავენ პრობლემის გადაჭრის გზებს *სამოქმედო კვლევა (Action Research)* ეწოდება.

ზემოთ მოყვანილ მაგალითში, სკოლის დირექტორმა გადაწყვიტა, პრობლემის შესწავლისას, კვლევის პროცესში მასწავლებლებიც ჩაერთო. სკოლაში იგეგმებოდა საგაკვეთილო გეგმების წერის პრაქტიკის დამკვიდრება, რომელიც ცვლიდა მასწავლებლების ყოველდღიურ საქმიანობას. სკოლამ კვლევის ჩატარების მიზნით მოიწვია უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებსაც გააჩნდათ კვლევის განხორციელებისთვის საჭირო ცოდნა და უნარები, ასევე მათ მხარს უჭერდნენ პროფესორ-მასწავლებლები. სტუდენტებმა მასწავლებლებთან ერთად გამოიკვლიეს პრობლემა, ერთად გააანალიზეს შედეგები და ერთობლივად დაგეგმეს და განახორციელეს პრობლემის გადაჭრის გზები. სკოლამ მიიღო გადაწყვეტილება, გაემარტივებინა საკვეთილის დაგეგმვის ფორმა, ეს გადაწყვეტილება შესწავლილ ფაქტებს ეყრდნობოდა. სკოლაში საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა აღარ იყო დამძლევი და ცვლილებები სასწავლო პროცესში წარმატებით განხორციელდა.

სამოქმედო კვლევა არის პრობლემის მეცნიერული გამოკვლევა და თანამშრომლობის საფუძველზე ახალი ცოდნის შექმნა. ასეთი კვლევის მნიშვნელოვანი პრინციპი გუნდურობაა. საკვლევი საკითხის/პრობლემის იდენტიფიცირებასა და გადაჭრაზე აუცილებელია მუშაობდეს საკითხით დაინტერესებული იმ ადამიანებისა და მკვლევარების გუნდი, რომლებისთვისაც შედეგზე ორიენტირებული საქმიანობის განხორციელება მნიშვნელოვანია.

სკოლაში განხორციელებული სამოქმედო კვლევის პროცესში მკვლევარი შეიძლება იყოს სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრი – დირექტორი, მასწავლებელი, კათედრის ხელმძღვანელი, მოსწავლე და სხვა. მათ ყველაზე უკეთ იციან თავისი სამუშაოს ძლიერი და სუსტი მხარეები, იციან საქმიანობის რა ნაწილშია პრობლემა და ცდილობენ მის გადაჭრას.

სამოქმედო კვლევა შეიძლება ჩაითვალოს სასკოლო გარემოს კვლევისა და მისი გაუმჯობესების საუკეთესო ინსტრუმენტად.

## სამოქმედო კვლევის უპირატესობები

სამოქმედო კვლევას ატარებენ პედაგოგები (ან სასწავლო პროცესში ჩართული სხვა პირები), რომლებიც სანდო მონაცემებზე დაყრდნობით, ცდილობენ გააუმჯობესონ საკუთარი პრაქტიკა, ან შეცვალონ გარემო და სასწავლო პროცესი. ტრადიციული საგანმანათლებლო კვლევებისაგან განსხვავებით, მკვლევარ მასწავლებლებს თავად სურთ ცვლილებების განხორციელება ან აქტუალური პრობლემის გადაჭრა.

ტრადიციულ კვლევაში, მკვლევრსა და კვლევაში მონაწილე სუბიექტებს განსხვავებული როლები აქვთ. მკვლევარი გეგმავს და ახორციელებს კვლევას, აკვირდება მის მიმდინარეობას და აგროვებს მონაცემებს, ხოლო კვლევაში მონაწილე სუბიექტები მხოლოდ შესასწავლ მოქმედებებს ახორციელებენ.

სამოქმედო კვლევა კი ერთობლივი კვლევა-ძიების პროცესია. მკვლევარისა და კვლევაში მონაწილე სუბიექტების ურთიერთგამომრიცხავი როლები თანამშრომლობითი ურთიერთობითაა ჩანაცვლებული. კვლევაში ჩართული ადამიანები ერთად მუშაობენ. ყველა, გამოცდილების შესაბამისად, მონაწილეობს როგორც კვლევის დაგეგმვასა და მართვაში, ასევე კვლევის შედეგების გააზრებასა და დასკვნების შემუშავებაში. ამგვარად, კვლევაში ჩართულ თითოეულ ადამიანს შეუძლია პროცესზე ზემოქმედება. სამოქმედო კვლევა არ არის ადამიანებზე წარმოებული კვლევა, არც ადამიანების შესახებ კვლევაა. სამოქმედო კვლევა ადამიანებთან ერთად წარმოებული თანამშრომლობითი კვლევაა.

ტრადიციულ კვლევასა და სამოქმედო კვლევას შორის ზოგიერთი განსხვავებები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ტრადიციული და სამოქმედო კვლევის შედარება		
	ტრადიციული კვლევა	სამოქმედო კვლევა
ვინ ატარებს?	ტარდება უნივერსიტეტის პროფესორების, მეცნიერებისა და სტუდენტების მიერ ექსპერიმენტულ და საკონტროლო ჯგუფებთან.	ტარდება პედაგოგებისა და დირექტორების მიერ მოსწავლეებთან, თანამშრომლებთან ან მშობლებთან.
სად ტარდება?	სპეციალურად შერჩეულ გარემოში, სადაც შესაძლებელია ცვლადების მართვა	საკუთარ სკოლებსა და საკლასო ოთახებში

## ტრადიციული და სამოქმედო კვლევის შედარება

როგორ ტარდება?	როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით.	ძირითადად იყენებენ თვისებრივ მეთოდს და ასე აღწერენ კვლევის მიმდინარეობასა და ჩარევის შედეგს.
რატომ ტარდება?	გამოქვეყნებული კვლევის ანგარიში და დასკვნები შესაძლოა განზოგადდეს ფართო მასებისათვის. დასკვნების საფუძველზე დაიგეგმოს სახელმწიფო თუ რეგიონული პროგრამები, საკანონმდებლო ცვლილებები. შესაძლოა შედეგები გამოიყენოს სხვადასხვა საზოგადოებრივმა თუ პოლიტიკურმა ჯგუფმა ადვოკატირებისთვის.	მომზადებული კვლევის ანგარიშისა და დასკვნების საფუძველზე, სკოლის წარმომადგენლები თავად გეგმავენ და ახორციელებენ ცვლილებას.  კვლევის ანგარიში ნაკლებ რეპრეზენტატიულია, შესაძლოა მხოლოდ სკოლის შიდა მოხმარებისთვის იყოს.

სამოქმედო კვლევა ორიენტირებულია კონკრეტული პრობლემის გადაჭრაზე, კონკრეტულ საზოგადოებაში ან ორგანიზაციაში. იგი ხორციელდება იმ სივრცეში, იმ ადამიანების მიერ, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულნი საგანმანათლებლო პროცესში. კვლევის შედეგები კი ორიენტირებულია მათ კონკრეტულ საჭიროებებზე. ტრადიციული კვლევის შედეგები განკუთვნილია ფართო საზოგადოებისთვის. ტრადიციულ კვლევაში არ არის გათვალისწინებული საქმიანობების დანერგვა იდენტიფიცირებული პრობლემების მოგვარების მიზნით. როდესაც მასწავლებელი ან სკოლის დირექტორი კონკრეტული პრობლემის წინაშე დგას, მან ეფექტური გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. ეს კი საკითხის საფუძველიანი გამოკვლევის, პრობლემების იდენტიფიცირების, მისი შესწავლისა და გაუმჯობესების გზების დაგეგმვის გარეშე შეუძლებელია. სამოქმედო კვლევის მთავარი უპირატესობა ისაა, რომ ამ პროცესებში ის პირები არიან ჩართულნი, რომლებსაც ეს პრობლემა ეხებათ. გარედან მოსულ მკვლევარს მათ გარეშე გაუჭირდება გარემოების შესწავლა და მათი გამომწვევი მიზეზების დადგენა.

სამოქმედო კვლევის შესაძლებლობებს კარგად აღწერენ კოჰენი, მანიონი და მორისონი (2007, 691). ისინი თვლიან, რომ სამოქმედო კვლევის გამოყენება პრაქტიკულად ყველა სფეროშია შესაძლებელი. მთავარია, საქმიანობაში ჩართულ ადამიანებს უნდოდეთ ცვლილება, არსებობდეს ამოცანები და პროცედურები.

სამოქმედო კვლევის განხორციელება შეუძლია როგორც ერთ მასწავლებელს, ასევე მასწავლებელთა ჯგუფს.

უმჯობესია, თუ საერთო იდეის მქონე მასწავლებლები შეიკრიბებიან და ერთობლივად განხორციელებენ სამოქმედო კვლევას. ასევე, კვლევის ერთობლივად განხორციელება სასურველია, როცა მრავალრიცხოვანი აქტივობებია შესასრულებელი. ერთობლივი მუშაობის დროს შესაძლებელია განსახორციელებელი საქმიანობების ჯგუფის წევრებს შორის გადანაწილება და განსხვავებული აზრების შეჯერება.

სამოქმედო კვლევა შესაძლოა გამოყენებულ იყოს ისეთი მიმართულებით როგორცაა:

- **სწავლების მეთოდები:** ტრადიციული სასწავლო მეთოდის აღმოჩენით სწავლების მეთოდით ჩანაცვლება;
- **სწავლის სტრატეგიები:** ინტეგრირებული სწავლების სტრატეგიების ეფექტურობის შეფასება, ჯგუფური მუშაობის ეფექტურობის შესწავლა, კითხვის სტრატეგიების გამრავალფეროვნება, ბუნებისმეტყველებაში ექსპერიმენტის როლის გავლენა მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებაზე და სხვ.;
- **შეფასების პროცედურები:** მოსწავლეთა განმსაზღვრელი და/ან განმავითარებელი შეფასების მეთოდის ეფექტურობის შესწავლა მისი გაუმჯობესების მიზნით;
- **დამოკიდებულებები და ღირებულებები:** შრომისადმი უფრო დადებითი დამოკიდებულების ნახალისება, ან მოსწავლეების ღირებულებათა სისტემის მოდიფიცირება, სასკოლო კულტურის შესწავლა და ცვლილება და სხვ.;
- **მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარება:** სწავლების უნარების გაუმჯობესება, სწავლის ახალი მეთოდების განვითარება, და სხვ.;
- **მენეჯმენტი და კონტროლი:** სკოლაში სასწავლო პროცესის, ფინანსებისა და ადამიანური რესურსების მართვის განვითარება, გამჭვირვალე ანგარიშგების სისტემის შემუშავება.

## სამოქმედო კვლევის ეტაპები

სამოქმედო კვლევის პროცესი შეიძლება დაიყოს ორ ეტაპად: დიაგნოსტიკის ეტაპი და თერაპიის ეტაპი. თითოეული ეტაპი შედგება რამდენიმე ქვეეტაპისგან:

### დიაგნოსტიკა

- საკვლევი თემის შერჩევა;
- მკვლევართა ჯგუფის შექმნა;
- ლიტერატურის მიმოხილვა/მსგავსი პრაქტიკის გაცნობა;
- ჰიპოთეზების და პრობლემის გამომწვევი საგარეო მიზეზების ჩამოყალიბება;
- კვლევის ინსტრუმენტებისა და შერჩევის სტრატეგიების განსაზღვრა;
- მონაცემთა შეგროვება და ანალიზი;
- დასკვნები და მიგნებები.

### თერაპია

- ინტერვენციების დაგეგმვა/შემუშავება;
- ინტერვენციების განხორციელება;
- ინტერვენციების შეფასება;
- სამოქმედო კვლევის ანგარიშის მომზადება

## დიაგნოსტიკის ეტაპი

დიაგნოსტიკის ეტაპზე ხდება საკვლევი საკითხის ჩამოყალიბება, კვლევის დაგეგმვა, საკითხის შესწავლა და პრობლემის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება. დიაგნოსტიკის ეტაპი, თავის მხრივ, რამდენიმე ქვეეტაპს მოიცავს:

## მკვლევართა ჯგუფის შექმნა

როდესაც მასწავლებელს ან სკოლის ხელმძღვანელს სურს შეცვალოს რაიმე საკუთარ პრაქტიკაში, გადაჭრას არსებული პრობლემა, ან გააუმჯობესოს საკუთარი საქმიანობა, მან პირველ რიგში უნდა განსაზღვროს არსებული პრობლემა. კარგი იქნება, თუ პედაგოგი მოიძიებს თანამოაზრეებს, რომლებსაც ანუხებთ იგივე ან მსგავსი საკითხი. თანამოაზრეებთან ერთად უნდა შეიქმნას „მკვლევართა ჯგუფი“, რომელიც იმუშავებს პრობლემის გადაჭრაზე. მნიშვნელოვანია, რომ ჯგუფის ყველა წევრი სარგებლობდეს თანაბარი უფლებებით. თანამოაზრეების შეკრება ზრდის კვლევის ეფექტიანად ჩატარების შესაძლებლობას, რადგან ჯგუფის თითოეული წევრის ინტერესი და მოტივაცია მაღალია.

თუ კვლევის ინიციატივა თქვენ გეკუთვნით, დასაწყისშივე უნდა გაიაზროთ თანამშრომლობითი კვლევა-ძიების სამი პრინციპი:

1. ჯგუფის წევრებს კვლევის მეთოდოლოგია ისე უნდა გააცნოთ, რომ მათ თავად შეძლონ მისი განხორციელება;
2. გადანყვეტილებების მიღების პროცესი ისე უნდა დაგეგმოთ, რომ კვლევა ჭეშმარიტად თანამშრომლობითი იყოს;
3. ისეთი გარემო უნდა შექმნათ, რომ შესაძლებელი იყოს კვლევით გამოწვეული სტრესისა და დაძაბულობის, ასევე სიხარულისა და წარმატების ღიად მიღება და გაზიარება;

კვლევის დაწყებამდე თანამშრომლებისათვის უნდა ჩაატაროთ გაცნობითი შეხვედრა. გაცნობით შეხვედრაზე ნათლად უნდა განაცხადოთ, რომ კვლევის პროცესისთვის მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნული სამი საკითხი და მხოლოდ ის ადამიანები უნდა გაერთიანდნენ კვლევით ჯგუფში, რომლებიც აღიარებენ თანამშრომლობას და ასევე აქვთ დრო და უნარი ჩაერთონ კვლევის განხორციელებაში.

ამის შემდეგ, კვლევის ჯგუფის წევრები უნდა შეთანხმდნენ, რომ ნებისმიერი, ვისაც სურს კვლევაში მონაწილეობა, ვალდებული იქნება, იმოქმედოს ამ პირობების შესაბამისად. მნიშვნელოვანია, ეს შეთანხმება არ იყოს სწრაფი და მოკლე საუბრის შედეგი, არც „დამაჯერებელი იძულება“ უნდა იყოს. კვლევით ჯგუფში განეწიანება ნებაყოფლობითი, მოხალისეობაზე დაფუძნებული და კარგად ინფორმირებულ შეთანხმებაზე უნდა იყოს დამყარებული. აუცილებელია, რომ ჯგუფის წევრები აცნობიერდნენ დამოუკიდებლობის, თანამშრომლობისა და ერთიანობის პრინციპებს. თუ ეს ნაწილობრივ მისაღებია ადამიანებისთვის, მაშინ ისინი ერთვებიან კვლევაში, ხოლო თუ არა, მაშინ უარს ამბობენ მონაწილეობაზე. დასაწ-

ყისშივე ყველა ამ საკითხის ნათლად წარმოჩენა და გარკვევა, შემდგომში უკეთესი პრაქტიკის საწინდარი ხდება (ჰერონი და რიზონი 1997, 20).

პირველ შეხვედრაზე ასევე მნიშვნელოვანია, რომ ადამიანებს ჰქონდეთ საკვლევი თემის, კვლევაში ჩართვის კრიტერიუმების, შეხვედრების სტრუქტურის დაგეგმვისა და კვლევასთან დაკავშირებული სხვა საკითხების განსაზღვრის საშუალება. წარმოგიდგენთ ჰერონისა და რიზონის (1997, 21) მიერ შედგენილი დღის წესრიგის ძირითად ელემენტებს:

- მისაღება და შესავალი (შეხვედრა იმგვარად უნდა წარიმართოს, რომ ადამიანმა თავი იგრძნოს, როგორც საკუთარ სახლში);
- კვლევის ინიციატორთა წარდგენა, საკვლევი თემის განხილვა.
- თანამშრომლობითი კვლევა-ძიების სამი პრინციპის გაცნობა;
- მკვლევართა ჯგუფში ჩართვის კრიტერიუმების დაზუსტება.
- მსჯელობა: თარიღებზე, ვადებზე, შეხვედრების ადგილზე, ფინანსურ და სხვა შესაძლებლობებზე.
- სკოლის თანამშრომელთა მოსაზრებები კვლევაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

როგორც ვხედავთ, ერთი შეხვედრისთვის საკმაოდ დატვირთული დღის წესრიგი გამოვიდა. ამიტომ, უკეთესია, ჩაინიშნოს მეორე შეხვედრა, რათა კვლევითი ჯგუფის წევრებმა სრულად გაიაზრონ პროცესი და შედგეს გააზრებული თანხმობა მათ შორის. პროცესის დაჩქარება არ ღირს. დაჩქარებამ შესაძლოა მომავალში, კვლევის განხორციელებისას, უარყოფითად იჩინოს თავი.

არ არის მიზანშეწონილი წევრთა დიდი რაოდენობა, რადგან კვლევის პროცესის ორგანიზება რთულდება (საკმარისია 3-4 ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი). სამოქმედო კვლევის განხორციელებისას, მნიშვნელოვანია, ჯგუფის წევრებმა განსაზღვრონ შეხვედრების რაოდენობა და დრო, რომელთა დროსაც განიხილება ყველა ის საკითხი, რაც კვლევის პროცესში წარმოიშვება. დაწყებული ფუნქცია-მოვალეობების გადახანჩილებით, დასრულებული დროის განრიგით. აქედან გამომდინარე, თუკი წევრთა რაოდენობა შეუსაბამოდ გაიზრდება, გართულდება შეხვედრების ორგანიზებაც. შეიძლება მოგინიოთ დაგეგმილზე მცირე რაოდენობის შეხვედრების ჩატარება, ან შეხვედრები ჩაატაროთ არასრული შემადგენლობის ჯგუფთან. ასე კი, საკითხების თანამშრომლობით განხილვას ვერ შეძლებთ, პრობლემით დაინტერესებული ჯგუფის რომელიმე წევრის აზრი უგულვებელყოფილი იქნება. შესაბამისად, ბევრი საკითხი, რომელიც კვლევის დროს წარმოიშვება, დარჩება განუხილველი ან ზერელედ

განხილული. ეს კი, საბოლოოდ, უარყოფითად აისახება კვლევის შედეგებზე. მკვლევართა ჯგუფი უნდა შეჯერდეს შესასწავლ პრობლემაზე და უნდა ჩამოყალიბდეს საკვლევო საკითხი. ამის შემდეგ კომისიის წევრებმა ერთმანეთში უნდა გადაინანილონ ფუნქცია-მოვალეობები: შეხვედრების ლოჯისტიკა, კვლევის ინსტრუმენტების განსაზღვრა და გამოყენება, მონაცემების შეგროვება, შეგროვებული ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი, ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება, ინტერვენციების შეფასება, ანგარიშის მომზადება და დაინტერესებული პირებისთვის გაცნობა და სხვა. ჯგუფის წევრებმა ასევე უნდა შეადგინონ სამოქმედო გეგმა და განსაზღვრონ შეხვედრების თარიღები, სადაც განიხილავენ კვლევის განსახორციელებლად საჭირო აქტივობებსა და კვლევის პროცესში წარმოშობილ საკითხებს.

*როდესაც სკოლის თანამშრომლები ცდილობდნენ გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი განხორციელების პრაქტიკის გაუმჯობესებას, კვლევის ჯგუფების წევრებმა გადაწყვიტეს თვეში 2-3-ჯერ შეკრებილიყვნენ და გადაინანილონ ფუნქცია-მოვალეობები კომპეტენციებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. გამომდინარე იქიდან, რომ სტუდენტებს გააჩნდათ კვლევის განსახორციელებლად საჭირო ცოდნა, მათ ფუნქციებში შევიდა კვლევის ინსტრუმენტების შერჩევა და შეგროვებული მონაცემების ანალიზი.*

კვლევის განხორციელებისას, მკვლევართა ჯგუფმა, ტექნიკურ საკითხებში დახმარებისთვის, შეიძლება მიმართოს კვლევის სპეციალისტს. მაგ., როგორცაა საკვლევო ინსტრუმენტის შერჩევა, შერჩევის სტრატეგიების განსაზღვრა ან შეგროვებული მონაცემების ანალიზი. თუმცა, ამ სახელმძღვანელოს წაკითხვის შემდეგ, აღმოაჩინეთ, რომ ზემოაღნიშნული საკითხების გადაჭრა არც ისე რთულია და სამოქმედო კვლევის განხორციელებისათვის საჭირო კვლევითი ცოდნა და უნარების გამომუშავება დამოუკიდებლადაც არის შესაძლებელი. შესაბამისად, საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესებისათვის, კვლევის განხორციელება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა შესაძლებელია მკვლევარის დახმარების გარეშეც.

## **საკვლევო კითხვის ჩამოყალიბება**

ეს ერთი შეხვედრით მარტივი ეტაპი, საკმაოდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს. სწორედ ამ ეტაპზე ხდება მკვლევართა ჯგუფის „გამოცდა“. ერთ-ერთ სირთულეს წარმოადგენს საკითხის გააზრება და ყველა წევრის მიერ მისი ერთნაირი აღქმა.

ჯგუფის წევრები, შესაძლოა, შეთანხმებული იყვნენ რომ სკოლაში მოსწავლეთა დისციპლინის საკითხები იკვლიონ. მაგრამ, დისციპლინაში, თითოეული მასწავლებელი შესაძლოა სხვადასხვა რამეს გულისხმობდეს, მაგალითად: გაკვეთილზე დაგვიანება, გაკვეთილებზე მოსწავლეთა ხმაური, დავალებების სისტემატიური შეუსრულებლობა, მასწავლებლის მითითებების უგულებელყოფა, საგაკვეთილო პროცესისთვის საჭირო ნივთების გარეშე გამოცხადება, მოსწავლისათვის შეუფერებელი ქცევა. შეიძლება ბევრი საკითხიც სხვადასხვაგვარად ესმოდეთ მასწავლებლებს, მაგალითად, მოსწავლისთვის შეუფერებელი ქცევა მეტ განმარტებას მოითხოვს, იმისთვის, რომ კვლევის ჯგუფის შეთანხმება მოხდეს. მნიშვნელოვანია, საკვლევი საკითხი მაქსიმალურად ზუსტად იყოს ჩამოყალიბებული, ჯგუფის ყველა წევრს ერთნაირად უნდა ესმოდეს და იაზრებდეს აღნიშნულ საკითხს. ასევე, მნიშვნელოვანია, საკითხის შესწავლის არეალიც მაქსიმალურად იყოს დაზუსტებული. მაგ., თუ საკვლევი საკითხი შემდეგნაირად იქნება ჩამოყალიბებული – „როგორ შევამციროთ მოსწავლეების გაკვეთილებზე დაგვიანების მაჩვენებელი“, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ კვლევით განსაზღვრულია სკოლებში მოსწავლეების მიერ დაგვიანების მაჩვენებლის შემცირება. თუმცა, სხვადასხვა სკოლასა და კლასში, მოსწავლეების დაგვიანებას სხვადასხვა მიზეზი შეიძლება ჰქონდეს, შესაბამისად, პრობლემაც განსხვავებულად უნდა გადაიჭრას. ერთ სკოლაში ან კლასში განხორციელებული სამოქმედო კვლევა ვერ იქნება განზოგადებული ყველა მოსწავლეზე. ამიტომ, უმჯობესი იქნება, თუ საკვლევი საკითხის ჩამოყალიბებისას დაზუსტდება სკოლა, კლასი, საგანი და/ან ასაკობრივი ჯგუფი. კითხვის დაზუსტება მნიშვნელოვანია, რადგან ზუსტი კითხვა ასევე აზუსტებს კვლევის განხორციელების და შედეგების განზოგადების არეალს.

საკვლევი კითხვის ჩამოყალიბებისას, შესაძლოა გამოიკვეთოს რამდენიმე საკითხი, რომლებიც მასწავლებლებს აინტერესებთ ან აწუხებთ. ეს საკითხები, შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს როგორც სასკოლო ცხოვრებისთვის, ასევე მასწავლებლისთვის. თუ რამდენიმე საკითხი გამოიკვეთა, უმჯობესია შეირჩეს შედარებით უფრო მნიშვნელოვანი. არჩევანის გაკეთებისას მკვლევართა ჯგუფმა უნდა გაითვალისწინოს კვლევის განხორციელებისთვის სკოლაში არსებული: ადამიანური რესურსი, მათი კომპეტენციები, ფინანსები (ასეთის საჭიროების ან არსებობის შემთხვევაში), საჭირო დრო, მკვლევართა ჯგუფის წევრთა და კვლევის მონაწილეთა მოტივაცია და ინტერესი და ა.შ. შესაძლოა, სკოლაში არსებული პრობლემის მოგვარებას დიდი ფინანსური რესურ-

სი სჭირდება და მისი გადაჭრა სამოქმედო კვლევის ფარგლებში რთული და ზოგ შემთხვევაში უტოპიურიც იყოს, თუმცა, შეიძლება რთული პრობლემის გადაჭრის იაფი და კრეატიული გზების მოფიქრებაც. არჩევანი მკვლევართა ჯგუფის კომპეტენციასა და კრეატიულობაზეა.

მას შემდეგ, რაც განსაზღვრავთ და შეჯერდებით საკვლევ საკითხზე, საბოლოოდ უნდა გადაწყვიტოთ ვინ ერთვება კვლევის განხორციელებაში. ამის შემდეგ უნდა შეიმუშავოთ სამოქმედო გეგმა, სადაც დააზუსტებთ კვლევის განხორციელებისათვის საჭირო აქტივობებს. ასევე, მიუთითებთ განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებს. სამოქმედო გეგმის შესადგენად შეგიძლიათ გამოიყენოთ მარტივი ცხრილი.

N	აქტივობა	I კვირა	II კვირა	III კვირა	IV კვირა	V კვირა	VI კვირა	პასუხისმგებელი პირ(ებ)ი
1								
2								
3								
4								

საკვლევ პრობლემაზე შეთანხმების შემდეგ, ასევე მნიშვნელოვანია, ჯგუფის წევრები გაეცნონ პრობლემის შესახებ არსებულ ლიტერატურას.

მაგალითად:

- თუ მასწავლებლები თვლიან, რომ რომელიმე ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეების ქცევა გაკვეთილზე და/ან დასვენებებზე პრობლემურია, აუცილებელია, გაეცნონ კლასის მართვის შესახებ სამეცნიერო და მეთოდურ ლიტერატურას, ასევე, სხვა მასწავლებლების მიერ ჩატარებულ კვლევებს.
- თუ მასწავლებლები თვლიან, რომ მოსწავლეებს არ აქვთ მედიაპროდუქტების დეკოდირების უნარი და ხშირად არიან მედიამანიპულაციის მსხვერპლნი, უნდა გაეცნონ მედიანიგნიერებაში ჩატარებულ კვლევებსა და გამოცდილებას.

## ლიტერატურის მიმოხილვა

ლიტერატურის მიმოხილვა გულისხმობს შესასწავლი საკითხის შესახებ საკანონმდებლო ბაზის, კვლევებისა და არსებული გამოცდილების შესწავლასა და განხილვას.

### ლიტერატურის მიმოხილვა შეიცავს:

- კონკრეტული საკითხის ირგვლივ დროის გარკვეულ პერიოდში არსებულ ინფორმაციას;
- არსებული წყაროების მოკლე შეჯამებას ან სინთეზს:
  - ✓ შეჯამების (რეზიუმე) დროს ხდება წყაროში არსებული მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეჯამება;
  - ✓ სინთეზის დროს ხდება წყაროში არსებული ინფორმაციის რეორგანიზება, ძველი და ახალი ინტერპრეტაციების შეჯერება. ეს შეიძლება იყოს სფეროში არსებული პროგრესი.

ლიტერატურის მიმოხილვა საშუალებას მოგცემთ შეიძინოთ დამატებითი ცოდნა თქვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, გაეცნოთ უკვე არსებულ გამოცდილებას, იმ მიზეზებს, რამაც შეიძლება ეს პრობლემა გამოიწვიოს. ეს საშუალებას მოგცემთ ჩამოაყალიბოთ ჰიპოთეზები და დაგეგმოთ კვლევის შემდგომი ეტაპები.

ლიტერატურის მიმოხილვაზე მუშაობის დაწყებისას, აუცილებელია განისაზღვროს, რა სახის ლიტერატურის მიმოხილვას აპირებთ. მაგალითად, შესაძლოა, შეარჩიოთ მხოლოდ რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებული, უნივერსიტეტების გამოცემები და საგანმანათლებლო ასოციაციების მიერ მომზადებული მასალა. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე რეკომენდაცია. ამ რეკომენდაციების გათვალისწინება დაგეგმარებათ ლიტერატურის მიმოხილვის დაგეგმვაში:

- განსაზღვრეთ დაახლოებით რამდენი წყაროს შესწავლა მოგიწევთ.
- განსაზღვრეთ რა ტიპის წყაროებს (ნიგნები, ჟურნალის სტატიები, ვებსაიტები) შეისწავლით.
- შეაჯამეთ, კრიტიკულად განიხილეთ წყაროები.
- წყაროს გამოყენებისას განსაზღვრეთ, საჭიროა თუ არა სხვა ინფორმაცია, რომ წყაროში მოცემული ინფორმაცია გასაგები გახდეს.
- დაავინროვეთ თქვენი თემა. არის უამრავი სტატია და ნიგნი, რომელიც თქვენს ნამუშევარს, საკვლევ საკითხს შეიძლება შეესაბამებოდეს. შეზღუდეთ იმ წყაროების რაოდენობა, რომელიც უნდა წაიკით-

ხოთ. შეუძლებელია ყველაფრის ნაკითხვა შესასწავლი საკითხის შესახებ. ამიტომ, სასურველია, სამუშაოს ჩარჩო შეზღუდოთ.

ლიტერატურის გაცნობის შემდეგ უნდა განისაზღვროს ის ძირითადი კითხვა, რომელსაც სამოქმედო კვლევამ უნდა გასცეს პასუხი. პრობლემის გამოკვეთისა და საკვლევი კითხვის ჩამოყალიბების შემდეგ უნდა დადგინდეს პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები. რა სავარაუდო ფაქტორები განაპირობებს არსებულ რეალობას. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ხშირ შემთხვევაში, მკვლევარ-მასწავლებელს გააჩნიათ ჰიპოთეზები, სწორედ ამ ჰიპოთეზების დადასტურება ან უარყოფა უნდა მოხდეს საკითხის შესწავლის შემდეგ. ასევე არ არის გამორიცხული, რომ საკითხის შესწავლის შემდეგ, მიღებული შედეგები სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდეს და რეალურად პრობლემის გამომწვევი ისეთი მიზეზები გამოვლინდეს, რომელზეც მასწავლებელს საერთოდ არ უფიქრია.

## პრობლემის შესწავლა

ამ ეტაპზე ხდება საკითხის მეცნიერული ხერხებით შესწავლა. მკვლევართა ჯგუფი ირჩევს კვლევის ინსტრუმენტებს, განსაზღვრავს შერჩევის სტრატეგიებს, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ხერხებს. ანალიზის საფუძველზე კი, ხდება დასკვნებისა და მიგნებების ჩამოყალიბება.

სამოქმედო კვლევა სკოლის წარმომადგენლებს საშუალებას აძლევს, შეგროვებული მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით, მიიღონ გადაწყვეტილება. კვლევა ასევე გულისხმობს სკოლაში განხორციელებული ინტერვენციის შეფასებას, შესაბამისად, მკვლევართა ჯგუფი აგროვებს მონაცემებს პრობლემის იდენტიფიცირებისთვის, ასევე, ინტერვენციის შედეგების შეფასებისთვის. მკვლევართვის მონაცემს წარმოადგენს ნებისმიერ ინფორმაცია, რაც მას საკითხის შესწავლაში დაეხმარება, მაგალითად: ფოტო სურათები, ვიდეო ჩანაწერები, სკოლის დოკუმენტაცია, ინტერვიუს შედეგად მიღებული მასალა, ანკეტირების შედეგად შეგროვებული ინფორმაცია, დაკვირვების შედეგები და ა.შ. მონაცემთა შეგროვების არაერთი ხერხი არსებობს, მკვლევარმა თავად უნდა განსაზღვროს, კვლევისას, მონაცემთა შეგროვების რომელ ინსტრუმენტს გამოიყენებს. კვლევის ინსტრუმენტის შერჩევა დამოკიდებულია თავად კვლევის ტიპზე, კვლევის არეალზე, საკვლევი ინსტრუმენტის გამოყენების შესაძლებლობასა და ეფექტურობაზე და ა.შ. ქვემოთ განვიხილავთ კვლევის ინსტრუმენტის რამდენიმე მაგალითს,

რომელიც ყველაზე ხშირად გამოიყენება მონაცემების შეგროვებისას. მონაცემების შეგროვების ხერხები მრავალფეროვანია და მათ შერჩევაზე გადანყვეტილებას მკვლევართა ჯგუფი იღებს.

### მონაცემთა შეგროვების ხერხები

თუ სამოქმედო კვლევის ჩატარებას გადანყვეტივით, მნიშვნელოვანია, ყურადღებით გაეცნოთ მონაცემთა შეგროვების ხერხებს. ლიტერატურის გაცნობასთან ერთად, მონაცემების შეგროვება, კვლევის სანყის ეტაპზე დაგეხმარებათ ინტერვენციის გეგმის შემუშავებაში. ინტერვენციების დასასრულს შეგროვებული ინფორმაცია კი შესაძლებლობას მოგცემთ შეაფასოთ მისი ეფექტურობა და შეიმუშაოთ რეკომენდაციები. ჩვენ განვიხილავთ მონაცემთა შეგროვების რამდენიმე ინსტრუმენტს: ანკეტირება, ინტერვიუ, დოკუმენტის შესწავლა და დაკვირვება.

### ანკეტირება

ანკეტირება მონაცემების შეგროვების საკმაოდ გავრცელებული და სასარგებლო ინსტრუმენტია. ანკეტირების დროს იყენებენ წინასწარ მომზადებულ კითხვარებს. ეს მკვლევარს საშუალებას აძლევს მოაგროვოს სტრუქტურირებული და ძირითადად რაოდენობრივი მონაცემები. ანკეტირება შეიძლება მკვლევრის დაუსწრებლად ჩატარდეს, შედეგების ანალიზიც შედარებით მარტივია. თუმცა, ანკეტირებისათვის კითხვარების შექმნას, პილოტირებასა და დახვეწას, საკმაო დრო სჭირდება.

სანამ ანკეტირებას გადანყვეტივით, დაფიქრდით, რამდენად შეესაბამება მონაცემების ასე შეგროვება კვლევის მიზნებს. იმსჯელეთ ამ საკითხზე კვლევის ჯგუფის წევრებთან. მათთან ერთად განიხილეთ რა სახის მონაცემების შეგროვებას შეძლებთ, გჭირდებათ თუ არა ეს მონაცემები და ა.შ.

გთავაზობთ კითხვარის შემუშავებისა და გამოკითხვის ჩატარებისთვის სარეკომენდაციო საკითხებს:

1. განსაზღვრეთ კითხვარის მიზნები და ამოცანები;
2. განსაზღვრეთ პოპულაცია (ჯგუფი), სადაც იგეგმება გამოკითხვის ჩატარება და ამ ჯგუფიდან საჭირო რესპონდენტთა რაოდენობა, ასევე, მათი შერჩევის ხერხი<sup>2</sup>.
3. ჩამოაყალიბეთ ის თემები/საკითხები, რომლებიც უნდა მოიცვას კითხვარმა. განსაზღვრეთ მონაცემები, რომელთა შეგროვებასაც

2 შერჩევის სტრატეგიები განხილულია მომდევნო თავებში.

გეგმავთ (თემებისა და მონაცემების განსაზღვრისთვის დაგეხმარებათ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვა, ასევე მანამდე ჩატარებული ფოკუს ჯგუფის ან ინტერვიუების შედეგად მიღებული მონაცემები);

4. ჩამონერეთ კითხვარის დებულებები/კითხვები შესაბამისი პასუხებით;
5. გადაამოწმეთ მოიცვა თუ არა თქვენმა კითხვარმა მე-3 პუნქტში დასახელებული ყველა თემა/საკითხი. თითოეული თემისა და კითხვისთვის რამდენიმე დებულება/კითხვა უნდა ჩამოყალიბდეს;
6. განახორციელეთ კითხვარის პილოტირება, შეხვედით რამდენიმე ადამიანს, სთხოვეთ კითხვარის შევსება. გაეცანით შევსებულ კითხვარს, რომელიმე დებულება/კითხვა ბუნდოვანი ხომ არ არის და დახვეწეთ დებულებები/კითხვები; პილოტირებისთვის შეარჩიეთ გამოკითხვის სამიზნე ჯგუფში შემავალი ადამიანების მსგავსი ინდივიდები;
7. ჩაატარეთ გამოკითხვა.

კითხვარებში კითხვისა და პასუხის რამდენიმე ფორმა არსებობს, ქვემოთ განვიხილავთ რამდენიმე მათგანს.

### **დახურული კითხვები –**

დახურულ კითხვები რესპონდენტს საშუალებას აძლევს, შემოხაზოს რამდენიმე პასუხიდან ის, რომელსაც მართებულად მიიჩნევს. ასეთ კითხვებს სტრუქტურირებულ კითხვებსაც უწოდებენ. უკიდურესად სტრუქტურირებული, დახურული კითხვების უპირატესობა ისაა, რომ ისინი პასუხების სიზშირეების გამოთვლის შესაძლებლობას იძლევიან, რომლებიც შეიძლება სტატისტიკურად დამუშავდეს და გაანალიზდეს. დახურული კითხვის კოდირება და ანალიზი უფრო სწრაფად ხდება, ტექსტურ მონაცემებთან შედარებით. დახურულ კითხვებზე პასუხის გაცემას დიდი დრო არ სჭირდება. თუმცა, მეორე მხრივ, რესპონდენტებს შენიშვნების, შეფასების ან ახსნის დამატების საშუალება არ აქვთ. შესაბამისად, არსებობს იმის რისკი, რომ პასუხები არ იყოს ინფორმატიული.

დახურული კითხვების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს „დიახ/არა“ ტიპის კითხვები, რომელთაც **დიქოტომიური** კითხვები ეწოდება. ასეთი კითხვების დასმის დროს, რესპონდენტმა ორი შეთავაზებული ვარიანტიდან ერთი უნდა აირჩიოს.

*მაგ. სქესი – მამრობითი/მდედრობითი;*

*სკოლის ტიპი – კერძო/საჯარო*

*და ა.შ.*

კითხვარში ასევე შესაძლებელია იყოს **კითხვები მრავალი არჩევითი პასუხით**. ასეთ დროს კითხვას ახლავს რამდენიმე სავარაუდო პასუხი.

მაგ., კვლევაში, სადაც სკოლის თანამშრომლები და სტუდენტები ერთად ცდილობდნენ გაკვეთილის დაგეგმვისა და განხორციელების პრაქტიკის გაუმჯობესებას, ასეთი კითხვა დაუსვეს რესპონდენტებს:

### **რაში გეხმარებათ გაკვეთილის გეგმის წარმოება?**

კითხვას თან ახლდა შემდეგი სავარაუდო პასუხები:

- ა) გაკვეთილის კარგად დაგეგმვაში;
- ბ) გაკვეთილის კარგად წარმართვაში;
- გ) თვითშეფასებაში;
- დ) გავლენას არ ახდენს ჩემს მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე.
- ე) სხვა (გთხოვთ დააკონკრეტოთ) \_\_\_\_\_

კითხვის შემუშავებისას პასუხები:

- უნდა იყოს ურთიერთგამომრიცხავი,
- არ უნდა იყოს ურთიერთგადამხარავი;
- სრულად უნდა ფარავდეს ყველა შესაძლო პასუხს.

მრავალი არჩევითი პასუხით კითხვებს თან უნდა ახლდეს პასუხის გაცემის ინსტრუქცია. მაგ.: უნდა იყოს მითითებული, შეთავაზებული პასუხებიდან რესპონდენტმა მხოლოდ ერთი პასუხი უნდა აირჩიოს, თუ შეუძლია რამდენიმე პასუხის არჩევა. დიქტომიური კითხვების მსგავსად, მრავალი არჩევითი პასუხის მქონე კითხვების კოდირებაც სწრაფად ხდება, შესაძლებელია რაოდენობრივი მაჩვენებლების მიღება და ასეთი კითხვარების ანალიზი შედარებით მარტივია.

გახსოვდეთ, ასეთი კითხვები იშვიათად იძლევა მარტივ სტატისტიკაზე უფრო მეტს.

კითხვარის შედგენისას, მკვლევარები ხშირად იყენებენ **რეიტინგის სკალებსაც**. ასეთი სახის დებულებები/კითხვები მკვლევარისთვის საკმაოდ მოსახერხებელია. რეიტინგის სკალები რესპონდენტს მოცემული კითხვისთვის ან დებულებისთვის პასუხების დიაპაზონს სთავაზობს. მათი საშუალებით შესაძლებელია რესპონდენტთა დამოკიდებულების გაზომვა და შედეგების რაოდენობრივი სახით წარმოდგენა. რეიტინგის სკალის ერთ-ერთ სახეობას **ლაიკერტის სკალა** წარმოადგენს. ლაიკერტის სკალაზე დებულება შეიძლება შემდეგნაირად იყოს ჩამოყალიბებული:

**უფასო უმაღლესი განათლება ყველა სტუდენტისთვის  
უნდა იყოს ხელმისაწვდომი.**

- 1 = სრულიად არ ვეთანხმები;
- 2 = არ ვეთანხმები;
- 3 = არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები;
- 4 = ვეთანხმები;
- 5 = სრულიად ვეთანხმები.

ასეთი სკალა ასეც შეიძლება გამოიყურებოდეს:

გთხოვთ, უპასუხოთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს; ამისათვის შესაბამისი რიცხვის ქვეშ აღნიშნეთ მხოლოდ ერთი პასუხი. (რიცხვების მნიშვნელობებია: 1 = სრულიად არ ვეთანხმები; 2 = არ ვეთანხმები; 3 = არც ვეთანხმები, არც არ ვეთანხმები; 4 = ვეთანხმები; 5 = სრულიად ვეთანხმები).

- 1. **უფასო განათლება საშუალო საფეხურის ყველა მოსწავლისათვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი – 1 2 3 4 5**
- 2. **გამოცდილ მასწავლებლებს უფრო მეტი საგაკვეთილო საათი უნდა ჰქონდეთ – 1 2 3 4 5**  
და ა.შ.

რეიტინგის სკალის კიდევ ერთ ნაირსახეობას წარმოადგენს **სემანტიკური დიფერენციალი**, რომელშიც სკალის ორ ბოლოში ანტონიმი ზედსართავის სახელები თავსდება – ერთი ზედსართავი ერთ ბოლოში, ხოლო მისი ანტონიმი ზედსართავი – მეორე ბოლოში, მაგალითად:

**როგორ ფიქრობთ, რამდენად სასარგებლოა  
გაკვეთილის წინასწარ დაგეგმვა?**

სასარგებლო    1    2    3    4    5    6    7    უსარგებლო

რესპონდენტმა უნდა შემოხაზოს სკალის ის რიცხვი, რომელიც უფრო მეტად გამოხატავს მის მოსაზრებას.

როგორც აღვნიშნეთ, რეიტინგების სკალები იძლევა პასუხების ფართო დიაპაზონს, თუმცა სუსტი მხარეებიც გააჩნია:

- 1. კატეგორიებს შორის ინტერვალები არ არის თანაბარი, შესაბამისად, რანგი 4 არც იმაზე მიუთითებს, რომ ის ორჯერ ძლიერია, ვიდრე რანგი 2 და არც იმაზე, რომ ორჯერ მეტად იგრძნობა. ვერ ვიტყვით, რომ ლაიკერტის სკალაზე შეხედულების ინტენსივობა „ძალიან ვე-

თანხმებისა“ და „არ ვეთანხმების“ შორის შეესაბამება ინტენსივობას „ძალიან არ ვეთანხმებისა“ და „ვეთანხმების“ შორის;

2. შესაძლოა რესპონდენტს იმაზე მეტის ან უფრო მნიშვნელოვანის თქმა უნდოდა ვიდრე სკალაზეა მოცემული, მაგრამ კატეგორიების შეზღუდვის გამო ამის საშუალება არ მიეცა. ვერ გავიგებთ, უნდოდა თუ არა რესპონდენტს რაიმე შენიშვნის ან კომენტარის გაკეთება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. ამ პრობლემის გადასაჭრელად საკმარისია პილოტური კვლევის ჩატარება და „სხვა (გთხოვთ, დაასახელოთ)“ კატეგორიის დამატება.
3. რესპონდენტებმა შესაძლოა, თავი აარიდონ სკალის ყველაზე კიდურა პასუხებს და სკალის პუნქტების არჩევანი სამ შესაძლო ვარიანტზე დაიყვანონ. ეს ნიშნავს, რომ ფაქტობრივად, ძალიან მწირი არჩევანი რჩება. გამოსავალი უფრო ფართო სკალის შექმნაა, მაგალითად, 7-ქულიანის. 7-ქულიან სკალაზე მეტი, უფრო მეტ დეტალიზაციასა და სიზუსტეს ითხოვს. ასეთი სიზუსტე კი შესაძლოა არ შეეფერებოდეს მოცემულ დებულებას.
4. რესპონდენტები 5 ან 7 ქულიანი სკალის შემთხვევაში, ხშირად შუა ნაწილისკენ იხრებიან. ამის დაძლევის ერთი გზა სკალაზე ლუნი რაოდენობის პუნქტების გამოყენებაა, სადაც არ არის შუა წერტილი. მაგ.: შეიძლება შესთავაზოთ 4 ან 6 ქულიანი სკალა. მეორე მხრივ, თუ რესპონდენს არც ერთი მხარის დათანხმება და შუა წერტილის არჩევა უნდა, მაშინ მას ასეთი არჩევანის შესაძლებლობაც უნდა ჰქონდეს.

რეიტინგის სკალები უფრო მეტი ინფორმაციის მომცველი ინსტრუმენტებია, ვიდრე დიქტომიური სკალები. თუმცა რესპონდენტი აქაც შეზღუდულია. მას ფიქსირებული პასუხებიდან ერთის არჩევის საშუალება აქვს. რესპონდენტი ვერ გამოხატავს განსხვავებულ მოსაზრებას. ამ საკითხის მოგვარების მიზნით კითხვარში შეაქვთ ღია კითხვები. (კოჰენი, მანიონი და მორისონი 2007, 753)

### **ღია კითხვები –**

ღია კითხვებზე პასუხის გაცემისას რესპონდენტები საკუთარი სიტყვებით გამოხატავენ მოსაზრებას. როდესაც მდიდარი პიროვნული გამოცდილების შემცველი მონაცემების მიღებაა საჭირო, მაშინ ღია კითხვები უფრო გამოსადეგია. ღია კითხვებს თვისებრივი კვლევისას იყენებენ. ღია კითხვები რესპონდენტს საშუალებას აძლევს იმ მოცულობისა და შინაარსის პასუხი გასცეს, რაც მას სურს. ეს განსაკუთრებით ხელსაყრელია კომპლექსური საკითხების შესასწავლად. არის საკითხები,

რომელზედაც მარტივი პასუხების გაცემა შეუძლებელია. ღია კითხვებს ასევე დებულებების/კითხვების შესამუშავებლად იყენებენ, რომლებიც შემდეგ კითხვარში დახურული კითხვების მასალად გამოდგება. ღია კითხვები მონაწილეს საკუთარი სიტყვებით თავისუფლად წერის, პასუხების აღწერის, ახსნისა და შეფასების საშუალებას აძლევს და არ ზღუდავს მას წინასწარ მოცემული პასუხებით. ღია კითხვების შემთხვევაში, რესპონდენტებმა შესაძლოა ყურადღება არ მიაქციონ ინსტრუქციებს, რადგან საკუთარი აზრის გადმოცემით უფრო იყვნენ დაკავებულნი, ვიდრე ინსტრუქციების კითხვით. კითხვა შეიძლება იმდენად ღია იყოს, რომ რესპონდენტი ვერ მიხვდეს, რა სახის ინფორმაციას ითხოვენ მისგან. ამ შემთხვევაში შეიძლება შეუსაბამო და ზედმეტი ინფორმაცია მივიღოთ. ღია კითხვებზე პასუხის გაცემას მეტი დრო სჭირდება, შესაძლოა კითხვარი რესპონდენტისთვის გრძელი და მოსაწყენი გახდეს. არც ანალიზის თვალსაზრისით არის მარტივი მონაწილეების მონაცემების ურთიერთშედარება, პასუხების კოდირება და დახარისხება.

მიუხედავად ზემოთ აღწერილი ნაკლოვანებებისა, ღია კითხვები ძალზე მოსახერხებელი ინსტრუმენტია მცირე ზომის კვლევისთვის ან კითხვარის იმ ნაწილისთვის, სადაც რიცხვების შემოხაზვისა და პასუხის აღნიშვნების გარდა, რესპონდენტის გულწრფელი, პირადი მოსაზრებაც გვჭირდება. კითხვარში უბრალოდ მოცემულია ღია კითხვა და პასუხის ჩასაწერად ადგილია (ან ცარიელი ხაზი) დატოვებული.

ღია კითხვებით მოპოვებული ინფორმაცია ავთენტური, მდიდარი, ღრმა, გულწრფელი და პირდაპირია. ეს კი თვისებრივი მონაცემების გამორჩეული მახასიათებელია.

სამოქმედო კვლევა თავისი არსით თვისებრივი კვლევაა, შესაბამისად, ღია კითხვები და ინტერვიურება ხშირად გამოიყენება.

თუ ჭეშმარიტად ღია კითხვას ვსვამთ, ნაკლებად უნდა ველოდოთ, რომ მიღებული პასუხები იდენტური იქნება, ეს თავისთავად ართულებს მათ გაერთიანებას, ასევე რთულდება რესპონდენტების ურთიერთშედარება. თუმცა, ღია კითხვები რესპონდენტებს საშუალებას აძლევს, ნათელი მოჰფინონ ჩვენთვის საინტერესო საკითხს.

კითხვარის შედგენისას გაითვალისწინეთ შემდეგი საკითხები:

1. ერიდეთ მიმართულების მიმცემ კითხვებს. მიმართულების მიმცემი კითხვები რესპონდენტს რომელიმე პასუხზე მიუთითებს ან აფიქრებინებს, რომელიმე პასუხის უპირატესობას;

*მაგალითად: მიგაჩნიათ, რომ საგაკვეთილო გეგმების მომზადება დროის ტყუილად ხარჯვაა?*

2. **ერიდეთ მაღალფარდოვან, ინტელექტუალურ კითხვებს, ბევრად ეფექტიანია გასაგები და მარტივი ენის გამოყენება;**  
*მაგალითად: რამდენად მნიშვნელოვანია ქვეყნის კეთილდღეობისა და აღორძინებისთვის მოსწავლეებმა კოლბერგის ღირებულებების შესახებ განათლება მიიღონ?*
3. **ერიდეთ რთულ ქვეწყობილ წინადადებებს;**  
*მაგალითად: გირჩევნიათ ხანმოკლე ტრენინგები (3, 4 ან 5 სესია?) ნახევარდღიანი შესვენებით (მაგალითად, ოთხშაბათს, დღის მეორე ნახევარში) და კვირაში ერთსაღამოიანი დასწრებით, რის გზის ხარჯებასაც ანაზღაურებენ, თუ უფრო ხანგრძლივი ტრენინგები (6, 7 ან 8 სესია) ერთი სრულდღიანი დასვენებით, თუ დღის ერთ ნახევარში ყოველდღიურ ტრენინგსა და მეორეში დასვენებას ისურვებდით?*
4. **ერიდეთ გამაღიზიანებელ კითხვებსა თუ ინსტრუქციებს;**  
*მაგალითად: მუშაობის პარალელურად ოდესმე თუ გაგივლიათ რაიმე სახის ტრენინგი მთელი თქვენი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე? თუ ორმოც წელზე მეტის ბრძანდებით და არასოდეს გაგივლიათ ასეთი ტრენინგი, აღნიშნეთ პასუხები არასოდეს და ბებერი.*
5. **ერიდეთ უარყოფის და ორმაგი უარყოფის შემცველ კითხვებს;**  
*მაგალითად: რამდენად ხართ დარწმუნებული, რომ არც ერთ იმ მასწავლებელს, რომელსაც სრულ განაკვეთზე, სულ მცირე, ორ წელზე მეტი არ უსწავლებია, სამსახურიდან მოუწყვეტლად, შემოთავაზებულ სერტიფიცირებულ კურსებზე არ გაუშვებენ? ან: მიგაჩნიათ, რომ მშობლებისა და მასწავლებლების ასოციაციის გარეშე მასწავლებლები ვერ შეძლებდნენ მშობლებისთვის თავიანთი მოსაზრებების ნათლად გადაცემას? თუ ამ შემთხვევაში ფიქრობთ, რომ მშობლებისა და მასწავლებლების ასოციაცია არის გადამწყვეტი ფაქტორი, რომ მასწავლებლებმა შეძლონ საკუთარი აზრების გამოთქმა, რას უპასუხებდით – „დიახ“-ს თუ „არა“-ს? ასეთი გადამწყვეტილების მიღებისას რესპონდენტი აუცილებლად იყოყმანებს; შესაძლოა, კითხვის გადაკითხვა რამდენჯერმე დასჭირდეს და შედეგად კითხვას უპასუხოდ დატოვებს და შემდეგ შეკითხვაზე გადავა. აქ პრობლემატური ორმაგი – „გარეშე“ და „ვერ შეძლებენ“ – უარყოფაა, რაც აბნევს რესპონდენტს.*
6. **ერიდეთ ძალიან ბევრ ღია კითხვას. თვითადმინისტრირებად კითხვარებში (როდესაც რესპონდენტი დამოუკიდებლად ავსებს კითხვარს), ვერ დავაკონკრეტებინებთ რესპონდენტს, რას გულისხმობს**

კონკრეტულ პასუხში. (თუმცა, ეს არ ეხება ინტერვიუს). ღია კითხვები ბევრ დროს ითხოვს რესპონდენტისგან. იფიქრეთ მის დროზე და ნუ შეიტანთ ისეთ კითხვებს, რომლებიც მისგან უფრო მეტ დროს ითხოვს. ეცადეთ კითხვები იყოს ნათელი;

*მაგალითად: რესპონდენტისთვის გაუგებარია ასეთი ინსტრუქცია: გამოიყენეთ გვერდები 5, 6 და 7 და აღწერეთ სამუშაოს პარალელურად შემოთავაზებული ტრენინგებისადმი ზოგადად თქვენი დამოკიდებულება და მათი ღირებულება პრაქტიკოსი მასწავლებლის პროფესიული ცხოვრებისთვის.*

7. ერიდეთ რეიტინგის სკალების განაპირა პასუხებს, მაგალითად: „არასოდეს“, „ყოველთვის“, „სრულიად“, „სულაც არა“, თუ მათი გამოყენებისთვის მყარი საფუძველი არა გაქვთ. რესპონდენტების უმრავლესობა უარს ამბობს ამ კატეგორიების გამოყენებაზე;

8. ერიდეთ ასოციაციით გამონეულ ზენოლას;

*მაგალითად: „ეთანხმებით თქვენს დირექტორს, რომ წინასწარ მომზადებული საგაკვეთილო გეგმა დადებითად აისახება საგაკვეთილო პროცესზე?“. ამ შემთხვევაში, დირექტორის მოსაზრების შეფასებაში, შესაძლოა, გავლენა მოახდინოს რესპონდენტზე. უმჯობესია, შეკითხვა სხვაგვრად ჩამოყალიბდეს. მაგალითად: „ეთანხმებით მოსაზრებას, რომ წინასწარ მომზადებული საგაკვეთილო გეგმა დადებითად აისახება საგაკვეთილო პროცესზე?“.*

9. ერიდეთ ბუნდოვან კითხვებს ან ისეთ კითხვებს, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარად შეიძლება. სიტყვების ბუნდოვანების და ორაზროვნების პრობლემა ძნელად გადასაჭრელია. საუკეთესო შემთხვევაში შესაძლებელია მისი შემცირება და არა – სრულიად აღმოფხვრა. ყველაზე უწყინარი კითხვებიც კი შეიძლება იყოს ორაზროვანი;

*მაგალითად: რეგულარულად ამზადებთ გაკვეთილის გეგმებს? რას ნიშნავს „რეგულარულად“ – დღეში ერთხელ, წელიწადში ერთხელ, სემესტრში ერთხელ, თუ კვირაში ერთხელ? ორაზროვანი კითხვის მაგალითია: რამდენი კომპიუტერი გაქვთ სკოლაში? რა იგულისხმება: გაქვთ, მაგრამ არ მუშაობს; ისინიც უნდა ჩაითვალოს, რომლებიც გასაკეთებლად არის სკოლიდან წაღებული; სკოლის საკუთრებაში მყოფი თუ თანამშრომლებისა და მოსწავლეების საკუთარი კომპიუტერები? სკოლაში ამჟამად არსებული კომპიუტერების ზუსტი რაოდენობა თუ საშუალო?*

10. ერიდეთ ორმაგ კითხვებს;

მაგალითად: საგაკვეთილო გეგმის წინასწარ მომზადება აუმჯობესებს გაკვეთილის ხარისხს, თუმცა, ის მხოლოდ დამწყები მასწავლებლებისთვის უნდა იყოს სავალდებულო? ეს, ფაქტობრივად, ორმაგი კითხვაა. რესპონდენტი, რომელიც ეთანხმება წინადადების პირველ ნაწილს: „საგაკვეთილო გეგმის წინასწარ მომზადება აუმჯობესებს გაკვეთილის ხარისხს“, მაგრამ არ ეთანხმება მის მეორე ნაწილს, გაურკვევლობაში აღმოჩნდება და ვერ გაცემს ამ კითხვას პასუხს. ამიტომ, კითხვის შემუშავებისას უნდა დასვათ ერთი კითხვა.

11. კითხვარის შექმნისას გაითვალისწინეთ, რომ კატეგორიები არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ფარავდნენ ერთმანეთს.

მაგალითად: რამდენ ხანს ანდომებთ გაკვეთილის გეგმის შემუშავებას? ა) 15-20 წთ; ბ) 20-30 წთ; გ) 30-40 წთ; დ) 40-50 წთ; ე) 50-60 წთ. აქ კატეგორიები არ არის წყვეტილი. მასწავლებელი, რომელიც გაკვეთილის გეგმის მომზადებას 20 წუთს ანდომებს და სურს გვაჩვენოს, რომ სწრაფად მუშაობს, შემოხაზავს ა) პასუხს – 15-20 წუთი, ხოლო მასწავლებელი, რომელიც იგივე დროს ანდომებს, მაგრამ თვლის რომ საგაკვეთილო გეგმების წერა ზედმეტად დროის ხარჯვაა, მონიშნავს ბ) პასუხს – 20-30 წუთი.

იდეალური კითხვარი ზუსტი, ნათელი და პრაქტიკულია. ამცირებს მონაცემების დამუშავებაში შეცდომების რისკს, მოტივაციას აძლევს რესპონდენტებს და შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფს მათ გულწრფელ პასუხებს (კოჰენი, მანიონი და მორისონი 2007, 770-772).

### **კითხვარის ფორმატი**

კითხვარის შემუშავებისას ყურადღება მიაქციეთ მის დიზაინს: მას მარტივი ფორმა უნდა ჰქონდეს, უნდა იყოს მიმზიდველი და საინტერესო. როდესაც კითხვარს პირველად შეხედავს რესპონდენტი, ის არ უნდა ტოვებდეს რთულის, ბუნდოვანის, საშიშის და მოსაწყენის შთაბეჭდილებას.

შემჭიდროვებულად დაბეჭდილი კითხვარი არ არის მიმზიდველი და მასში ყველაფერი ერთად არის „ჩაყრილი“. კითხვებს შორის უნდა იყოს სივრცე. უფრო სახალისოა რესპონდენტებისათვის, როცა კითხვებსა და პასუხებს საკმარისი ადგილი ეთმობა.

კითხვარი ისე შეადგინეთ, რომ რესპონდენტს საშუალება ჰქონდეს გაეცნოს კითხვარის თითოეული სექციის მიზანს. კითხვარის ყოველი სექციის წინ მოკლედ დაწერეთ მიზნები და ფოკუსი, განერეთ მოკლე, ზუსტი და გასაგები ინსტრუქციები.

კითხვარი შეიძლება დაბეჭდოთ ფერად ფურცლებზე. ეს რესპონდენტს დაეხმარება გაერკვეს კითხვარის მთლიან სტრუქტურაში. რესპონდენტისთვის ასევე მოსახერხებელია განსხვავებული ფერით დაბეჭდილი ინსტრუქციები.

რესპონდენტთა გულწრფელობა კვლევისთვის მნიშვნელოვანია. კითხვარის დასაწყისშივე აღწერეთ კონფიდენციალობის და ანონიმურობის შესახებ გარანტიები.

მაგალითად: უთხარით რესპონდენტებს, რომ მათ არ მოეთხოვებათ სახელების ან რაიმე მაიდენტიფიცირებელი მონაცემის მითითება.

კითხვარის ბოლოს სთხოვეთ რესპონდენტს, გადაამოწმოს, ხომ არ გამორჩა რომელიმე კითხვა; მადლობა გადაუხადეთ მონაწილეობისა და თანამშრომლობისათვის და აცნობეთ, რომ მონაცემების დამუშავების შემდეგ მიაწვდით ინფორმაციას შედეგების შესახებ.

კითხვარებს დაურთეთ თანმხლები წერილი. კითხვარის თანმხლები წერილის მიზანია, რესპონდენტს აცნობოს კვლევის არსისა და მნიშვნელოვნების შესახებ, დაარწმუნოს ის მის კონფიდენციალობაში და პასუხების გასაცემად წახალისოს. თანმხლები წერილი უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- კვლევის დასახელება;
- მკვლევარის ან ორგანიზაციის წარდგენა: სახელი, გვარი, მისამართი, ორგანიზაციის დასახელება, საკონტაქტო ტელეფონი/ფაქსი/ელ.ფოსტა;
- კვლევის მიზნები;
- კვლევის მნიშვნელობა და სარგებელი;
- კითხვარის დაბრუნების პროცედურა ;
- მითითებული იყოს კითხვარის უკან დაბრუნების თარიღი;
- ანონიმურობისა და კონფიდენციალობის გარანტიები;
- მონაცემთა გამოყენების პირობები;
- წინასწარ უხდიდეს მადლობას რეპოდენტებს თანამშრომლობისათვის.

### **კითხვარის პილოტირება**

კითხვარების შედგენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს! წარმატებული კვლევისთვის მნიშვნელოვანია, რომ კითხვარი წინასწარ შემოწმდეს, რათა გაიზარდოს მისი სანდოობა, ვალიდობა და გამოყენების შესაძლებლობა. პილოტირების ეტაპზე ხდება:

- დებულებების/კითხვების და ინსტრუქციების შემონმება;
- სიტყვების ფორმულირებაში ორაზროვნებისა და სირთულეების აღმოფხვრა;
- დახურული და მრავალი არჩევითი პასუხის მქონე კითხვაზე სავარაუდო პასუხის, ასევე, ამ პასუხის შესატყვისობის შესახებ კომენტარების მიღება;
- გამორჩენილი, ზედმეტი და შეუსაბამო დებულებების გამოვლენა;
- მიმართულების მიმცემ კითხვებზე უკუკავშირის მიღება;
- კითხვარის გარეგნული მხარისა და დიზაინის შესახებ უკუკავშირის მიღება;
- კითხვარის სქემის, სექციებად დაყოფის, გადანომვრისა და დებულებებად დაყოფის შესახებ უკუკავშირის მიღება;
- კითხვარის შევსებისთვის საჭირო დროის გადამონმება;
- კითხვარის სირთულის შემონმება;
- ზედმეტი კითხვების გამოვლენა;
- გაუგებარი ან დაუსრულებელი დებულებების გამოვლენა;
- მონაცემების ანალიზისთვის კოდირებისა და კლასიფიცირების სისტემის შემონმება.

რომ შევაჯამოთ, ყველაფერი, რაც კითხვარის საბოლოო ვარიანტში გვექნება, პილოტირების დროს უნდა გამოვცადოთ: შეკითხვების და დებულებების ფორმულირება, პასუხები, შეკითხვების თანმიმდევრობა, ტექსტის ზომა, შრიფტი და ქალაქის ხარისხიც კი.

მას შემდეგ, რაც კითხვარის შემუშავება დასრულებულია, იწყება მნიშვნელოვანი ეტაპი – მონაწილეთა გამოკითხვა. გამოკითხვის რამდენიმე ხერხი არსებობს:

- თვითადმინისტრირება;
- ფოსტით;
- პირპისპირ ინტერვიუ;
- ტელეფონით;
- ინტერნეტით.

ჩვენ მხოლოდ თვითადმინისტრირებად და ინტერვიუს საფუძველზე გამოყენებულ კითხვარს განვიხილავთ.

კითხვარი რესპონდენტმა შეიძლება შეავსოს მკვლევარის თანდასწრებით და მკვლევარის დაუსწრებლად, სახლში ან სამსახურში.

მკვლევარის თანდასწრებით კითხვარის შევსება იმით არის სასარგებლო, რომ რესპონდენტს ნებისმიერი კითხვით და კომენტარით შეუძლია მიმართოს მას. გარდა ამისა, ასეთ დროს უფრო მეტი შევსებული კითხვარის დაბრუნების შესაძებლობა არსებობს და მკვლევარს შეუძლია გადაამოწმოს რამდენად სრულად და სწორად არის შევსებული კითხვარი, სანამ საბოლოოდ ჩაიბარებს მას. თუმცა მკვლევარის თანდასწრებით შევსებას უარყოფითი მხარეც აქვს – შეიძლება რესპონდენტები დააფრთხოს მკვლევარის დასწრებამ და ძალდატანების განცდა გაუჩინოს. რესპონდენტებმა შეიძლება უხერხულად იგრძნონ თავი კითხვარის შევსებისას და არ დაასრულონ ის, ანდა სულაც არ დაიწყონ მისი შევსება. შესაძლოა, რესპონდენტებს დამატებითი დროც დასჭირდეთ, რომ გაიაზრონ და სრულად შეავსონ კითხვარი, მაგალითად, სახლში. მკვლევარის თანდასწრებით კი, მათ ამის საშუალება არ აქვთ. გარდა რესპონდენტისა, თავად მკვლევარისთვისაც შეიძლება მოუხერხებელი აღმოჩნდეს ეს პროცესი. ამ შემთხვევაში მკვლევარი უნდა შეუთანხმდეს რესპონდენტს დროსა და ადგილზე, რასაც შესაძლოა ბევრი გადაადგილება დასჭირდეს. მკვლევარის თანდასწრებით მონაცემების შეგროვებას შედარებით მეტი დრო სჭირდება და ზოგიერთ შემთხვევაში ძვირი ჯდება მგზავრობა.

არსებობს მეორე ალტერნატივა – **მკვლევარის დაუსწრებლად ჩატარებული თვით-ადმინისტრირებადი გამოკითხვა**. ასეთ დროს რესპონდენტს საშუალება აქვს, თავისით შეავსოს კითხვარი, როცა უნდა და სადაც უნდა. რესპონდენტი იმდენ დროს უთმობს კითხვარს, რამდენიც სჭირდება, არის ნაცნობ გარემოში, სადაც არავითარი საფრთხე და ზენოლა არ ემუქრება. მკვლევარის გარეშე კითხვარის შევსება უფრო იაფი და ანონიმურია, ვიდრე ეს მკვლევარის თანდასწრებით იქნებოდა. ანონიმურობა რესპონდენტებს შედარებით გულწრფელს ხდის. თუმცა, აქაც არსებობს მეორე მხარე: მკვლევარი ვერ უპასუხებს რესპონდენტის სპონტანურად გაჩენილ კითხვებსა თუ პრობლემებს. მათ შეიძლება გამოტოვონ ან თავი დაანებონ შეკითხვას. რესპონდენტებმა შეიძლება არასწორადაც გაიგონ კითხვები და შესაბამისად, არასწორად უპასუხონ მათ. უფრო მაღალია მცდარი სურათის წარმოჩენის რისკი. მკვლევარი ვერ აკონტროლებს იმ გარემოს, რომელშიც რესპონდენტი კითხვარს ავსებს. მაგალითად, ხმაურს, დროს, სხვების თანდასწრებას (ვისთანაც რესპონდენტმა შეიძლება გაარჩიოს კითხვები და პასუხები), კითხვარის შევსებისადმი დამოკიდებულების სერიოზულობას. ასევე, ნამდვილად ის ადამიანი ავსებს თუ არა კითხვარს, ვისთვისაც იგი განკუთვნილია.

კითხვარის ადმინისტრირების ორივე მიდგომას აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. თავად უნდა განსაზღვროთ, რომელ ტიპს გამოიყენებთ. უნდა შეაფასოთ დრო, ფინანსები, რესპონდენტთა რაოდენობა და ადგილმდებარეობა, გაითვალისწინოთ მათი დამოკიდებულებები, გრძნობები და განცდები.

## ინტერვიუ

ჩვენ უკვე განვიხილეთ კითხვარების ძლიერი და სუსტი მხარეები. კითხვარების მთავარი ნაკლი ისაა, რომ ის რესპონდენტს არ აძლევს საკუთარი აზრის ვრცლად ან განსხვავებული მოსაზრების გამოხატვის საშუალებას. ამ პრობლემის თავიდან არიდების ერთ-ერთი საშუალება რესპონდენტისთვის ღია კითხვის შეთავაზებაა. მაგრამ კითხვარით შეიძლება სრულად ვერ გავიგოთ რესპონდენტის მოსაზრება, შეიძლება რესპონდენტთა ნაწილმა თავი აარიდოს საკუთარი მოსაზრების არგუმენტირებას ან იმის ახსნას, რატომ გააჩნია ეს აზრი. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ უფრო სირღმისეულად გვსურს გავიგოთ ამა თუ იმ საკითხზე რესპონდენტის აზრი, უმჯობესია, თუ მასთან პირისპირ ვისაუბრებთ, მისგან ავიღებთ ინტერვიუს. ინტერვიუ რესპონდენტსაც და ინტერვიუერსაც საშუალებას აძლევს, მათი სამყაროს შესახებ საკუთარი ინტერპრეტაციებით ისაუბრონ, სიტუაციებზე საკუთარი მოსაზრებები გამოთქვან. (კოჰენი, მანიონი და მორისონი 2007, 803). ინტერვიუს დროს, როგორც ვერბალური, ასევე არავერბალური კომუნიკაცია ინფორმაციას უფრო ემოციურს ხდის. ინტერვიუერი რესპონდენტის განცდებსაც იგებს. ეს კი, თავის მხრივ, ინფორმაციის სიზუსტეს უწყობს ხელს. ინტერვიუს დროს შესაძლებელია პროცესის გაკონტროლება. სრული პასუხების გარდა, შესაძლებელია ღრმა და კომპლექსური პასუხების მიღებაც. თუმცა, ინტერვიუსაც აქვს უარყოფითი მხარეები, მაგ. ხანგრძლივობა – ინტერვიუს არც ისე მცირე დრო მიაქვს. პირისპირ ინტერვიუს დროს შეიძლება რესპონდენტიც გადაიღალოს, ან საუბრისას უხერხულადაც გრძნობდეს თავს. ინტერვიუს დროს რთულია ანონიმურობის დაცვა.

სპეციალისტები გამოყოფენ ინტერვიუს რამდენიმე ტიპს, თუმცა ამ სახელმძღვანელოში განვიხილავთ სტრუქტურირებულ, არასტრუქტურირებულ და ნახევრად სტრუქტურირებულ ინტერვიუებს. თითოეულ მათგანს გააჩნია უპირატესობაც და ნაკლიც. მკვლევარმა თავად უნდა განსაზღვროს, რომლის გამოყენება უფრო მოსახერხებელია მისთვის. **სტრუქტურირებული ინტერვიუს** დროს მკვლევარს წინასწარ აქვს განსაზღვრული ის თემები და კითხვები, რაზეც უნდა ჩატარდეს ინტერვიუ.

რესპონდენტებს ერთი და იმავე კითხვებს ერთსა და იმავე თანმიმდევრობით უსვამს, ეს მას საშუალებას აძლევს შეადაროს რესპონდენტთა პასუხები.

**არასტრუქტურირებული ინტერვიუს** დროს მკვლევარს განსაზღვრული აქვს თემა, რაზეც უნდა ისაუბროს, ხოლო კითხვები და შესაბამისად მათი თანმიმდევრობაც მეტწილად სხვადასხვა რესპონდენტთან განსხვავებულია. სტრუქტურირებული ინტერვიუ მაშინაა სასარგებლო, როდესაც მკვლევარმა იცის, თუ რა უნდა გაიგოს საკითხის შესახებ, რა არის მისთვის უცნობი. მკვლევარი ადგენს სასურველი ინფორმაციის მისაღებად საჭირო კითხვებს.

არასტრუქტურირებული ინტერვიუ მაშინ გამოდგება, როდესაც მკვლევარმა არ იცის, რა იმალება მისი ცოდნის მიღმა და ამიტომ ამის თქმას რესპონდენტებს მიანდობს. (კოჰენი, მანიონი და მორისონი 2007, 814).

ინტერვიუსთვის კითხვების ფორმულირებისას:

- გამოიყენეთ მარტივი ლექსიკა;
- ერიდეთ ბუნდოვანებასა და უზუსტობას;
- ერიდეთ მიმართულების მიმცემ კითხვებს (ან გადაწყვეტით, რამდენად გამართლებულია მათი გამოყენება კონკრეტულ სიტუაციაში);
- არ დაუსვათ რამდენიმე კითხვა ერთად;
- ერიდეთ კითხვებს, რომლებიც მოიაზრებენ დაშვებებს (მაგალითად, სამსახურში მანქანით დადიხართ?);
- ერიდეთ ჰიპოთეტურ ან სპეკულაციურ კითხვებს;
- ერიდეთ სენსიტიურ ან პირადულ კითხვებს (ან გადაწყვეტით, რამდენად მიზანშეწონილია მათი დასმა კონკრეტულ სიტუაციაში);
- დაფიქრდით, რამდენად ადვილია (ან ძნელი) რესპონდენტისთვის იმის გახსენება, რასაც სთხოვთ.

კვლევის დროს შესაძლებელია, ზემოთ მოყვანილი ორი ტიპის ინტერვიუს შუალედური ვარიანტიც გამოიყენოთ. მას **ნახევრად სტრუქტურირებულ ინტერვიუს** უწოდებენ. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს მომზადებისას განსაზღვრეთ ინტერვიუს თემა და რამდენიმე კითხვა. ინტერვიუს მიმდინარეობიდან გამომდინარე, შეიძლება შეცვალოთ როგორც კითხვების თანმიმდევრობა, ასევე მათი შინაარსი, ან დაამატოთ ახალი, განსხვავებული კითხვები. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს გეგმა შეიძლება მოიცავდეს:

- განსახილველ თემას;

- თითოეული თემის შესახებ დასასმელ კითხვებს;
- თითოეულ თემაში განსახილველ საკითხებს, შესაძლო პასუხებითურთ;
- თითოეული თემისთვის, საკითხისა და კითხვისთვის დამაზუსტებელ კითხვებს, რომელიც სიღრმისეულ ინფორმაციას მოგაწვდით საკვლევი საკითხის შესახებ.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია თითოეული ტიპის ინტერვიუს ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე, მათ შორის არსებული განსხვავებები.

ინტერვიუს ტიპი	მახასიათებლები	ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
არასტრუქტურირებული	<ul style="list-style-type: none"> <li>• კითხვები უშუალოდ საუბრის მომენტში წარმოიშობა;</li> <li>• წინასწარ არ არის განსაზღვრული კითხვის თემა;</li> <li>• კითხვები წინასწარ არ არის ფორმულირებული.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ზრდის კითხვების მოქნილობასა და რელევანტობას;</li> <li>• შეუძლია მიერგოს სიტუაციებსა და ინდივიდებს.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სხვადასხვა ადამიანი რიგ სიტუაციაში განსხვავებულ ინფორმაციას იძლევა;</li> <li>• ნაკლებად სისტემური და ყოველმხრივია;</li> <li>• მონაცემების დალაგება და ანალიზი რთულია.</li> </ul>
ნახევრადსტრუქტურირებული	<ul style="list-style-type: none"> <li>• განსახილველი თემები და საკითხები წინასწარ არის განსაზღვრული;</li> <li>• ინტერვიუერი პროცესის მსვლელობისას თავად წყვეტს, რა თანმიმდევრობით დაუსვას კითხვები რესპონდენტს;</li> <li>• კითხვები წინასწარ არ არის ფორმულირებული.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• წინასწარ მომზადებული გეგმა ზრდის ყოვლისმომცველი მონაცემების მიღების ალბათობას;</li> <li>• ინტერვიუს აქვს საუბრის ფორმა და სიტუაციურია.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მნიშვნელოვანი თემები შეიძლება უნებლიედ უყურადღებოდ დარჩეს.</li> <li>• კითხვების თანმიმდევრობასა და ფორმულირებაში ინტერვიუს მოქნილობამ სხვადასხვა რესპონდენტისგან შეიძლება განსხვავებული პასუხები მოგვცეს და გართულდეს პასუხების შედარება.</li> </ul>

ინტარპის ტიპი	მახასიათებლები	ქლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
სტრუქტურირებული	<ul style="list-style-type: none"> <li>• კითხვების ზუსტი ფორმულირება და თანმიმდევრობა წინასწარაა განსაზღვრული;</li> <li>• ყველა რესპონდენტს უცვლელი თანმიმდევრობით, ერთსადა იმავე კითხვებს უსვამენ.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• რესპონდენტები ერთსა და იმავე კითხვებს პასუხობენ, რაც ზრდის პასუხების შედარების შესაძლებლობას;</li> <li>• ინტერვიუში განხილული თემების შესახებ ყოველი რესპონდენტისგან მონაცემები ყველა კითხვაზე მიიღება.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ნაკლებად მოქნილია კონკრეტულ ინდივიდებისთვის.</li> <li>• სტანდარტიზების გამო კითხვებმა და პასუხებმა შეიძლება დაკარგოს ბუნებრივობა.</li> </ul>

ინტერვიუს ტიპის შერჩევისას მნიშვნელოვანია, გაითვალისწინოთ რა არის ინტერვიუს მიზანი. თუ გსურთ სხვადასხვა ადამიანის ან სიტუაციის შესადარებლად საჭირო ინფორმაციის მიღება, უფრო მეტად სტანდარტიზებული და რაოდენობრივი ინტერვიუ დაგჭირდებათ. თუ თვენი მიზანი უნიკალური, არასტანდარტიზებული და პერსონიფიცირებული ინფორმაციის მიღებაა, ან საკითხის მრავალმხრივად შესწავლა გსურთ, მაშინ ნაკლებად სტანდარტიზებული ინტერვიუ დაგჭირდებათ, სადაც კითხვების მოდიფიცირების საშუალებაც გექნებათ.

ინტერვიუს ტიპის და ფორმატის არჩევა დამოკიდებულია განსახორციელებელი კვლევის მიზნებსა და ამოცანებზე. მას შემდეგ, რაც განსაზღვრავთ კვლევის მიზნებს და საკვლევ თემებს, შეგიძლიათ დაიწყოთ ინტერვიუს კითხვებზე ფიქრი. კოჰენი, მანიონი და მორისონი (2007, 820) გვთავაზობენ რამოდენიმე ფაქტორს, რომელიც მკვლევარმა უნდა გაითვალისწინოს კითხვის ფორმატის შემუშავების დროს:

- ინტერვიუს ამოცანები;
- განსახილველი თემის ბუნება;
- რა აინტერესებს ინტერვიუერს: ფაქტები, მოსაზრებები თუ დამოკიდებულებები;
- სურს თუ არა მკვლევარს კონკრეტულობა ან სიღრმე;
- რესპონდენტის განათლების დონე;
- რა სახის ინფორმაციის მიღებას მოელის მკვლევარი;
- საჭიროა თუ არა რესპონდენტის აზრების სტრუქტურირება;
- რესპონდენტის მოტივაციის დონის შეფასება;

- როგორ ესმის ინტერვიუერს რესპონდენტის სიტუაცია;
- რესპონდენტთან რა სახის ურთიერთობის დამყარებას შეიძლება მოელოდეს ინტერვიუერი.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, შეგიძლიათ გადანწყვიტოთ როგორი კითხვები გამოიყენოთ: ღია თუ დახურული, პირდაპირი თუ არაპირდაპირი, კონკრეტული თუ ზოგადი და ა.შ.

მაგალითად, თუ მასწავლებელს ჰკითხავთ მოსწონს თუ არა საგაკვეთილო გეგმების ყოველდღიურად შემუშავება, ეს პირდაპირი კითხვაა. თუ იკითხავთ რესპონდენტის მოსაზრებას ხარისხიანი გაკვეთილის ჩატარების პირობებზე, მაშინ კითხვა არაპირდაპირი იქნება. ეს საშუალებას მოგცემთ კითხვაზე გაცემული პასუხიდან დაასკვნათ მასწავლებლის დამოკიდებულება ხარისხიანი გაკვეთილის ჩატარებასა და გაკვეთილების ყოველდღიურად დაგეგმვას შორის კავშირზე. როდესაც კითხვა არაპირდაპირია, რესპონდენტს საშუალება ეძლევა იმსჯელოს და გამოხატოს საკუთარი მოსაზრება. ამ დროს მეტია იმის ალბათობა, რომ თქვენთვის საინტერესო თემაზე უფრო გულწრფელი პასუხი მიიღოთ, ვიდრე პირდაპირი კითხვის დასმისას. ინტერვიუს დროს ასევე შეიძლება დაისვას კონკრეტული ან ზოგადი კითხვა. მაგ.: თუ მოსწავლეს ვკითხავთ მოსაზრებას რომელიმე მასწავლებლის შესახებ, მაშინ ეს კონკრეტული კითხვა იქნება, ხოლო თუ შევეკითხებით, რომელიმე საგანში სწავლების მეთოდების შესახებ, მაშინ ეს ზოგადი კითხვა იქნება. ტუკმენის (1972) აზრით – „კონკრეტულმა კითხვებმა, პირდაპირი კითხვების მსგავსად, რესპონდენტი შეიძლება უფრო ფრთხილი ან ჩაკეტილი გახადოს, ის ნაკლებად გულწრფელ პასუხებს მოგვცემს. რესპონდენტისთვის ნაკლებად საგანგაშო ზოგადმა კითხვებმა შეიძლება შემოვლითი გზით მიგვიყვანოს სასურველ ინფორმაციამდე“. (კოჰენი, მანიონი და მორისონი 2007, 824).

მას შემდეგ, რაც ინტერვიუსთვის საჭირო თემები და შესაბამისად კითხვებიც მომზადებულია, საჭიროა რესპონდენტთა შერჩევა. შეიძლება რესპონდენტები მანამდეც შეარჩიოთ და მათზე მორგებული კითხვები შეიმუშაოთ. ეს კვლევის საჭიროებაზეა დამოკიდებული. რამდენი რესპონდენტი საჭირო იმისთვის, რომ კვლევა წარმატებული იყოს, ამაზე რაიმე მზა ინსტრუქცია ან რეცეპტი არ არსებობს. ეს დამოკიდებულია კვლევის შინაარსზე და მკვლევარის შესაძლებლობებზე.

ერთი შეხედვით, რაც უფრო მეტი რესპონდენტი გვეყოლება, მით უფრო კარგად იქნება შესწავლილი საკითხი. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ამავე დროს უფრო რთულდება შეგროვებული მონაცემების ანალიზი, განსაკუთრებით როცა რესპონდენტს ღია კითხვებს ვუსვამთ

ან არასტრუქტურირებულ ინტერვიუს ვატარებთ. ასევე, გარკვეული რაოდენობის შემდეგ, ხდება პასუხების ე.წ. გაჯერება. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი რესპონდენტებისგან ახალ ცოდნას ველარ ვიღებთ, რადგან ინფორმაცია ძირითადად მეორდება. აქედან გამომდინარე, მკვლევარმა თავად უნდა განსაზღვროს რესპონდენტთა ის ოპტიმალური რაოდენობა, რაც ერთის მხრივ უზრუნველყოფს საჭირო რაოდენობის ინფორმაციის შეგროვებას, ხოლო მეორე მხრივ შესაძლებელს გახდის მონაცემთა დაჯგუფებასა და ანალიზს.

### **ინტერვიუს ჩატარება**

მას შემდეგ, რაც უშუალოდ ინტერვიურების ეტაპზე გადახვალთ, მნიშვნელოვანია, რესპონდენტს გააცნოთ ინტერვიუს მიზანი. იყავით გულწრფელი, მაგრამ არა მიკერძოებული. შექმენით ისეთი პირობები, რომ რესპონდენტმა თავი უსაფრთხოდ იგრძნოს, მას უნდა გაუადვილოთ ლაპარაკი, აუხსნათ, თუ როგორ მიმდინარეობს ინტერვიუ. რესპონდენტისგან უნდა აიღოთ ინტერვიუს ჩანერის ნებართვა. ინტერვიუს მსვლელობისას უნდა დააკვირდეთ და მართოთ ყველა პროცესი. ინტერვიუს დროს არ უნდა გამოვლინდეს თქვენი მიკერძოებულობა და ღირებულებები, ასევე, თავი უნდა აარილოთ შეფასებებსა და საყვედურებს. იმ შემთხვევაში, თუ ისინი გაურბიან თემას, უნდა წარმართოთ და მიმართულება მისცეთ რესპონდენტებს, მაგრამ ზომიერებისა და ზრდილობის ფარგლებში. არსებითი მნიშვნელობა აქვს, სულ გვახსოვდეს ის ფაქტი, რომ ინტერვიუ არის სოციალური, პიროვნებათშორისი ურთიერთობა და არა უბრალოდ მონაცემების შეგროვება (კოჰენი, მანინონი და მორისონი 2007, 832).

გთავაზობთ ინტერვიუს დაგეგმვისა და განხორციელებისთვის საჭირო რამდენიმე რეკომენდაციას:

- დაფიქრდით სად წარიმართება ინტერვიუ. თუ გარემო თქვენ უნდა მოაწყობთ, დაფიქრდით როგორ განალაგებთ ავეჯს წრიულად, ოვალურად, სწორ ხაზზე თუ რაიმე სხვა?
- შეამცირეთ ყურადღების გამფანტავი გამაღიზიანებელი ფაქტორები, მათ შორის გარედან ხელის შემშლელი ფაქტორები (ტელეფონის ზარები, კარზე დაკაკუნება გარედან შემოსული ხმაური და ა.შ.);
- განსაზღვრეთ რა ფორმით ჩაინიშნავთ რესპონდენტის პასუხებს (ჩაინიშნავთ, ვიდეოს ჩაინერთ, თუ აუდიო ჩანაწერი გჭირდებათ). გაითვალისწინეთ რესპონდენტის მიმღებლობა და დამოკიდებულება და სთხოვეთ მას ნებართვა;

- ნუ იქნებით ზედაპირული და გამოხატეთ დაინტერესება;
- გამოავლინეთ პატივისცემა რესპონდენტის მიმართ;
- გაიმეორეთ შეკითხვა თუ ეს რესპონდენტს სურს;
- გალიზიანების გარეშე გადადით შემდეგ კითხვაზე თუ რესპონდენტს არ სურს ან არ შეუძლია კითხვაზე პასუხის გაცემა;
- განსაზღვრეთ, როგორ დასვამთ კითხვას სენსიტიურ საკითხებზე (თუ ამის საჭიროება არსებობს);
- კითხვის დასმის შემდეგ მიეცით რესპონდენტს ფიქრის საშუალება, არ დაარღვიოთ სიჩუმე და ნუ დაიწყებთ მის ნაცვლად პასუხის გაცემას;
- რესპონდენტს სიტყვა არ შეაწყვეტინოთ;
- ერიდეთ რესპონდენტის პასუხების შეფასებასა და გაკიცხვას;
- ყურადღება მიაქციეთ არავერბალურ კომუნიკაციას, თვალის კონტაქტს, ასევე აკონტროლეთ და საჭიროების შემთხვევაში ცვალებით თქვენი ხმის ტემბრი და ინტონაცია;
- ერიდეთ საკუთარი მოსაზრებების გამოთქმას, იყავით ნეიტრალური;
- დარწმუნდით, რომ გესმით რესპონდენტის პასუხი, საჭიროების შემთხვევაში კი გადაამოწმეთ, რამდენად სწორად გაიგეთ;
- თუ ამჩნევთ, რომ რესპონდენტის პასუხი არასრულია, მაგრამ გრძნობთ, რომ მას მეტი თქმა შეუძლია, დაუსვით დამაზუსტებელი შეკითხვა.
- ერიდეთ თემიდან თემაზე გადახტომას;
- თუ ინტერვიუ სტრუქტურირებულია, მიჰყევით გეგმას;
- ჯგუფური ინტერვიუს დროს განსაზღვრეთ როგორ გადაანაწილებთ ყურადღებას რესპონდენტებზე;
- უზრუნველყავით, რომ ერთმა ინტერვიუერმა მეორეს ხელი არ შეუშალოს;
- განსაზღვრეთ როგორ გადასცემენ რესპონდენტები ერთმანეთს სიტყვას;
- ერიდეთ ინტერვიუს ძალიან ადრე დასრულებას და სწრაფად შეჯამებას;
- ინტერვიუ არ უნდა იყოს ძალიან ხანგრძლივი, რომ რესპონდენტი არ დაიღალოს და პროცესი მოსაწყენი არ გახდეს;

- ინტერვიუს ბოლოს მიეცით რესპონდენტებს კომენტარის დამატების საშუალება და გადაუხადეთ მადლობა.

### **ფოკუს ჯგუფები**

ფოკუს ჯგუფები ჯგუფური ინტერვიუს ფორმაა. მკვლევარი ხელოვნურად ქმნის გარემოს და თემის ან საკითხის განსახილველად სპეციალურად შერჩეულ ადამიანებს ინვესს. ფოკუს ჯგუფის დროს მიღებული ინფორმაცია ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთქმედების შედეგია. ფოკუს ჯგუფის დროს, მონაწილეები ძირითადად ერთმანეთთან ურთიერთქმედებენ და არა – ინტერვიუერთან. მიუხედავად იმისა, რომ ფოკუს ჯგუფის დროს არაბუნებრივი გარემოა, იგი ძალზე ფოკუსირებულია კონკრეტულ საკითხზე და ამიტომ ისეთ ინფორმაციას და მიგნებებს იძლევა, როგორც პირდაპირი ინტერვიუს დროს შესაძლოა ვერ მიგველო. ფოკუს ჯგუფი დროის თვალსაზრისით საკმაოდ ეკონომიურია და საშუალებას იძლევა დროის მცირე მონაკვეთში რამდენიმე ადამიანისგან მივიღოთ დიდი რაოდენობით მონაცემები, თუმცა, ეს ინფორმაცია, საერთო ჯამში, მაინც უფრო ნაკლებია იმ ინფორმაციაზე, რაც იგივე რაოდენობის ადამიანებთან ინდივიდუალური ინტერვიუების დროს შეიძლება მიგველო.

ფოკუს ჯგუფები შეიძლება გამოვიყენოთ როდესაც დაგეგმილი გვაქვს ინტერვიუ ან გამოკითხვა და გვჭირდება კითხვების ან დებულებების შემუშავება. ამ დროს შეიძლება წამოიჭრას ისეთი საინტერესო საკითხები, რაზეც მკვლევარს მანამდე არ უფიქრია. ფოკუს ჯგუფის წევრებად უნდა შეარჩიოთ ისეთი ადამიანები, რომლებსაც იგივე, ან მსგავსი მახასიათებლები აქვთ, რაც იმ პოტენციურ რესპონდენტებს, რომელთა გამოკითხვას ან ინტერვიურებას გეგმავთ. მაგ., თუ გსურთ, გამოკითხვა ჩაატაროთ სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებს შორის, მაშინ ფოკუს ჯგუფის წევრი შეიძლება იყოს ამავე სკოლის რამდენიმე მე-10 კლასელი მოსწავლე. სახელმძღვანელოს დასაწყისში მოყვანილ სამოქმედო კვლევაში, ფოკუს ჯგუფი გამოყენებული იყო კითხვარის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც განკუთვნილი იყო სკოლის პედაგოგების გამოკითხვისათვის. ფოკუს ჯგუფი შედგებოდა საკვლევევი კომისიის (მკვლევართა ჯგუფი) წევრებისაგან. ამ ინსტრუმენტის გამოყენების მიზანი იყო პედაგოგების მოსაზრებებისა და დამოკიდებულებების დადგენა ყოველდღიურ სილაბუსთან (საგაკვეთილო გეგმა) და მის წარმოებასთან დაკავშირებით. მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად შემუშავდა კითხვარი, რომლითაც გამოიკითხა სკოლის ყველა მოსწავლეელი. ფოკუს ჯგუფები მეტწილად თვისობრივ მონაცემებს იძლევა. მისი გამოყენება გარდა ზემოაღნიშნული მაგალითისა მოსახერხებელია როცა გვჭირდება:

- კონკრეტულ, ჩვენთვის საინტერესო სფეროზე ორიენტირება;
- ჰიპოტეზის ჩამოყალიბება, რომელიც დაფუძნებულია ჯგუფის მოსაზრებებსა და მიგნებებზე;
- ადამიანთა კონკრეტული ჯგუფის დამოკიდებულებების, ღირებულებების და მოსაზრებების შესახებ ინფორმაციის გაგება. ეს მიგნებები შესაძლოა განზოგადდეს მსგავსი მახასიათებლის მქონე სხვა პირებზეც;
- განხორციელებული კვლევიდან უკუკავშირის მიღება. ფოკუს ჯგუფი საშუალებას გვაძლევს სწრაფად და იაფად შევავროვოთ ინფორმაცია, რაც მკვლევარისთვის საკმაოდ მოსახერხებელია და ბოლო პერიოდში აქტიურად გამოიყენება. ბუნებრივია, ფოკუს ჯგუფებსაც აქვთ უარყოფითი მხარეები:
- ფოკუს ჯგუფი თითქმის არ იძლევა რიცხობრივ, თვლად მონაცემებს და ამ მხრივ შედეგების განზოგადება იშვიათად არის შესაძლებელი;
- უფრო ნაკლებ ინფორმაციას იძლევა, ვიდრე გამოკითხვები;
- არსებობს რისკი, რომ ფოკუს ჯგუფის დროს ზოგი მონაწილე გაირიყოს, ზოგი კი დომინირებდეს დისკუსიაში;
- არსებობს ჯგუფური უთანხმოების წარმოქმნის რისკი;
- საერთო ჯამში, მონაცემები შეიძლება ნაკლებად სანდო იყოს. იმისათვის, რომ თქვენ მიერ დაგეგმილმა ფოკუს ჯგუფმა მოგცეთ სასურველი შედეგები, უნდა გაითვალისწინოთ რამდენიმე ძირითადი საკითხი:
- ერთ თემაზე შეიძლება ჩატარდეს რამდენიმე ფოკუს ჯგუფი. ასეთ შემთხვევაში შესაძლებლობა გექნებათ დაადგინოთ, თქვენ მიერ მიღებული ინფორმაცია მხოლოდ ერთი კონკრეტული ჯგუფისთვის არის დამახასიათებელი, თუ სხვა ჯგუფებშიც მსგავსი შედეგები გაქვთ.
- განსაზღვრეთ ჯგუფის წევრების რაოდენობა. მცირე რაოდენობის მონაწილეების შემთხვევაში მიღებული ინფორმაციის სანდოობა ნაკლებია, დიდი რაოდენობის მონაწილეების შემთხვევაში კი რთულდება ჯგუფის მართვა. ფოკუს ჯგუფის წევრთა ოპტიმალური რაოდენობა 8-დან 10-მდე მონაწილეა.
- მონაწილეებს საშუალება უნდა ჰქოდეთ, რომ სურვილის შემთხვევაში შეხვედრას აღარ დაესწრონ. აქედან გამომდინარე, სასურველია, რომ ფოკუს ჯგუფისთვის იმაზე მეტი მონაწილე შეირჩეს, ვიდრე რეალურად საჭიროა.

- ყურადღება მიაქციეთ მონაწილეთა შერჩევის პრინციპს. ყველა მონაწილეს უნდა გააჩნდეს ის მახასიათებლები, რაც კვლევისთვის არის საჭირო ან ჯგუფს ჰქონდეს მოცემულ სფეროში ერთგვაროვანი გამოცდილება. წინააღმდეგ შემთხვევაში დისკუსიას ფოკუსი დაეკარგება;
- შეხვედრაზე დაბალანსებული უნდა იყოს დირექტიულობა და განსახილველი თემიდან გადახვევა, ანუ, შეხვედრა თავისუფალი უნდა იყოს, მაგრამ არ უნდა გასცდეს თემას. (კოჰენი, მანიონი და მორი-სონი 2007, 869)

### დოკუმენტების შესწავლა

ინფორმაციის შეგროვების კიდევ ერთი ეფექტური საშუალება დოკუმენტების შესწავლაა. დოკუმენტების მრავალგვარი ფორმა არსებობს მაგალითად:

- |   |  |
|---|--|
| <ul style="list-style-type: none"> <li>• სავლელ ჩანაწერები;</li> <li>• დღიურები და ჟურნალები;</li> <li>• ჩანაწერები;</li> <li>• ბიოგრაფიები;</li> <li>• ავტობიოგრაფიები;</li> <li>• დროის ცხრილები/განრიგები;</li> <li>• ტექნიკური დოკუმენტები;</li> <li>• შეხვედრის ჩანაწერები;</li> <li>• მოსწავლეთა ნაშრომების ნიმუშები;</li> <li>• სამახსოვროები და ელექტრონული მიმოწერა;</li> <li>• საფოსტო მიმოწერა;</li> <li>• სტატისტიკური მონაცემები;</li> </ul> | <ul style="list-style-type: none"> <li>• მარეგულირებელი დოკუმენტები;</li> <li>• გეგმები;</li> <li>• რეკლამები;</li> <li>• ცნობარები და მაჩვენებლები;</li> <li>• არქივები;</li> <li>• ამბები;</li> <li>• მემუარები და ქრონიკები;</li> <li>• ფოტოსურათები;</li> <li>• საგაზეთო სტატიები;</li> <li>• წიგნები და სტატიები;</li> <li>• საჯარო ჩანაწერები;</li> <li>• ინტერვიუები;</li> <li>• და ა.შ.</li> </ul> |
|---|--|

ზოგიერთ სკოლაში სხვადასხვა ტიპის ბევრ დოკუმენტს ინახავენ. მაგალითად: ზოგ სკოლაში მოსწავლეთა შეფასებისთვის იყენებენ პორტფოლიოებს, ასევე მასწავლებლებიც ქმნიან საკუთარი საქმიანობის ამსახველ პორტფოლიოს. მაშინ, როცა ზოგიერთ სკოლაში მსგავსი რამ საერთოდ არ ხდება და ძირითადად მხოლოდ მარეგულირებელი დოკუმენტებს ანარმოებენ და ინახავენ. ასევე განსხვავებულია სკოლაში

მიმდინარე პროცესების დოკუმენტრების მიზნობრიობაც. ზოგიერთ სკოლაში ამ დოკუმენტებს თანამშრომლებს უზიარებენ, სხვა სკოლებშია შეიძლება იგივე ტიპის მასალები მშობლებს გაუზიარონ, ან ხელმძღვანელისთვის ანგარიშის ჩაბარების მიზნით გამოიყენონ. დოკუმენტების უმრავლესობა მკვლევარისთვის არ იქმნება, მათ სხვა მიზნითა და განსხვავებული აუდიტორიისთვის ამზადებენ. ეს ეჭვქვეშ აყენებს მათ სანდოობას<sup>3</sup> და ვალიდობას<sup>4</sup>. თუმცა, ზოგიერთი დოკუმენტი შეიძლება მიზანმიმართულად იყოს კვლევისთვის შექმნილი. მაგალითად, სკოლას აქვს კვლევების ჩატარების გამოცდილება. უკვე ჩატარებული კვლევის ანგარიში შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს მკვლევარისთვის.

დოკუმენტების ანალიზი რამდენიმე თვალსაზრისითაა მოსახერხებელი. ის მკვლევარს ძნელად მისაწვდომი პიროვნებებსა ან თემებზე წვდომის შესაძლებლობას აძლევს. დოკუმენტური კვლევა დროში განმეორებადი ანალიზისთვისაც გამოსადეგია. მან შეიძლება აჩვენოს, როგორ ვითარდებოდა სხვადასხვა სიტუაციები დროთა განმავლობაში. მაგალითად, ბიბლიოთეკარის ჩანაწერები, სადაც აღნუსხულია წლების განმავლობაში სკოლის ბიბლიოთეკის მკითხველთა რაოდენობა, ან ყველაზე მოთხოვნადი წიგნი სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლისთვის.

ზოგიერთი დოკუმენტი, მაგალითად – წერილები და დღიურები, შეიძლება ისეთ პირად დეტალებსა და გრძნობებს ასახავდეს, რომლებიც სხვა გზით არ გამოიჟღავნდებოდა.

3 რაოდენობრივ კვლევებში სანდოობა გვიჩვენებს რამდენად ზუსტად არის შესრულებული კვლევა. მაღალი სანდოობის რაოდენობრივ კვლევებში, რესპოდენტთა მსგავს ჯგუფებთან მსგავს კონტექტში ჩატარებული კვლევების შედეგები მსგავს შედეგებს იძლევა. რაც უფრო მსგავსია კვლევის შედეგები, მით უფრო სანდოა კვლევა.

თვისობრივ კვლევებში სანდოობა შეიძლება განიხილებოდეს როგორც თანხვედრა მკვლევარის მიერ მონაცემად ჩანერილსა და ბუნებრივ გარემოში რეალურად მომხდარს შორის. მაგ. რამდენად მსგავსი იქნებოდა მკვლევარის მონაცემები და ინტერპრეტაციები, დაკვირვება სხვა დროსა და ადგილას რომ განეხორციელებინა? ისეთივე ინტერპრეტაციებს გააკეთებდა თუ არა სხვა მკვლევარი იმავე სიტუაციაში იმავე ფენომენის შესწავლისას?

4 ვალიდობა გვიჩვენებს რამდენად ვზომავთ იმას, რისი გაზომვაც კვლევის შედეგად გვსურს. ძირითადად განსახვავებენ გარე და შიდა ვალიდობას:

შიდა ვალიდობა გვიჩვენებს რამდენად არის გათვალისწინებული გარე ფაქტორების და არაკონტროლირებადი ცვლადების გავლენა კონტროლირებად ცვლადებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დამყარებისას; გარე ვალიდობა გვიჩვენებს რამდენად შეესაბამება შედეგები იმ ტიპის ცხოვრებისეულ სიტუაციას, რომელიც გამოკვლეული იყო და რამდენად არის შესაძლებელი კვლევის შედეგების განზოგავდება უფრო დიდ პოპულაციაზე.

თუ დოკუმენტები ბიბლიოთეკაში, კოლექციაში ან არქივში ინახება, მაშინ მათი მოძიებას მცირე დრო და მინიმალური ფინანსები სჭირდება. დოკუმენტების შესწავლისას შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ ბევრი მათგანი თქვენთვის საინტერესო თემის სპეციალისტის ან ექსპერტის მიერ იყოს დაწერილი. ცხადია, ის უფრო ღირებულ ინფორმაციას შეიცავს, ვიდრე – შედარებით არაინფორმირებული მოყვარულის მიერ შედგენილი დოკუმენტი.

დოკუმენტების შესწავლას აქვს თავისი უარყოფითი მხარეებიც: დოკუმენტი შეიძლება მიკერძოებული იყოს, ვინაიდან მის შექმნას სხვა მიზანი ჰქონდა, კვლევისთვის არ დაწერილა, სხვა აუდიტორიისთვის იყო განკუთვნილი და სხვა კონტექსტში დაწერა. ის შეიძლება მოვლენების ინტერპრეტაცია იყოს და არა ობიექტიური ანგარიში.

ზოგიერთ დოკუმენტზე შეიძლება მკვლევარს ხელი არ მიუწვდებოდეს, ამიტომ ვერ შეძლოს მისი შესწავლა. დოკუმენტებს მრავალფეროვანი ფორმა და შინაარსი აქვთ, ამიტომ, მათი ანალიზის სტანდარტული ფორმა არ არსებობს. ამასთან ერთად, დოკუმენტების შესწავლისას, გათვალისწინებული უნდა იყოს დოკუმენტის შექმნის კონტექსტი, რომ გასაგები გახდეს მათი იმდროინდელი მნიშვნელობა.

დოკუმენტების შესწავლისას არ უნდა გამოგვრჩეს მათი სანდოობა და ვალიდობა. დოკუმენტები სოციალური პროდუქტია, მისი შესწავლის მიზნით კითხვები უნდა დასვათ. დოკუმენტებში ხშირად მიზანმიმართულად არ არის მოცემული გარკვეული დეტალები, ან ინფორმაცია. დოკუმენტს თავისი მიზანი და საკუთარი აუდიტორია ყავს, ის მათ ემსახურება და არა – მკვლევარს. პირველ პირში დაწერილი ან კონკრეტული მიზნისთვის შექმნილი დოკუმენტის ვალიდობა მაღალია. თუმცა, მისი მიზანი შეიძლება არ ემთხვეოდეს კვლევის მიზანს და ამით ირღვეოდეს მისი ვალიდობა. მიკერძოებულობა, შერჩევითობა, აუტიდორიის კუთვნილება, კვლევის მიზნებისგან განსხვავებული ზრახვები და ცვეთა (გარკვეული დროის შემდეგ ინფორმაცია შეიძლება მოძველებული იყოს) ამცირებს დოკუმენტის ვალიდობას. დოკუმენტების შესწავლისას ყურადღება მიაქციეთ მის ავთენტურობასა და წარმომავლობას.

ხშირად ძნელია დოკუმენტში ფაქტის გამიჯვნა ინტერპრეტაციისგან. ამიტომ, უკიდურესი სიფრთხილით უნდა მიუდგეთ დოკუმენტების გამოყენებას. დოკუმენტებს საკუთარი „ცხოვრება“ აქვთ და მოვლენების ინტერპრეტაციებს წარმოადგენენ. დოკუმენტის გაგებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მისი შექმნის დროს არსებული კონტექსტის გაგება. ამიტომ, აუცილებელია მათი კონტექსტში განხილვა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გთავაზობთ დოკუმენტების შესწავლისთვის საჭირო კითხვებს:

დოკუმენტის კონტენტში	დოკუმენტის ავტორი	დოკუმენტის გამომყენება
<ul style="list-style-type: none"> <li>• რა დოკუმენტია?</li> <li>• სად მოიძიეთ?</li> <li>• როდის დაინერა?</li> <li>• რა სახის დოკუმენტია?</li> <li>• რაზე ფოკუსირდება?</li> <li>• რა თავდაპირველი განზრახვები და მიზნები (ლია ან ფარული) ჰქონდა დოკუმენტის შექმნას?</li> <li>• რა პოლიტიკური და სოციალური კონტექსტი ჰქონდა დოკუმენტს?</li> <li>• რა მოსალოდნელი შედეგები ჰქონდა დოკუმენტს?</li> <li>• როგორ გამოიყენეს?</li> <li>• რა შედეგები გამოიღო დოკუმენტმა?</li> <li>• სხვა რომელ დოკუმენტებს ეყრდნობოდა აღნიშნული დოკუმენტი?</li> <li>• ვინ იყო დოკუმენტის აუდიტორია?</li> <li>• რა სტატუსი ჰქონდა და აქვს დოკუმენტს?</li> <li>• რა სტილით და ტონით არის შესრულებული დოკუმენტი?</li> <li>• რას მოიცავს და რას გამორიცხავს დოკუმენტი?</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ვინ დანერა დოკუმენტი?</li> <li>• რა იცით ავტორის შესახებ?</li> <li>• რა ინტერესები ჰქონდა ავტორს?</li> <li>• რა სტატუსი/პოზიცია/ცოდნა ჰქონდა ავტორს?</li> <li>• რას ამბობს დოკუმენტი მისი ავტორის შესახებ?</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• როგორ უნდა ნაიკითხოთ დოკუმენტი?</li> <li>• პირადად იცნობთ თუ არა დოკუმენტის ავტორს?</li> <li>• რა (დამატებითი) ინფორმაცია გჭირდებათ დოკუმენტის გასაგებად?</li> <li>• როგორ შეიძლება დოკუმენტის გამოყენება კვლევაში, ან უნდა იყოს თუ არა ის გამოყენებული?</li> <li>• როგორი შეიძლება იყოს დოკუმენტის საუკეთესო ანალიზი?</li> <li>• რას გეუბნებათ დოკუმენტი თქვენ, როგორც მკითხველს/მკვლევარს?</li> <li>• დოკუმენტის კითხვისას სანდოობისა და ვალიდობის პრობლემები თუ დგება?</li> <li>• რა ადგილი უკავია დოკუმენტს მთლიან კვლევაში?</li> </ul>

ამ შეკითხვებზე პასუხების გაცემა დაგეხმარებათ შესასწავლი დოკუმენტის შეფასებაში და სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.

### დაკვირვება

დაკვირვება ბუნებრივ სიტუაციებში „ცოცხალი“ მონაცემების შეგროვების პროცესია. მკვლევარს შეუძლია, უშუალოდ ადევნოს თვალი ადგილზე მიმდინარე მოვლენას და არ დაეყრდნოს მეორად (სხვისგან მოწოდებულ) ანგარიშებს. დაკვირვებით ვალიდური მონაცემების მოგროვება შეგვიძლია. ეს მისი ძლიერი მხარეა. თუმცა, დაკვირვებას სხვა მიზნიდველი მახასიათებლებიც აქვს. ადამიანების ნამოქმედარი შეიძლება განსხვავდებოდეს ამავე ნამოქმედარის შესახებ მათივე მონაყოლიდან, დაკვირვება კი რეალობის შემონმების შესაძლებლობას იძლევა. მკვლევარი ყოველდღიურ ქცევაზე დაკვირვების შედეგად იღებს ისეთ მონაცემს, რომელიც შეიძლება შეუმჩნეველი დარჩენილიყო. როგორც წესი, დაკვირვების დროს, ყურდლება ექცევა შემდეგ საკითხებს:

- სად ხდება მოვლენა?
- რომელი ჯგუფი მონაწილეობს?
- რა სიტუაციაში ვითარდება მოქმედება?
- რამდენი ადამიანია? მათი ვინაობა და მახასიათებლები.
- როგორ არის მონაწილე ფიზიკური გარემო?
- რა რესურსები გამოიყენება მოცემულ სიტუაციაში?
- როგორ არიან განლაგებული მონაწილეები?
- როგორ ექცევიან მონაწილეები ერთმანეთს?
- რა სტატუსები და როლები აქვთ მონაწილეებს?
- ვინ იღებს გადაწყვეტილებებს?
- ვინ რას ამბობს?
- რომელ საკითხს განიხილავენ ხშირად/იშვიათად?
- განხილულ საკითხებს შორის რომელია მნიშვნელოვანი?
- რა სახის არავერბალური კომუნიკაცია გამოიყენება?
- ვინ არის მოსაუბრე და ვინ მსმენელი?
- როდის ხდება მოვლენა?
- რამდენ ხანს გრძელდება მოვლენა?
- როგორ ნაწილდება დრო მოვლენის მსვლელობისას?

- რატომ ხდება ეს მოვლენა?
- რა მნიშვნელობა აქვს მონაწილეებისთვის იმას რაც ხდება?
- და ა.შ.

მკვლევარი შეიძლება დააკვირდეს კლასში წიგნების რაოდენობის, კლასში მოსწავლეთა რაოდენობისა და ბიბლიოთეკაში შესულ მოსწავლეთა რაოდენობას შორის ურთიერთმიმართებას. დაკვირვება კლასში მიმდინარე მოვლენებზეც შესაძლებელია. მკვლევარს შეიძლება აინტერესებდეს მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის საუბრის ხანგრძლივობა, ჯგუფური მუშაობის ხანგრძლივობა. გარდა ამისა, დაკვირვებისას შესაძლოა მოვაგროვოთ მონაცემები ქცევებსა და თვისებებზე, მაგალითად: მასწავლებლის კეთილგანწყობა, მოსწავლეებს შორის აგრესიული თუ ასოციალური ქცევის ხარისხი.

დაკვირვება მკვლევარს საშუალებას აძლევს დაინახოს სხვა შემთხვევაში შეუმჩნეველად დარჩენილი მოვლენები და საგნები, აღმოაჩინოს ის, რაზეც მონაწილეებმა შეიძლება ვერ შეძლონ ღიად საუბარი ინტერვიუს დროს.

დაკვირვების განსახორციელებლად აუცილებელია, მკვლევარმა შეარჩიოს დასაკვირვებელი გარემო, შემდეგ მოიპოვოს გარემოზე დაკვირვების უფლება და განსაზღვროს გარემოზე დაკვირვების საშუალებები. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს მკვლევარი სრულფასოვან დაკვირვებას. დაკვირვებისას ხშირად ჩნდება კითხვა: რამდენი ხანი უნდა გრძელდებოდეს დაკვირვება? არ არსებობს რაიმე უცვლელი წესი, თუმცა, დაკვირვების შეწყვეტა შეგიძლიათ მაშინ, როდესაც სიტუაცია, რომელსაც აკვირდებით, მხოლოდ იმეორებს უკვე არსებულ მონაცემებს.

**დაკვირვების გამოყენებით შეგვიძლია შევაგროვოთ მონაცემები:**

- ფიზიკური გარემოს შესახებ;
- ადამიანების ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთმიმართების შესახებ;
- სწავლა-სწავლების პროცესის შესახებ.  
არსებობს არასტრუქტურირებული, ნახევრად სტრუქტურირებული და სტრუქტურირებული დაკვირვება.

**სტრუქტურირებული** (წინასწარ დაგეგმილი) დაკვირვებისას, წინასწარ არის ცნობილი, რას ვაკვირდებით. კვლევის დაწყებამდე მკვლევარი განსაზღვრავს კატეგორიებს, რომლებსაც უნდა დააკვირდეს. დაკვირვების მონაცემები ადასტურებს ან უარყოფს კვლევის ჰიპოთეზას.

**ნახევრად სტრუქტურირებული** დაკვირვებისას წინასწარ არსებობს დასაკვირვებელი საკითხების ნუსხა, მკვლევარი მონაცემებს სწორედ ამ საკითხების შესახებ აგროვებს, ოღონდ ნაკლებად სისტემური სახით.

**არასტრუქტურირებული** დაკვირვებისას ნაკლებად არის ცნობილი რას უნდა დავაკვირდეთ, ამიტომ, დაკვირვების გარემო კარნახობს მკვლევას რა ხდება და რამდენად მნიშვნელოვანია ეს კვლევისთვის.

ნახევრად სტრუქტურირებული, განსაკუთრებით კი არასტრუქტურირებული დაკვირვება ჰიპოთეზების ჩამოსაყალიბებლად უფრო გამოიყენება, ვიდრე მათი შემომწმებისთვის. ნახევრად სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული დაკვირვების შემთხვევაში, ჯერ დაკვირვების მონაცემებს განიხილავენ და შემდეგ იწყებენ აღმოჩენილი ფენომენის ახსნას.

თუ განსაზღვრული გვაქვს რისი დაკვირვება გვინდა, მაშინ დაკვირვება წინასწარ მომზადებული ცხრილების საშუალებით შეიძლება წარვიმართოს. სტრუქტურირებული დაკვირვების მომზადებას ბევრი დრო სჭირდება, მაგრამ, ვინაიდან კატეგორიები წინასწარაა შემუშავებული, მიღებული მონაცემების ანალიზი სწრაფად ხდება. არასტრუქტურირებული მიდგომისას – მომზადებას ცოტა დრო უნდა, თუმცა მონაცემების ანალიზს გაცილებით მეტი დრო სჭირდება.

**სტრუქტურირებული დაკვირვება** სისტემატიზირებულია. ამ ტიპის დაკვირვებიდან მკვლევარი აგროვებს რაოდენობრივ მონაცემებს. რაოდენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით ადვილია გარემოებებისა და სიტუაციების ურთიერთშედარება, სიხშირეების, მიმართულებებისა და ტენდენციების აღმოჩენა ან გამოთვლა. ამ დროს დამკვირვებელს პასიური როლი აქვს, არ იჭრება სიტუაციაში და უბრალოდ ინიშნავს შესასწავლ ფაქტორებს. მონაცემები დაკვირვების ცხრილში იწერება. ცხრილში მკვლევარმა შესასწავლი დებულებები და მათი მახასიათებლები უნდა ჩაწეროს.

გთავაზობთ კოჰენის, მანიონისა და მორისონის (2007, 913) მიერ მომზადებულ მასწავლებლისა და მოსწავლის საუბრის ათწუთიანი მონაკვეთის დაკვირვების ცხრილის ნიმუშს. სადაც მასწავლებელი და მოსწავლეები საუბრობენ მასწავლებლის მიერ მიცემულ ამოცანებზე. 1-დან 7-მდე დებულებები მიუთითებენ, თუ ვინ ვის ელაპარაკება (დებულება), 8-დან 11-მდე კი – თავად საუბრის ბუნებას გვიჩვენებს (მახასიათებელი).

/ – საუბარში მონაწილეობა

v – საუბრის ბუნება

N	დებულება	დრო – ინტერვალი 30 წამი																			
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
1	მოსწავლე მოსწავლეს	/	/	/	/																
2	მოსწავლე მოსწავლეებს					/	/														
3	მოსწავლე მასწავლებელს											/	/	/	/						
4	მოსწავლეები მასწავლებელს						/	/	/	/	/										
5	მასწავლებელი მოსწავლეს															/	/				
6	მასწავლებელი მოსწავლეებს																	/	/	/	
7	მოსწავლე საკუთარ თავს																				
8	მიცემული ამოცანა					v	v						v	v	v	v	v	v	v	v	v
9	წინა ამოცანა							v	v	v	v	v									
10	შემდგომი ამოცანა																				
11	ამოცანის უქონლობა	v	v	v	v																

თითოეული სვეტი 30 წამიან ინტერვალს შეესაბამება, ანუ, მარცხნიდან მარჯვნივ გადაადგილება მოვლენის თანმიმდევრობის ქრონოლოგიას ასახავს და მკვლევარი ყოველ 30 წამში ცხრილის სათანადო უჯრაში აკეთებს იმის აღნიშვნას, თუ რომელ დებულებას შეესაბამება კლასში მიმდინარე საუბარი.

დებულებები წინასწარ უნდა გქონდეთ შემუშავებული. დარწმუნდით, რომ ყველა შესაძლო შემთხვევა გაქვთ შეყვანილი დებულებებში, ისინი არ უნდა ფარავდნენ ერთმანეთს. იმისთვის, რომ დებულებების ურთიერთგადაფარვა არ მოხდეს, საჭიროა პოლოტური კვლევის ჩატა-

რება. წინასწარ უნდა განისაზღვროს მახასიათებლების აღმნიშვნელი სიმბოლოები „V“, (/), (x), (l), რიცხვები (1, 2, 3 და ა. შ.), ასოები (ა, ბ, გ და ა. შ.), და ა.შ.

თუ რამდენიმე დამკვირვებელი აკვირდება პროცესს, აუცილებელია შეთანხმდეს სიმბოლოები, ყველა დამკვირვებელი ერთსა და იმავე დროს უნდა აკეთებდეს აღნიშვნას. რამდენიმე დამკვირვებლის ერთობლივ მუშაობას განაფვა სჭირდება, ამიტომ, სასურველია, წინასწარ გაივარჯიშონ ერთობლივად ცხრილის შევსებასთან დაკავშირებით.

თუ დეტალური დაკვირვება საჭირო, მაშინ დროის მონიშვნებს შორის ინტერვალები ძალიან მცირე უნდა იყოს (მაგ. 10 წამი, ან კიდევ უფრო მცირე შუალედები). დაკვირვებისას რამდენჯერაც დაფიქსირდება ჩვენთვის საინტერესო მოვლენა, იმდენჯერვე უნდა აღინიშნოს მის გასწვრივ. მაგ.

მასწავლებელი უღიმის ბავშვს        ///  
 ბავშვი უღიმის მასწავლებელს        //  
 მასწავლებელი უღიმის მშობელს        //  
 მშობელი უღიმის მასწავლებელს        //

მონაცემის ასეთი სახით წარმოდგენა პროცესის სრულად აღწერის საშუალებას არ იძლევა. მაგ. მოყვანილ მაგალითში ჩანს, რომ მასწავლებელი მშობელზე და მოსწავლეზე მეტს იღიმის. თუმცა, არ ჩანს პროცესი. ეს ცხრილი არ იძლევა ცდის პირთა ქცევის გამომწვევი მიზეზების ვარაუდის შესაძლებლობას. ასევე, არ ჩანს პროცესის ქრონოლოგია, ვინ ვის მერე იღიმოდა ან ვინ გაიღიმა პირველმა.

სასურველია ჩანიშვნები ცხრილში გაკეთდეს. ცხრილში მოცემული უნდა იყოს დებულებები და დროის ინტერვალი. ქვემოთ მოცემულია ცხრილი, რომელიც შემუშავებულია კოჰენის, მანიონისა და მორისონის (2007, 919) მიერ შექმნილი ნიმუშის მიხედვით. ცხრილში ჩანიშვნებს შორის დროის ინტერვალი 30 წამს შეადგენს.

დებულება	დრო – ინტერვალი 30 წამი						
	1	2	3	4	5	6	7
მასწავლებელი უღიმის ბავშვს	/	/				/	/
ბავშვი უღიმის მასწავლებელს		/	/				
მასწავლებელი უღიმის მშობელს					/	/	
მშობელი უღიმის მასწავლებელს				/			/

ცხრილიდან ჩანს, რომ პირველად მასწავლებელმა გაუღიმა ბავშვს, ამის შემდეგ გაუღიმა მოსწავლემ მასწავლებელს და მშობელმა მასწავლებელს. ცხრილიდან ჩანს, რომ მასწავლებელი იყო ღიმილის ინიციატორი. მონაცემების ასეთი სახით აღწერის შემთხვევაში შესაძლებლობა გეძლევათ დაამყაროთ ცდის პირთა მოქმედებებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. რაც, თავის მხრივ, რაოდენობრივ მაჩვენებელზე მეტია და პროცესის თვისობრივად აღწერის საშუალებას იძლევა.

დაკვირვების დროს მკვლევრის ჩართულობის რამდენიმე ფორმა არსებობს:

1. მკვლევარი შესასწავლი ჯგუფის წევრის როლს ირგებს და არ ამჟღავნებს, რომ მკვლევარია. თავადაც იქცევა როგორც ჯგუფის წევრი და ისე აკვირდება პროცესებს. ასეთი დაკვირვება ფარული ჩართული დაკვირვების დროს ხდება.
2. შესასწავლი ჯგუფის წევრებმა იციან, რომ მათ აკვირდებიან, თუმცა ურთიერთობა მკვლევარსა და ჯგუფის წევრებს შორის არ არსებობს ან ძალიან მცირეა.
3. ჯგუფის წევრებმა არ იციან რომ მათ აკვირდებიან. (მაგალითად, ცალმხრივი სარკის გამოყენებისას, ან შენობაში არსებული ვიდეომეთვალყურეობის კამერით დაკვირვება). ასეთი დაკვირვება ფარული დაკვირვების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს.

**ფარული ჩართული დაკვირვება** შეიძლება განსაკუთრებით სასარგებლო იყოს მცირე ჯგუფების, ხანმოკლე მოვლენებზე დაკვირვებისას. ასეთი დაკვირვების დროს ჯგუფის წევრებისთვის უცნობია, რომ მათ აკვირდებიან. ეს არღვევს ინფორმირებული თანხმობის პრინციპს, ირღვევა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. თუმცა, ფარული კვლევა შეიძლება აუცილებელი იყოს მარგინალურ და სტიგმატიზებულ ჯგუფებში შესაღწევად, ან იმ ჯგუფების კვლევისას, რომლებიც არ თანხმდებიან მკვლევრის თხოვნას, ჩაერთონ კვლევაში.

ფარული ჩართული დაკვირვების დროს არსებობს „გაშინაურების“ რისკიც, მკვლევარმა შეიძლება გაითავისოს ჯგუფის ღირებულებები, ნორმები და ქცევები. ამ შემთხვევაში ის მხოლოდ მკვლევარი აღარ არის და ჯგუფის წევრი ხდება.

მიჩელს (1993) ფარული კვლევის სასარგებლოდ ძლიერი არგუმენტები მოჰყავს. ის ამტკიცებს, რომ ფარული კვლევის წარმოებაზე უარის თქმა ფარულად მოქმედ, ძალაუფლების მქონე ჯგუფებში

შელწვევაზე უარის თქმაა. ეს კი სენსიტიური, მაგრამ მნიშვნელოვანი თემების კვლევის უარყოფაა. იგი ამბობს, რომ ასეთი კვლევის ჩაუტარებლობით უარს ვამბობთ, ნაკლებად ცნობილი ჯგუფების ან სიტუაციების შესახებ საზოგადოებისთვის საჯარო ინფორმაციის მიწოდებაზე. ფარული კვლევის გამართლება შეიძლება, როცა გვჯერა, რომ სხვა ტიპის დაკვირვების შემთხვევაში ინდივიდების ბუნებრივი ქცევა შეიცვლება, თუ მათ ეცოდინებათ, რომ აკვირდებიან. ფარული კვლევა ძალზედ სახიფათოა და სამოქმედო კვლევაში მის გამოყენებამდე დაფიქრდით, რამდენად აუცილებელია დაკვირვების ასეთი ფორმის გამოყენება.

როდესაც ჯგუფის წევრებმა იციან რომ მათ აკვირდებიან: ამ დროს არსებობს რისკი რომ შესასწავლი ჯგუფის წევრების ქცევა შეიცვალოს. ამ რისკის შესამცირებლად მკვლევარი მნიშვნელოვანი დროის განმავლობაში უნდა დარჩეს მონაწილეებთან და ჩაინეროს მიმდინარე მოვლენები. თუ დაკვირვება სკოლაში ხდება, ის შეიძლება ხაგრძლივი დროით დააკვირდეს საგაკვეთილო პროცესს, მონაწილეობდეს სკოლის ცხოვრებაში. მკვლევარმა უნდა ჩაინეროს შთაბეჭდილებები, საუბრები, კომენტარები, ქცევა, მოვლენები, აქტივობები და სიტუაციაში ყველა მონაწილის მოსაზრებები. დაკვირვების ეს ფორმა მონაცემების შეგროვების სხვა მეთოდებთან ერთად გამოიყენება.

დაკვირვებისას მონაცემები სავლელ ჩანაწერების სახით იქმნება. მასში მოცემულია:

- ძირითადი სიტყვების/სიმბოლოების სწრაფი, ფრაგმენტული ჩანაწერები;
- ტრანსკრიპტები;
- მონაწილეების წერილობითი პორტრეტები;
- ფიზიკური გარემოს, მოვლენების, ქცევისა და აქტივობების აღწერა
- მიმდინარე შენიშვნები (სიტყვა-სიტყვით ან ადგილზევე კატეგორიზირებულად ჩანწერილი);
- მოვლენების რეგისტრაციის ჟურნალი;
- „ქრონიკები“, სადაც აღნიშნულია ყოველი ცალკეული ქცევითი ეპიზოდი, მისი გამოვლენის დროით, ან დროის თანაბარ ინტერვალებში ჩანწერილი დაკვირვებები, მაგალითად, ყოველ ორ ან სამ წუთში;
- წინასწარ განსაზღვრულ ცხრილებში შეტანილი მასალა;
- სოციომეტრული დიაგრამები, რომლებიც სოციალურ ურთიერთ-

ბებზე მიუთითებენ, მაგალითად, გარიყულები (ვისაც არავინ ირჩევს), პოპულარულ ები (ვისაც ყველა ირჩევს) და დიადები (ვინც ერთმანეთს ირჩევენ);

- და.შ.

დაკვირვება მონაცემთა შეგროვების ერთ-ერთი ფორმაა და საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ისეთი მონაცემები, რომელთა მიღება გამოკითხვით ან ინტერვიურებით რთულია ან შეუძლებელია საერთოდ ვერ მივიღოთ. დაკვირვების საშუალებით შესაძლებელია რეალური მონაცემების შეგროვება. თუმცა, ობიექტურობის საკითხი მაინც დგება, რომელიც შეგროვებული მონაცემების დამუშავების ეტაპზე იჩენს თავს. მიღებულ ინფორმაციაში ასახულია მკვლევრის აღქმა და დამოკიდებულება. ობიექტურობის გაძლიერებისთვის შეიძლება ვიდეო ან აუდიო ჩანაწერის გაკეთება. ან წინასწარ განსაზღვრულ დებულებებში მონიშვნა გააკეთოს რამდენიმე ადამიანი. მართალია, ამ დროს მონაცემთა დამუშავება რთულდება, მაგრამ იზრდება მისი ობიექტურობა და მონაცემთა ანალიზის სანდოობა.

### შერჩევის ტიპები

კვლევის ინსტრუმენტების განსაზღვრის პარალელურად უნდა დაფიქრდეთ, ადამიანების რა ჯგუფზე გეგმავთ მის გამოყენებას. სანდო შერჩევა მნიშვნელოვნად განაპირობებს კვლევის ხარისხს.

თუ გეგმავთ ანკეტირებას ან ინტერვიუს ჩატარებას, არ არის აუცილებელი ყველა იმ ადამიანის გამოკითხვა, რომელიც პოპულაციაში შედის. ამისათვის საკმარისია გარკვეული რაოდენობის ადამიანის გამოკითხვაც. თქვენ უნდა განსაზღვროთ რა რაოდენობის რესპონდენტის გამოკითხვა გჭირდებათ და რა პრინციპით შეარჩევთ მათ. დაკვირვების დროს, უნდა განსაზღვროთ ვის ან რას დააკვირდებით. შერჩევას მთავარია, გაირკვეს კვლევის ინსტრუმენტით რამდენად რელევანტურ და სანდო ინფორმაციას მიიღებთ ამა თუ იმ გარემოში გამოყენებისას. ასევე მნიშვნელოვანია დაფიქრდეთ, თუ რა სახის განზოგადების გაკეთება გასურთ კვლევის შედეგად მიღებული ცოდნის საფუძველზე. კვლევის თითოეული ინსტრუმენტისთვის უნდა განსაზღვროთ მისი გამოყენების არეალი და გარემო.

ქვემოთ განვიხილავთ შერჩევის რამდენიმე სტრატეგიას. კვლევის განხორციელებისას თავად უნდა გადაწყვიტოთ შერჩევის რომელ სტრატეგიას გამოიყენებთ. თითოეულს გააჩნია ძლიერი და სუსტი მხარე, შესაბამისად, მკვლევარმა კვლევის კონტექსტიდან, ინფორმაციის შეგროვების ხელმისაწვდომობისა და მისი დამუშავების სირთულიდან

გამომდინარე უნდა განსაზღვროს ყველაზე ხელსაყრელი და ოპტიმალური შერჩევის სტრატეგია. არსებობს ორი ტიპის შერჩევა – ალბათური და არაალბათური.

### **ალბათური შერჩევა**

ალბათური შერჩევით მიღებული ინფორმაციის განზოგადების ხარისხი, როგორც წესი, გაცილებით მაღალია ვიდრე არაალბათური შერჩევით. ალბათურ შერჩევაში მიკერძოებულობის რისკი უფრო დაბალია, ვიდრე არაალბათურ შერჩევაში. ეს უკანასკნელი სწორედ მიკერძოებულობით ხელმძღვანელობს კვლევაში მონაწილეთა შერჩევისას.

ჩვენ განვიხილავთ ალბათური შერჩევის რამდენიმე ტიპს: მარტივ შემთხვევით შერჩევას, სისტემურ შერჩევას და სტრატეგიული შერჩევას.

### **მარტივი შემთხვევითი შერჩევა**

მარტივ შემთხვევით შერჩევაში საკვლევი პოპულაციის ყოველ წევრს არჩევის ერთნაირი შანსი აქვს. ამ მეთოდის გამოყენებისას ხდება პოპულაციის სიიდან, შერჩევისთვის საჭირო რაოდენობის ცდის პირების შემთხვევითად არჩევა. მაგ., ყუთში მოვათავსოთ გამოსაკვლევი ადამიანების ჯგუფის წევრების სიიდან სახელები და ყუთში ჩაუხედავად ამოვიღოთ სახელი მანამ, სანამ არ შეივსება კვლევისათვის საჭირო რაოდენობა (ეს რაოდენობა წინასწარ არის განსაზღვრული). შერჩევის ამ მეთოდთან დაკავშირებული პრობლემა ისაა, რომ საჭიროა პოპულაციის სრული სია და ეს ყოველთვის იოლად ხელმისაწვდომი არ არის. მაგ., თუ კვლევა მიზნად ისახავს საქართველოს მოქალაქეების აზრის კვლევას რაიმე საკითხთან დაკავშირებით, მაშინ სრულ პოპულაციას შეადგენს საქართველოს ყველა მოქალაქე. ბუნებრივია, საქართველოს მოქალაქეების სრული სიის მოპოვება საკმაოდ რთულია.

### **სისტემური შერჩევა**

ეს მეთოდი მარტივი შემთხვევითი შერჩევის მოდიფიცირებული ფორმაა. ის გულისხმობს პოპულაციის სიიდან ცდის პირების სისტემურად და არა შემთხვევითად არჩევას. მაგალითად, თუ 2000 წევრიანი პოპულაციიდან 100 წევრიანი შერჩევის მიღებაა საჭირო, მაშინ შეგვიძლია შევარჩიოთ ყოველი მეოცე ინდივიდი. არჩევის სანყისი წერტილი შემთხვევითად არის ალბათური. სისტემური შერჩევის სიხშირის გამოთვლა მარტივი სტატისტიკით შეიძლება: პოპულაციის წევრთა საერთო რაოდენობა გაყოფთ შერჩევის ზომაზე:

$$f = \frac{N}{sn}$$

სადაც  $f$  = სიხშირის ინტერვალს;  $N$  = პოპულაციის წევრთა საერთო რაოდენობს;  $sn$  = შერჩევის საჭირო რაოდენობს.

ვთქვათ, მკვლევარი მუშაობს სკოლასთან, რომელშიც 1400 ბავშვი სწავლობს. ამ რაოდენობის მოსწავლეთა პოპულაციიდან შემთხვევითი შერჩევის მისაღებად საჭიროა 302 მოსწავლის არჩევა (აღნიშნული რაოდენობის დადგენა ხდება სპეციალური ცხრილების საშუალებით ან შეგიძლიათ ისარგებლოთ შემდეგი ვებ-გვერდით: <http://www.surveysystem.com/index.htm>). აქედან გამომდინარე,  $f \approx 4.63$  (რაც 5.0-მდე მრგვალდება). ამრიგად, მკვლევარმა სრული სიიდან ყოველი მეხუთე შემთხვევა უნდა აირჩიოს.

ცხადია, ასეთი პროცესი უშვებს, რომ სახელები შემთხვევითი თანმიმდევრობით არის ჩამონეროილი. ქალებისა და კაცების სიაში ჯერ შეიძლება სულ ქალები იყვნენ და შემდეგ სულ კაცები, ამიტომ, თუ სიაში 200 ქალი იქნებოდა, მკვლევარს შეეძლო სასურველი ზომის შერჩევის მიღება მანამ, სანამ სიის კაცების ნაწილამდე მიაღწევდა და ამით შერჩევას მიკერძოებულს გახდიდა.

სისტემურ შერჩევაში არამარტო სახელების თანმიმდევრობის საკითხი დგება, არამედ ამ პროცესით შეიძლება დაირღვეს ალბათური შერჩევის ერთ-ერთი ფუნდამენტური პირობა – ყოველ ინდივიდს არ ჰქონდეს შერჩევაში მოხვედრის ერთნაირი შანსი. ამ პრობლემის მინიმუმამდე დაყვანა სანყის სიაში ინდივიდების შემთხვევითი თანმიმდევრობისა და სისტემური შერჩევის სანყისი პუნქტის შემთხვევითად არჩევის უზრუნველყოფით არის შესაძლებელი.

### სტრატეფიცირებული შერჩევა

სტრატეფიცირებული შერჩევა პოპულაციის ჰომოგენურ ჯგუფებად დაყოფას გულისხმობს და თითოეულ ჯგუფში მსგავსი მახასიათებლების მქონე ინდივიდები არიან გაერთიანებული. მაგალითად, **A** ჯგუფი შეიძლება კაცებისგან შედგებოდეს, ხოლო **B** ჯგუფი – ქალებისგან. ისეთი შერჩევის მისაღებად, რომელიც პოპულაციის რეპრეზენტაციული იქნება სქესის მიხედვით, **A** და **B** ჯგუფებიდან ცდის პირები შემთხვევითად უნდა ავირჩიოთ. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია პოპულაციაში ქალებისა და კაცების რეალურად არსებული თანაფარდობის შერჩევაში ასახვა. მკვლევარმა პოპულაციის ის მახასიათებლები უნდა განსაზღვროს, რომლებსაც შერჩევა უნდა მოიცავდეს, ანუ უნდა მოხდეს პოპულაციის პარამეტრების იდენტიფიცირება. სწორედ ეს

არის შერჩევის ჩარჩოს დადგენის არსი. სტრატეგიციკრებული შემთხვევითი შერჩევის შედგენა ორეტაპიანი პროცესია:

1. პოპულაციის იმ მახასიათებლების იდენტიფიცირება, რომლებიც შერჩევაშიც უნდა იყვნენ წარმოდგენილი და ჰომოგენურ ჯგუფებად (სტრატებად) დაყოფა. მაგალითად, ქალებად და კაცებად.

2. ამ ჯგუფებში ცდის პირების შემთხვევითად არჩევა, ასევე, თითოეული ჯგუფის ზომა მკვლევრის გადანყვეტილებით ან სპეციალურ ცხრილებზე დაყრდნობით უნდა განისაზღვროს.

გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რომელი მახასიათებელი უნდა შევიდეს შერჩევაში, მაქსიმალური სიმარტივის მიღწევაზე უნდა იყოს ორიენტირებული, ვინაიდან, რაც უფრო მეტი ფაქტორია, არა მარტო შერჩევა რთულდება, არამედ უფრო დიდ შერჩევებში პოპულაციის ყველა სტრატის წარმომადგენლის ჩართვა ხდება საჭირო. მაშასადამე, სტრატეგიციკრებული შემთხვევითი შერჩევა შემთხვევითობისა და კატეგორიზაციის სასარგებლო ნარევი და ამით შესაძლებელს ხდის ორივე სახის – რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის ჩატარებას. კვლევის რაოდენობრივ ნაწილში შესაძლებელია ანალიტიკური და დასკვნითი სტატისტიკის გამოყენება, ხოლო თვისებრივ ნაწილში – იმ ჯგუფებზე ან მონაწილეთა იმ გაერთიანებებზე ფოკუსირება, რომლებიც ხელმისაწვდომია კვლევისთვის.

### **არაალბათური შერჩევა**

არაალბათური შერჩევა ძირითადად მცირემასშტაბიან კვლევებში გამოიყენება. მაგ., როცა ვიკვლევთ ერთ ან ორ სკოლას, მასწავლებელთა კონკრეტულს ჯგუფს ან მოსწავლეთა 2-3 ჯგუფს. ასეთი შერჩევით მიღებული მონაცემები მიზნად არ ისახავს შედეგების გენერალიზაციას. არაალბათური შერჩევა ხშირად გამოიყენება სამოქმედო კვლევებში.

მიუხედავად შედეგების არარეპრეზენტაციულობისა, არაალბათურ შერჩევას მკვლევრები ხშირად იყენებენ. ის საკმაოდ იაფია და რელევანტური ინფორმაციის შეგროვებაცაა შესაძლებელი. განვიხილოთ არაალბათური შერჩევის რამდენიმე ტიპი: ხელმისაწვდომი შერჩევა, მიზნობრივი შერჩევა, ზვავისებრი შერჩევა და მოხალისეთა შერჩევა.

### **ხელმისაწვდომი შერჩევა**

ხელმისაწვდომი შერჩევა რესპონდენტებად ყველაზე მეტად ხელმისაწვდომი ინდივიდების არჩევას გულისხმობს. ეს პროცესი გრძელდება მანამ, სანამ საჭირო ზომის შერჩევა არ შედგება. ხელმისაწვდომი შერ-

ჩვეის დროს ვარჩევთ იმ პირებს, ვინც შემთხვევით იქვე აღმოჩნდა და ხელმისაწვდომია იმ მომენტისთვის. ეს შერჩევა არ არის განკუთვნილი ფართო პოპულაციაზე გენერალიზაციისთვის. შერჩევის ასეთი ტიპის გამოყენების შემთხვევაში ანგარიშში აუცილებლად უნდა აღნიშნოთ, რომ განზოგადების პარამეტრი უმნიშვნელოა.

### **მიზნობრივი შერჩევა**

მიზნობრივი შერჩევა უმეტესწილად თვისობრივი კვლევის დროს გამოიყენება. შესაბამისად, სამოქმედო კვლევაში ხშირად შეხვედებით შერჩევის ამ სტრატეგიას. მიზნობრივი შერჩევის დროს ვარჩევთ იმ პირს/პირებს, რომელთაც შესაძლებელია საკითხთან პირდაპირი კავშირი აქვთ. მაგალითად, თუ კვლევა მიზნად ისახავს სკოლაში გადანყვებილების მიღებასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას, მიზანშეწონილი იქნება სკოლის დირექტორთან ინტერვიუ ან გამოკითხვა. მოსწავლეთა უკმაყოფილების გამომწვევი მიზეზების დასადგენად კი, მოსწავლეთა გამოკითხვა მოგვცემს რელევანტურ ინფორმაციას. ასეთი ტიპის შერჩევა შეიძლება აკმაყოფილებდეს მკვლევრის მიზნებს, მაგრამ მას არ აქვს პოპულაციის რეპრეზენტაციულობის პრეტენზია. მაგალითად: შეიძლება შეისწავლოთ სკოლის მართვის პრობლემები იმიტომ, რომ ინტერვიუ აიღოთ კონკრეტული სკოლის დირექტორებისგან. პრობლემების შესახებ ისინი საუკეთესო წყაროს წარმოადგენენ. თუმცა, ამ ინტერვიუების საფუძველზე, ვერ იტყვით, თუ რა მასშტაბის პრობლემაზე საუბრობთ, ანუხებით თუ არა ეს პრობლემა უმეტესობა დირექტორს.


მიზნობრივი შერჩევის დროს არჩევენ „მცოდნე ხალხს“, რომლებსაც გარკვეულ თემაზე კომპეტენტური ინფორმაციის მონოდება შეუძლიათ. ამ დროს რესპონდენტთა შემთხვევითი შერჩევა სრულიად გაუმართლებელია, რადგან შეიძლება ისეთი რესპონდენტები შეირჩნენ, რომლებსაც საერთოდ არ გააჩნიათ ინფორმაცია ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით.

მიზნობრივი შერჩევის ერთ-ერთი ვარიანტია ფორსირებული შერჩევა. ასეთი შერჩევა გამოიყენება მაშინ, როდესაც შერჩევაში გვინდა ჩავრთოთ ისეთი წევრები, რომლებიც სხვა შერჩევის გამოყენების შემთხვევაში ვერ მოხვდებოდნენ. მაგ., თუ სკოლაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი იმდენად ცოტა ბავშვი სწავლობს, რომ დიდი ალბათობით შერჩევაში ვერ მოხვდებიან, მაშინ მიზნობრივი შერჩევა საუკეთესო გამოსავალია. ასეთ დროს სათანადო სტატისტიკური ანალიზის ან შერჩევის რეპრეზენტაციულობის უზრუნველსაყოფად მიზანმიმართულად ხდება ამ მოსწავლეთა საკმარისი რაოდენობით შერჩევაში

შეყვანა. მათგან მიღებული მონაცემების კორექტირება შემთხვევათა შეწონვის მეშვეობით ხორციელდება, რათა საბოლოო შედეგებში ეს მონაცემები ჭარბად არ იყოს წარმოდგენილი. ფაქტობრივად ეს არის სოციალური ინკლუზიის მიღწევის მცდელობა.

### ზვავისებრი შერჩევა

ზვავისებრი შერჩევისას მკვლევარი მისთვის საინტერესო საკვლევო მახასიათებლების მქონე მცირე რაოდენობის ინდივიდებს პოულობს. შემდგომ, მათგან იღებს ინფორმაციას სხვა ინდივიდების შესახებ ვისაც შეიძლება ასევე ჰქონდეთ საინტერესო მონაცემები საკვლევო საკითხის შესახებ. **მკვლევარი** მათაც ხვდება. ახალი წევრები, თავის მხრივ, კიდევ სხვებზე იძლევიან ანალოგიურ რეკომენდაციას და ა. შ. ასე იზრდება კვლევაში ჩართულ პირთა რაოდენობა. აქედან მოდის ტერმინი „ზვავისებრი შერჩევა“. შერჩევის ამ ტიპს „თოვლის გუნდასაც“ ეძახიან. სქემაზე წარმოდგენილია ზვავისებრი შერჩევის მაგილითი



ეს მეთოდი გამოსადეგია იმ შემთხვევაში, როცა საჭირო ინდივიდი ძნელად მისაწვდომია: მაგალითად, როდესაც მკვლევარს სურს შემცველი მასწავლებლების (მასწავლებელი, რომელიც დროებით ცვლის შტატიან თანამშრომელს მისი არყოფნის შემთხვევაში) ინტერვიუება, მაგრამ არ აქვს მათი საკონტაქტო ინფორმაცია. სკოლაში მოსულ

მკვლევარი ვერ ხვდება საკვლევ ჯგუფს და ნაცნობ-მეგობრების დახმარებით ცდილობს საკვლევ ჯგუფზე გასვლას. როცა მკვლევარისთვის უცნობია იმ პირის ვინაობა, რომელსაც შეუძლია მისთვის საინტერესო ინფორმაციის მიწოდება (ამ დროს დარგის ერთ სპეციალისტს შეუძლია მოგვანოდოს იმ პირების სია, ვინც ასევე კომპეტენტურია მკვლევარისთვის საინტერესო საკითხში), მისი ამოცანაა, დაადგინოს, ვინ არის ინფორმაციის ძირითადი წყარო, რომ მასთან დაამყაროს საწყისი კონტაქტი.

### **მოხალისეთა შერჩევა**

როცა ცდის პირებამდე მიღწევა ძნელია, მკვლევარს მოხალისეების იმედზე უნევს ყოფნა. მან კვლევაში შეიძლება ჩართოს ის პირები, რომლებიც კონკრეტული სკოლით არიან დაინტერესებულნი, მაგალითად, პირადი მეგობრები, მეგობრების მეგობრები, საგაზეთო რეკლამით მოზიდული მონაწილეები, ტრენინგის მონაწილეები და სხვ. ეს შერჩევის საუკეთესო ვარიანტი არ არის, მაგრამ უკეთესია, ვიდრე საერთოდ ვერ შევძლოთ კვლევის განხორციელება. ამ შემთხვევებში კვლევის გენერალიზებასა და რეპრეზენტაციულობაზე ვერ ვისაუბრებთ, რადგან მოხალისეებს კვლევაში მონაწილეობის განსხვავებული მოტივები შეიძლება ჰქონდეთ, მაგალითად, მეგობრის დახმარების სურვილი, კვლევით დაინტერესება, საზოგადოებაში წვლილის შეტანა და ა.შ. კვლევის ანგარიშში აუცილებლად აღნიშნეთ შედეგების გენერალიზების ხარისხი.

გაითვალისწინეთ, რომ არაალბათური შერჩევის შედეგების განზოგადების ხარისხი საკმაოდ დაბალია (კოჰენი, მანიონი და მორისონი 2007, 276-290).

შერჩევის თითოეული სტრატეგიის განსაზღვრა დამოკიდებულია მკვლევარისათვის საინტერესო თემის შინაარსზე და კვლევის ინსტრუმენტის შერჩევაზე. თითოეული კვლევის ინსტრუმენტისათვის განსაზღვრული უნდა იყოს შესაბამისი შერჩევის მეთოდი, რომელიც კვლევის ანგარიშში უნდა გამოჩნდეს. შერჩევის სტრატეგიის განსაზღვრისათვის კოჰენი, მანიონი და მორისონი (2007, 292) გვთავაზობენ რამდენიმე საკითხზე დაფიქრებას:

1. განსაზღვრეთ საჭიროა თუ არა შერჩევა. თუ შესაძლებელია, ხომ არ აჯობებს მთელი პოპულაციის კვლევა.
2. განსაზღვრეთ პოპულაცია, მისი მნიშვნელოვანი თვისებები და მისი ზომა.

3. განსაზღვრეთ, შერჩევის რომელი სტრატეგია გჭირდებათ – ალბათური თუ არაალბათური.
4. დარწმუნდით, რომ დანამდვილებით მიგიწვდებათ ხელი შერჩევაზე. თუ არა, მზად იყავით შერჩევის სტრატეგიის შესაცვლელად.
5. ალბათური შერჩევისთვის განსაზღვრეთ თქვენთვის საჭირო ნდობის დონე და ნდობის ინტერვალები. არაალბათური შერჩევისთვის განსაზღვრეთ ის ადამიანები, რომლებიც გჭირდებათ შერჩევაში.
6. გამოთვალეთ წევრების რაოდენობა შერჩევაში და ამ გამოთვლებისას გაითვალისწინეთ პასუხის უქონლობა, არასრული ან გაფუჭებული პასუხები, ანუ შერჩევის სიდიდე გათვალეთ მეტობით.  
გადანწყვიტეთ, როგორ დაამყარებთ კონტაქტს და წარმართავთ წევრებს (მაგალითად: რეკლამა, წერილი, სატელეფონო ზარი, ელექტრონული გზავნილი, პირადი ვიზიტი, პირადი კონტაქტები/მეგობრები).

### **მონაცემთა ანალიზი**

საჭირო და ხელმისაწვდომი მონაცემების შეგროვების შემდეგ, მკვლევართა ჯგუფი იწყებს მონაცემების დამუშავებას. ეს შეიძლება კვლევის ყველაზე რთული ნაწილი აღმოჩნდეს. ამ დროს მკვლევარმა დიდი რაოდენობით შეგროვებული მნიშვნელოვანი მასალიდან მთავარი უნდა გამოიყოს. კვლევისას აუცილებელია დრო დაუთმოთ მონაცემთა გაანალიზებას, რათა გაიგოთ, იმას სწავლობთ თუ არა, რისი შესწავლაც გასურდათ.

მონაცემთა ანალიზის შედეგად ხდება კვლევის დასწავისში არსებული ჰიპოთეზების დადასტურება ან უარყოფა და ახალ მიგნებებამდე მისვლა.

სამოქმედო კვლევის განხორციელების ყოველ ეტაპზე მკვლევარმა უნდა იფიქროს, როგორ ჯობია მოპოვებული მონაცემების ანალიზი. ეცადეთ, თავი აარიდოთ უმნიშვნელო ან კვლევის მიზნების შეუსაბამო მასალის შეგროვებას. საკუთარ თავს დაუსვით კითხვა – როგორ აპირებთ თქვენს ხელთ არსებული მასალის ანალიზს? რაში აპირებთ მის გამოყენებას? შეგროვებული მონაცემები რამდენად დაგეხმარებათ კვლევის შეკითხვაზე პასუხის გაცემაში?

სხვადასხვა ტიპის შეგროვებულ მონაცემებს განსხვავებული მეთოდებით აანალიზებენ. თუ შეგროვილია თხრობითი, აღწერილობითი და არარიცხობრივი მონაცემები (დაკვირვების, ინტერვიუს ჩანაწერები, ან ღია კითხვებზე მიღებული პასუხები), მაშინ მონაცემთა თვისებრი-

ვი ანალიზი დაგჭირდებათ. რაოდენობრივი ანალიზი მაშინაა საჭირო, როდესაც მოგროვებული მონაცემები თვლადია (მაგ.: ტესტების ნიშნების შეჯამება, კითხვარებიდან პასუხების დათვლა და სხვ.). სამოქმედო კვლევის დროს შეგროვებულ მონაცემთა უმეტესობა თვისობრივი ხასიათისაა, ამიტომ უფრო მეტად თვისებრივი ანალიზი დაგჭირდებათ.

### **თვისებრივი მონაცემების ანალიზი**

თვისებრივი მონაცემების ანალიზის მთავარი სირთულე დიდი რაოდენობის წერილობითი მონაცემების ოპტიმალურ რაოდენობამდე შემცირებაა. მონაცემთა თვისებრივი ანალიზი შეიძლება დაგჭირდეთ დოკუმენტების, ინტერვიუს, სტატიების და ა.შ. ანალიზის დროს. ანალიზის დროს მცირდება ტექსტის მოცულობა და მკვლევარი მას წარმოადგენს შეჯამებული სახით.

თვისებრივი ანალიზი იწყება ინფორმაციის კოდირებით. მკვლევარი სიტყვებს წინადადებებსა და აბზაცებს პირობით კოდებს ანიჭებს. შემდეგ ხდება კატეგორიზაცია, კატეგორიაში ერთიანდება მსგავსი ანალიზის ერთეულები – სიტყვები, ფრაზები, წინადადებები და ა. შ. მკვლევარი ადარებს კატეგორიებს და გამოაქვს დასკვნა.

კოდების მინიჭების, კატეგორიზებისა და დასკვნის გამოტანის პროცესი რამდენიმე ეტაპს მოიცავს:

- 1. გამოსაყენებელი კოდების განსაზღვრა** – კოდი არის სიტყვა, აბრევიატურა ან ციფრი, რომელიც მკვლევარს მიახვედრებს რაზეა ტექსტის მოცემული ნაწილი. მაგალითად, თუ იკვლევთ სასკოლო უსაფრთხოებას, შესაძლოა ინტერვიუებში იყოს მონაკვეთები სკოლაში სხვადასხვა სახის დაპირისპირების შესახებ. კოდი: „კონფლიქტი“ შესაძლოა მოზარდის კონფლიქტურობას მოიაზრებდეს. კოდები შეიძლება იყოს ზოგადი და კონკრეტული. ზოგადი კოდები სხვა კოდებსაც მოიცავენ. მაგალითად, სასკოლო უსაფრთხოების კვლევისას კოდი „კონფლიქტი“ შეიძლება იყოს ზოგადი და მასში გაერთიანდეს სხვა კოდები: „ფიზიკური დაპირისპირება“, „ბულინგი“, „ოჯახური ძალადობა“ და სხვ. კოდები დიდი რაოდენობით მასალას ერთად კრავს და გარკვეული ნესითა და სტრუქტურით აერთიანებს. მონაცემების კოდირებით მკვლევარს სიხშირეებისა (რომელი კოდები გვხვდება ყველაზე ხშირად) და ტენდენციების (რომელი კოდები გვხვდება ერთობლივი ფორმით) გამოვლენა შეუძლია.
- 2. კატეგორიების შექმნა** – კატეგორიები კოდებს შორის კავშირებს ქმნის. მაგალითად, მოსწავლის წარმატების შესახებ ტექსტს შეიძლება ჰქონდეს „მოსწავლის წარმატების მიზეზები“, „წარმატების

მიღწევის საშუალებები“ და ა.შ. კოდების მსგავსად, კატეგორიებიც შეიძლება იყოს კონკრეტული და ზოგადი. ზოგი კატეგორია უფრო ზოგადი და ყოვლისმომცველია, ზოგი კი – ნაკლებად. როგორც წესი, კოდები უფრო კონკრეტულია ხოლმე, ვიდრე კატეგორიები.

**3. მონაცემების კოდირება და კატეგორიზაცია – კოდებისა და კატეგორიების დადგენის შემდეგ ტექსტისთვის მათი მიწერა. მაგალითად:**

ტიქსტი	კოდი
სკოლაში სასწავლო გარემოს შექმნაში მნიშვნელოვანი როლი მასწავლებელს აქვს.	გარემო
მასწავლებლებმა უნდა ასწავლონ ბავშვებს კონფლიქტების თავიდან არიდება და საჭიროების შემთხვევაში მათი უმტკივნეულოდ გადაჭრა.	კონფლიქტი
მოსწავლემ უნდა იცოდეს, როგორ შეძლოს კონფლიქტის თავიდან არიდება, ვის მიმართოს როდესაც მასზე შეიძლება ვინმემ იძალადოს.	ცოდნის გამოყენება

ჩვენს მაგალითში კოდები ერთი ან ორი სიტყვით ასახავს ტექსტის მონაცემის შინაარსს. ეს მკვლევარს საშუალებას აძლევს ადვილად მიხვდეს, რა საკითხია ამ კოდებით აღნიშნული. კოდირების პირველი საფეხურის შემდეგ მკვლევარი ადგენს, რომელი კოდები გვხვდება ხშირად (სიხშირები) და ასევე ამჩნევს ტენდენციებს, აჯგუფებს კოდებსა და კატეგორიებს. თუმცა, შესაძლოა მეორე ან მესამე ნაკითხვისას, მონაცემების ხელახალი კოდირება დაგჭირდეთ. კოდები შეიძლება დაკონკრეტდეს და უფრო გასაგები გახდეს, ან პირიქით, ზედმეტად კონკრეტული კოდები გაერთიანდეს. მილსი (2007, 140) გვთავაზობს რამდენიმე რჩევას, რომლებიც დაგეხმარებათ დიდი მოცულობის მასალის ორგანიზებულად კოდირებაში:

- ✓ ტექსტიდან ამონარიდები გადაიტანეთ წინასწარ მომზადებულ ბარათებზე, მიუთითეთ თარიღი და დრო მაგალითად, (1/26/02 10:15). ასე უფრო ადვილად მოძებნით ჟურნალში ან სავსე ჩანაწერებში მონაცემებს. ეს მნიშვნელოვანია. შეიძლება შემონმება დაგჭირდეთ, სწორი კოდი მიაკარით თუ არა ტექსტს, რასაც ამ გზით ადვილად გადაამოწმებთ. დიდი რაოდენობით ფურცლების

გადაჯგუფება საკმაოდ რთულია, ასე რომ, მათი ბარათებით შეცვლა მოსახერხებელია.

- ✓ ერთნაირი ან მსგავსი კოდების მქონე ბარათების ერთად დააჯგუფეთ.
- ✓ კვლავ მიუბრუნდით ბარათებს და შეამოწმეთ, რამდენად სწორად გაქვთ დაჯგუფებული კოდები, ან საჭიროა თუ არა მათი გადატანა ახალ კატეგორიაში.

მონაცემთა ანალიზი – მონაცემთა კოდირებისა და კატეგორიზაციის შემდეგ ტექსტში დათვალეთ თითოეული კოდის ან სიტყვის სიხშირე. სიტყვები და ცალკეული კოდები თავისთავად ბევრის მომცემი არ არის. მნიშვნელოვანია მათი ურთიერთმიმართების დადგენა. დაადგინეთ ცნებებსა და კატეგორიებს შორის კავშირი, შეისწავლეთ რამდენად ძლიერი, რამდენად დადებითი ან რამდენად უარყოფითია ეს კავშირები.

### **რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი**

რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი კვლევის ძლიერი ფორმაა. მას ხშირად ფართომასშტაბიან კვლევებში იყენებენ. თუმცა, მისი გამოყენება სამოქმედო კვლევებშიც შეიძლება დაგჭირდეთ.

რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი ხორციელდება კომპიუტერული პროგრამით (SPSS, STATA, Excel და ა.შ.). მკვლევარი ახდენს შეგროვებული მონაცემების კოდირებას და მათ კომპიუტერულ პროგრამებში ასახავს. პროგრამები კი, მათში ჩაშენებული ფორმულების საშუალებით, გამოითვლიან მონაცემებს და მკვლევარი იღებს მისთვის საინტერესო ინფორმაციას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამოქმედო კვლევაში შედარებით ნაკლებად გვაქვს რაოდენობრივი მონაცემები. ასეთი მონაცემების დამუშავება Excel-ის საშუალებითაც შესაძლებელია.

### **კითხვარების დამუშავება**

საილუსტრაციოდ გთავაზობთ გამოკითხვის შედეგების დამუშავების ნიმუშს, რომლის განხილვა დაგეხმარებათ მარტივი რაოდენობრივი მონაცემების დამუშავებაში.

დაეუშვათ, გამოკითხეთ **80** რესპონდენტი.

**პირველი საფეხური:** დანომრეთ ანკეტები (კითხვარები). შეგიძლიათ სრულად არ დანეროთ სიტყვა რესპონდენტი და შემოკლებულად აღნიშნოთ: რესპ. მაგალითად: რესპ. 1, რესპ. 2, რესპ. 3 და ა.შ. კითხვარების დანომვრა მნიშვნელოვანია, რადგან თუ რომელიმე მონაცემი

გამოგრჩათ ან არასწორად გაქვთ შეყვანილი, ადვილად გადაამონმებთ. ვქთავათ, მონაცემების შეყვანის შემდეგ აღმოაჩინეთ, რომ N35 ანკეტის მონაცემი არ შეგიტანიათ. აკურატულად დალაგებულ ანკეტებში მოძებნით N35 ანკეტას და მონაცემს გადაამონმებთ.

**მორე საფეხური:** აუცილებელია, რომ დანომროთ კითხვები და დებულებები ანკეტაში. პირველი კითხვა შეგიძლიათ აღნიშნოთ Q1, მეორე Q2 და ა.შ.

მაგალითად, მოცემულია კითხვა:

**1. თქვენი აზრით, უნდა შეიცვალოს თუ არა გაკვეთილების ხანგრძლივობა?**

**A. დიახ, უნდა გახანგრძლივდეს;**

**B. დიახ, უნდა შემცირდეს;**

**C. გაკვეთილების ხანგრძლივობა არ უნდა შეიცვალოს.**

მონაცემების დამუშავებისას უფრო მარტივი იქნება თუ ცხრილში შეკითხვის მთლიანი ტექსტის ნაცვლად შევიტანთ მის აღმნიშვნელ კოდს Q1 (Question 1).

ზოგჯერ კითხვარში ერთი შეკითხვა შეიცავს რამდენიმე კითხვას. მაშინ დანომვრის წესი ოდნავ იცვლება. დავუშვათ, კითხვარის N35 შეკითხვა ასეა ჩამოყალიბებული:

**35. როგორ შეაფასებდით სკოლაში კლუბების მუშაობას?**

- მკითხველთა კლუბი – 1 2 3 4 5
- სახალისო მათემატიკის კლუბი – 1 2 3 4 5
- ინტელექტ-კლუბი – 1 2 3 4 5
- ჭადრაკის კლუბი – 1 2 3 4 5
- ფეხბურთის კლუბი – 1 2 3 4 5
- ცეკვის კლუბი – 1 2 3 4 5

სინამდვილეში, ეს შეკითხვა 6 კითხვას მოიცავს.

**1. როგორ შეაფასებდით მკითხველთა კლუბის მუშაობას? – 1 2 3 4 5**

**2. როგორ შეაფასებდით სახალისო მათემატიკის კლუბის მუშაობას? – 1 2 3 4 5**

**3. როგორ შეაფასებდით ინტელექტ-კლუბის მუშაობას? – 1 2 3 4 5**

4. როგორ შეაფასებდით ჭადრაკის კლუბის მუშაობას? – 1 2 3 4 5

5. როგორ შეაფასებდით ფეხბურთის კლუბის მუშაობას? – 1 2 3 4 5

6. როგორ შეაფასებდით ცეკვის კლუბის მუშაობას? – 1 2 3 4 5

ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად რესპონდენტმა უნდა უპასუხოს ექვსივე კითხვას, ამიტომ, გამოკითხვის შედეგად მიიღებთ ექვსი კატეგორიის ინფორმაციას. შესაბამისად, აუცილებელია, დანომროთ თითოეული კითხვა. შეგიძლიათ გამოიყენოთ დანომვრის შემდეგი ფორმა:

- მკითხველთა კლუბი – 1 2 3 4 5 – Q35.1
- სახალისო მათემატიკის კლუბი – 1 2 3 4 5 – Q35.2
- ინტელექტ-კლუბი – 1 2 3 4 5 – Q35.3
- ჭადრაკის კლუბი – 1 2 3 4 5 – Q35.4
- ფეხბურთის კლუბი – 1 2 3 4 5 – Q35.5
- ცეკვის კლუბი – 1 2 3 4 5 – Q35.6

### მესამე საფეხური

მას შემდეგ რაც ანკეტებსა და შეკითხვებს მიანიჭებთ კოდებს, მონაცემები უნდა შეიყვანოთ Excel-ის ცხრილში. უკეთესია, თუ სხვადასხვა ტიპის კითხვებს განსხვავებული ფერით აღნიშნავთ. ეს გაგიმარტივებთ ცხრილში მონაცემების შეტანას და მათ წაკითხვას.

	Q1	Q35.1	Q35.2	Q35.3	Q35.4	Q35.5	Q35.6
რესპ. 1							
რესპ. 2							
რესპ. 3							
რესპ. 4							
რესპ. ....							
რესპ. 80							
სულ							

## მეოთხე საფეხური

ცხრილში რესპოდენტთა პასუხების შეტანამდე ხდება მათი კოდირება.

დახურული კითხვების პასუხებს, როგორც წესი, კითხვარის შედგენის დროს ენიჭებათ კოდები. ეს კოდები რიცხვები ან ლათინური ანბანის ასოებია. მაგალითად:

პირველი კითხვის მონაცემების შეტანისას, ცხრილში შეიტანთ ლათინური ანბანის იმ ასოებს, რომლის შესაბამისი პასუხიც მონიშნა რესპოდენტმა. (A, B ან C და ა.შ.)

### 1. თქვენი აზრით, უნდა შეიცვალოს თუ არა გაკვეთილების ხანგრძლივობა?

- A. დიახ, უნდა გახანგრძლივდეს;
- B. დიახ, უნდა შემცირდეს;
- C. გაკვეთილების ხანგრძლივობა არ უნდა შეიცვალოს.

35-ე კითხვის პასუხების შეტანისას, შესაბამისი დებულების გრაფაში ჩაწერეთ იმ რიცხვს, რომელიც რესპოდენტის მიერ იყო არჩეული. (1, 2, 3, 4 ან 5)

### 35. როგორ შეაფასებდით სკოლაში კლუბების მუშაობას?

- მკითხველთა კლუბი – 1 2 3 4 5
- სახალისო მათემატიკის კლუბი – 1 2 3 4 5
- ინტელექტ-კლუბი – 1 2 3 4 5
- ჭადრაკის კლუბი – 1 2 3 4 5
- ფეხბურთის კლუბი – 1 2 3 4 5
- ცეკვის კლუბი – 1 2 3 4 5

თუ რესპოდენტმა რომელიმე შეკითხვა უპასუხოდ დატოვა, მაშინ ასეთი მონაცემი ისეთი სიმბოლოთი უნდა აღნიშნოს, რომელიც კოდებში არ გამოგიყენებიათ. ხშირად ასეთ მონაცემებს აღნიშნავენ შემდეგნაირად – „77“ ან „99“. თუმცა, შეგიძლიათ თქვენთვის მოსახერხებელი სხვა ნებისმიერი სიმბოლოც გამოიყენოთ.

მაგალითად: Q35.1 შეკითხვაზე რესპოდენტმა შემოხაზა 4, ამ კითხვის გასწვრივ, შესაბამის გრაფაში დაწერეთ რიცხვს – „4“.

საილუსტრაციოდ, ქვემოთ მომცემულ ცხრილში შეტანილია რამდენიმე კითხვარის მონაცემები.

	Q1	Q35.1	Q35.2	Q35.3	Q35.4	Q35.5	Q35.6
რესპ. 1	A	4	5	1	3	2	2
რესპ. 2	A	2	4	2	5	1	99
რესპ. 3	B	1	4	5	5	99	1
რესპ. 4	C	3	5	2	4	99	2
რესპ...	77	3	3	99	5	2	1
რესპ. 80	A	3	5	4	5	2	2

მას შემდეგ რაც მონაცემების შეტანას დაასრულებთ, უნდა დაინ-  
ყოთ თქვენთვის საინტერესო მონაცემების ამოკრეფა, რისთვისაც პროგ-  
რამაში ჩაშენებული ფორმულები შეგიძლიათ გამოიყენოთ (მონაცემთა  
საშუალო, ჯამი, მინიმუმი, მაქსიმუმი, მოდა და ა.შ.)

მომდევნი ცხრილში დათვლილია თითოეული შეკითხვაზე გაცემუ-  
ლი პასუხების რაოდენობები:

- **Q1** შეკითხვაზე „A“ პასუხი მონიშნა 28 რესპონდენტმა, „B“ პასუხი – 25-მა და ა.შ;
- **Q35.3** შეკითხვაზე „2“ მონიშნა 15-მა რესპონდენტმა, „5“ – 18-მა და ა.შ.

	Q1	Q35.1	Q35.2	Q35.3	Q35.4	Q35.5	Q35.6
სულ	A 28	„1“ 5	„1“ 5	„1“ 10	„1“ 5	„1“ 6	„1“ 10
სულ	B 25	„2“ 15	„2“ 13	„2“ 15	„2“ 15	„2“ 13	„2“ 25
სულ	C 25	„3“ 27	„3“ 28	„3“ 20	„3“ 30	„3“ 30	„3“ 15
სულ	77 2	„4“ 15	„4“ 12	„4“ 15	„4“ 14	„4“ 14	„4“ 13
სულ		„5“ 18	„5“ 20	„5“ 18	„5“ 16	„5“ 14	„5“ 17
სულ		„99“ 4	„99“ 2	„99“ 2	„99“ 4	„99“ 2	„99“ 0

თუ კითხვარი ღია კითხვებსაც შეიცავს, მაშინ კოდირება ისე მოახ-  
დინეთ, როგორც აღწერილია თვისებრივი მეთოდების შემთხვევაში.  
ღია კითხვებისას შეიძლება მიიღოთ განსხვავებული ფორმულირების,  
მაგრამ ერთნაირი შინაარსის მქონე პასუხები. მკვლევარმა უნდა დააჯ-

გუფოს მსგავსი პასუხები და მათ საერთო კოდი მიანიჭოს, რომლებსაც შემდეგ ცხრილში ასახავს.

### **მეხუთე საფეხური – მონაცემების დათვლა და ინტერპრეტაცია**

ცხრილში მონაცემების შეტანის დასრულების შემდეგ იწყება მონაცემების დათვლის პროცესი. კომპიუტერული პროგრამების დახმარებით მონაცემების დათვლა იოლია. კომპიუტერულ პროგრამებში ჩაშენებულია ფორმულები, რომელთა საშუალებით შესაძლებელია მონაცემების დათვლა. შედეგად მიიღებთ მარტივ სტატისტიკურ მონაცემებს. შემდეგ მკვლევარმა უნდა შეისწავლოს არსებულ მონაცემებს შორის კავშირი და წარმოადგინოს მონაცემები.

მკვლევარები გამოყოფენ ალწერით და დასკვნით სტატისტიკას ალწერთი სტატისტიკა ალწერს და წარმოადგენს მონაცემებს, მაგალითად:

- მოდა (მონაცემი, რომელიც ყველაზე ხშირად მეორდება);
- საშუალო (მონაცემების საშუალო არითმეტიკული);
- მინიმუმი (მონაცემებს შორის ყველაზე მცირე რიცხვითი მნიშვნელობა);
- მაქსიმუმი (მონაცემებს შორის ყველაზე დიდი რიცხვითი მნიშვნელობა);
- ვარიანტურობის დიაპაზონი (უდიდეს და უმცირეს მონაცემებს შორის სხვაობა);
- და ა.შ.

ასეთი სტატისტიკური სიდიდეების მიხედვით დასკვნის გაკეთება და პროგნოზირება არ ხდება; მათ იყენებენ შედეგების სხვადასხვანაირად წარდგენის მიზნით.

დასკვნითი სტატისტიკა, შეგროვილ მონაცემებზე დაყრდნობით, დასკვნებისა და პროგნოზების შესაძლებლობას იძლევა. დასკვნით სტატისტიკაში შედის ჰიპოთეზის შემოწმება, კორელაცია<sup>5</sup> და რეგრესია<sup>6</sup>.

---

5 კორელაციური ანალიზისას იზომება ორ ან რამდენიმე ცვლადს შორის კავშირი (სიძლიერე). მაგ., რომელიმე საგანში საათების რაოდენობასა და ამავე საგანში მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას შორის.

6 რეგრესიული ანალიზისას შეისწავლება ერთი ან რამდენიმე დამოუკიდებელი ცვლადის გავლენა დამოკიდებულ ცვლადზე (შედეგზე). მაგ., სასწავლო პროცესით მოსწავლეთა კმაყოფილებას შეიძლება გასაზღვრავდეს: სწავლების ხარისხი, მასწავლებლის კვალიფიკაცია და საათობრივი დატვირთვა. თითოეული ცვლადის შეცვლა აისახება შედეგზე (მოსწავლეთა კმაყოფილებაზე).

## დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადები

კვლევაში სშირად საინტერესოა ცვლადების ურთიერთმიმართება. დამოუკიდებელია ცვლადი, რომელიც ნაწილობრივ ან მთლიანად ინვეს კონკრეტულ შედეგს.

მაგალითად, გვანტერესებს, აუმჯობესებს თუ არა გაკვეთილების რაოდენობის გაზრდა ინგლისურ ენაში მოსწავლეთა აკადემიურ შედეგებს. ამისათვის საჭიროა, ინტერვენციის დაწყებამდე ჩავატაროთ მოსწავლეთა ტესტირება, შემდეგ გავზარდოთ გაკვეთილების რაოდენობა და გარკვეული დროის შემდეგ ისევ ჩავატაროთ ტესტირება. თუ ინგლისური ენის ტესტში მოსწავლეებმა უკეთესი შეფასებები მიიღეს, მაშინ შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ინტერვენციამ კარგი შედეგი გამოიღო. ამ შემთხვევაში ინგლისურ ენაში საათების რაოდენობა დამოუკიდებელი ცვლადია, ხოლო მისი შედეგი – მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება – დამოკიდებული ცვლადი. თუმცა, შედეგების გაუმჯობესებაზე, შესაძლოა, სხვა ფაქტორებიც ახდენდეს გავლენას, მაგალითად:

- ინგლისურ ენაში ტესტის შიშით მოსწავლეები უფრო კონცენტრირებულები, მოტივირებულები და მონდომებულები გახდნენ გაკვეთილებზე;
- მოსწავლეებს მოსწონდათ საგანი და მასწავლებელი, ამიტომ საათების რაოდენობის გაზრდის გამო კი არა, მასწავლებლისა და საგნის სიყვარულის გამო მეცადინეობდნენ უკეთ;
- მოსწავლეებმა კარგად გამოიძინეს ტესტის წინ და მხნედ გრძნობდნენ თავს;
- ინგლისურ ენაში საათების გაზრდამ სწავლის მოტივაციაც გაზარდა და ამან, თავის მხრივ, ტესტში უკეთესი შედეგი გამოიწვია.

როგორც ვხედავთ, შეიძლება არსებობდეს მთელი რიგი სხვა ფაქტორებისა, რომლებიც მოცემული შედეგის მიღებაში მონაწილეობენ. შესაძლოა, გამოვლენილი მიზეზების უკან სხვა მიზეზები (დამოუკიდებელი ცვლადები) იდგნენ, რომლებიც დამოკიდებულ ცვლადზე მოქმედებენ. ასევე, დასაშვებია, რომ დამოუკიდებელი ცვლადი სხვა „შუალედურ შედეგს“ იწვევდეს და ეს „შუალედური შედეგი“, თავის მხრივ, მიღებულ საბოლოო შედეგს განაპირობებდეს.

დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადების ოპერირებისას, დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოთ. დაფიქრდით, მიზეზ-შედეგობრიობა მართლაც ისეთი მარტივია, როგორც ჩანს? სწორად არის განსაზღვრული დამოკიდებული ან დამოუკიდებელი ცვლადი, თუ არა?

მნიშვნელოვანია, წინასწარ განსაზღვროთ მონაცემების ანალიზის რომელ მეთოდს გამოიყენებთ, რადგან ეს გავლენას ახდენს კვლევის ინსტრუმენტების არჩევაზე. მაგალითად, თუ ანკეტირება გაქვთ გადამწყვეტილი, გულდასმით უნდა დაგეგმოთ კითხვარის სქემა და სტრუქტურა, რათა კომპიუტერული პროგრამით დამუშავებისა და ანალიზისთვის მონაცემების შეყვანა არ გაგიჭირდეთ. კითხვარის შეუსაბამო სქემამ მონაცემების შეყვანა და ანალიზი შეიძლება გაართულოს. მონაცემების ანალიზის დაგეგმვისას გაითვალისწინეთ: როგორ დაამუშავებთ და გაანალიზებთ შეგროვილ მონაცემებს, როგორ გადაამოწმებთ და დაადასტურებთ ანალიზის შედეგებს.

ხშირად, თვალსაჩინოებისთვის, მკვლევარი მიღებულ მონაცემებს წარმოადგენს დიაგრამების, გრაფიკების ან ცხრილის სახით. მონაცემების ვიზუალურად წარმოდგენის ფორმის შერჩევისას გასათვალისწინებელია როგორც აუდიტორია, ვისაც კვლევის შედეგები უნდა გაცნოთ, ასევე შეგროვებული მონაცემების ტიპი. მონაცემები შეიძლება წარმოადგინოთ:

- სვეტოვანი დიაგრამებით;
- წრიული დიაგრამებით;
- ჰისტოგრამებით;
- ხაზოვანი გრაფიკებით;
- დიაპაზონის მაჩვენებელი დიაგრამებით;
- წერტილთა გაბნევის დიაგრამებით;
- და ა.შ.


გრაფიკები და დიაგრამები მიმზიდველად გამოიყურება, თუმცა ხშირად ისინი არაფერს ამბობენ უბრალო ცხრილებზე მეტს, რომლებიც, როგორც წესი, ანგარიშში შედარებით მცირე ადგილს იკავებენ. ეს პრობლემა განსაკუთრებით წრიულ დიაგრამებს, სვეტებიან დიაგრამებსა და ჰისტოგრამებს ეხება. იგივე მონაცემების გამოსახვა უფრო კომპაქტურად, ცხრილის სახით არის შესაძლებელი.

მონაცემთა წარმოდგენისას მნიშვნელოვანია სამიზნე აუდიტორიის გათვალისწინება: ზოგი მკითხველისთვის დიაგრამები უფრო მისაღები და ადვილად გასაგები შეიძლება იყოს, ვიდრე რიცხვებით სავსე ცხრილები. სხვა სახის დიაგრამები და გრაფიკები შეიძლება ცხრილებზე მეტ ინფორმაციას გვანვდიდეს. მონაცემთა წარმოდგენისას ასევე მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რა სახის ინფორმაციის წარმოდგენა საჭირო. მაგალითად:

- სვეტოვანი დიაგრამა წყვეტილი მონაცემების წარმოსადგენადაა მოსახერხებელი (მაღალი-დაბალი);
- უწყვეტი მონაცემების გამოსახვისთვის ჰისტოგრამები გამოდგება;

- მრავალჯერადი ხაზოვანი გრაფიკები – ტენდენციების საჩვენებლად (განსაკუთრებით, უწყვეტი ცვლადების შემთხვევაში, როდესაც ერთდროულად ერთი ან რამდენიმე ცვლადი გვაქვს);
- წრიული დიაგრამები – თანაფარდობის და პროპორციების საჩვენებლად;
- წერტილთა გაბნევის დიაგრამა გამოიყენება ერთ დიაგრამაზე ორ ცვლადს შორის ურთიერთობის ან ორი ან მეტი ცვლადის რამდენიმე წყვილს შორის ურთიერთობის საჩვენებლად.

მონაცემებზე მსჯელობისას შეიძლება წარმოიშვას დილემა. მაგალითად, ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითში, კითხვაზე უნდა შეიცვალოს თუ არა გაკვეთილის ხანგრძლივობა, რესპოდენტების მოსაზრებები ასე გადანაწილდა: რესპოდენტების 35% თვლის, რომ გაკვეთილების ხანგრძლივობა უნდა გაიზარდოს, 31% მიიჩნევს, რომ ხანგრძლივობა უნდა შემცირდეს და ამდენივე რესპოდენტი თვლის რომ გაკვეთილების ხანგრძლივობა არ უნდა შეიცვალოს (რესპოდენტთა 3%-მა დასმულ შეკითხვას პასუხი არ გასცა).



ყველაზე მეტი მომხრე საგაკვეთილო პროცესის გახანგრძლივებას ჰყავს (35%), თუმცა, მეორე მხრივ, გამოკითხულთა 62% ეწინააღმდეგება გაკვეთილების მიმდინარეობის დროის გაზრდას. ჩნდება კითხვა – როგორ მოიქცეს სკოლის ადმინისტრაცია: გაზარდოს გაკვეთილების

ხანგრძლივობა რადგან შეთავაზებული სამი ვარიანტიდან ყველაზე მეტი მომხრე ჰყავს, თუ გადაიხაროს იმ 62% რესპოდენტისკენ, რომლებსაც არ სურთ საგაკვეთილო დროის გაზრდა?

მიღებული მონაცემების ანალიზის და წარმოდგენის დროს მკვლევარი მაქსიმალურად უნდა შეეცადოს, დაიცვას ობიექტურობა. მან სხვადასხვა მხრიდან უნდა შეაფასოს შედეგები და აუდიტორიას წარუდგინოს ის მიგნებები, მოსაზრებები და დაშვებები რაც მონაცემთა ანალიზის დროს გამოვლინდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამოქმედო კვლევა თავისი არსით თვისობრივ კვლევას წარმოადგენს, შესაბამისად, მონაცემების ძირითადი ნაწილი თვისობრივი ხასიათისაა. დიაგნოსტიკების ეტაპის ბოლო საფეხურს წარმოადგენს პრობლემის გამომწვევი რეალური მიზეზების დადგენა. მონაცემების დამუშავების შემდეგ მკვლევართა ჯგუფი მუშაობს მიგნებებისა და აღმოჩენების ნაწილზე. შესაძლოა, პრობლემის გამომწვევის რამდენიმე მიზეზი არსებობდეს. მნიშვნელოვანია მაქსიმალურად ზუსტი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დამყარება. მკვლევარმა რაც შეიძლება ზუსტად უნდა დაადგინოს პრობლემის გამომწვევი მიზეზი, შეაფასოს, ხომ არ შეიძლება სხვა მიზეზიც არსებობდეს, რომელსაც კვლევის პროცესში ნაკლები ყურადღება მიექცა.

პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენის შემდეგ სრულდება დიაგნოსტიკების ეტაპი და იწყება თერაპიის ეტაპი.

## თერაპიის ეტაპი

*„მოქმედების გარეშე ჩვენ მხოლოდ იმის გაკეთება შეგვიძლია, რომ არაფერი არ გავაკეთოთ“.*

**ჯეფრი მილსი**

მას შემდეგ, რაც პრობლემის გამომწვევი მიზეზები იდენტიფიცირებულია, უნდა შემუშავდეს ამ პრობლემების გადაჭრის გზები (ე. წ. ინტერვენციები). ინტერვენცია არის მოქმედება, რომლის განხორციელებითაც გადაიჭრება პრობლემა. მკვლევარმა ისეთი ინტერვენცია უნდა დაგეგმოს, რომელიც ზემოქმედებას მოახდენს პრობლემის გამომწვევ მიზეზებზე.

## ინტერვენციის დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება

ინტერვენციის დაგეგმვა გულისხმობს შესაბამისი მოქმედებების შერჩევას. მოქმედებების შერჩევასა უნდა განსაზღვროთ:

- რა რესურსებია საჭირო მის განსახორციელებლად (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური);
- რა დრო დასჭირდება;
- როგორ მოხდება ინტერვენციის შედეგების შეფასება. რა ხერხი იქნება გამოყენებული ინსტრუმენტების შეფასებისას.

სამოქმედო კვლევის ამ ეტაპზე უნდა გადაწყვიტოთ, რა მოქმედებების განხორციელება დაგჭირდებათ შემდეგში. ეს დაგეხმარებათ გააცნობიეროთ, რა ისწავლეთ კვლევის ამ ეტაპზე, საკითხის შესწავლის შედეგად და დაგეგმეთ შემდგომი მოქმედებები.

ინტერვენციაზე ფიქრის დროს გასათვალისწინებელია ის სირთულეები, რომლებსაც ყველა მკვლევარი აწყდება სამოქმედო კვლევის განხორციელებისას. მზად უნდა იყოთ ისეთი დაბრკოლებების გადასალახავად როგორცაა: რესურსების ნაკლებობა, ცვლილებისადმი წინააღმდეგობა, ჩარევისგან თავის შეკავება, სირთულეების აღიარებისგან თავის არიდება, აღმოჩენების შედეგად წარმოქმნილი გამოწვევების გაზიარება და დროის უკმარისობა.

სამოქმედო კვლევის მიზანი, პოზიტიური ცვლილების განხორციელებაა, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა და მასწავლებელთა სასკოლო ცხოვრების გაუმჯობესებას. ამიტომ, ცვლილების ნებისმიერ მცდელობას საფუძვლად მოსწავლის კეთილდღეობა უნდა ედოს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ ცვლილებების გზაზე შეიძლება გარკვეული წინააღმდეგობები შეგვხვდეს. საჭიროა შემუშავდეს ამ წინააღმდეგობების დაძლევის გზები.

ამისთვის აუცილებელია სკოლის თანამშრომელთა შორის უფლება-მოსილების მინიჭებისა და გადანაწილების საკითხების მოგვარება. უფლებამოსილების საკითხის გადაჭრაში დაგეხმარებათ ქვემოთ მოცემული კითხვები:

- რა არის სასურველი მოქმედება?
- ვის რა მოვალეობა აკისრია?
- ვის სჭირდება კონსულტაცია ან ინფორმირება?
- როგორ ჩავატარებთ შედეგების მონიტორინგს?
- როდის შევასრულებთ ამოცანას?
- რა რესურსები გვჭირდება?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა და თითოეულ საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა დაგეხმარებათ ინტერვენციის დაგეგმვასა და განხორციელებაში. ბუნებრივია, ეს გულისხმობს პასუხისმგებელ პირებისთვის შესაბამისი უფლებების მინიჭებას. ინტერვენციების განხორციელების დროს მნიშვნელოვანია, რომ მკვლევარ მასწავლებლებს ჰქონდეთ მხარდაჭერა. ეს მხარდაჭერა შეიძლება იყოს მშობლებისგან, კოლეგებისგან, დირექციისგან და ა.შ.

ინტერვენციის დაგეგმვის ეტაპზე მკვლევართა ჯგუფმა უნდა განსაზღვროს ინტერვენციების შეფასების კრიტერიუმები და უნდა შეიმუშაოს მოქმედების გეგმა, რომელშიც მოცემული უნდა იყოს საქმიანობების დეტალური აღწერა, საჭირო რესურსებისა და საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირის მითითებით. სასურველია, თუ ინტერვენციის ხანგრძლივობა იქნება 3-5 თვე. გთავაზობთ ინტერვენციის გეგმის სარეკომენდაციო ფორმას (მილსი 2007, 162):

კვლევის შიდა მონაცემები	კვლევის შეკოხვა N1 <i>მიგნება 1</i> <i>მიგნება 2</i>	კვლევის შეკოხვა N2 <i>მიგნება 1</i> <i>მიგნება 2</i>
აღმოჩენაზე მიმართული რეკომენდაციური მოქმედება		
ვინ არის მოქმედებაზე პასუხისმგებელი?	პედაგოგი დირექტორი	პედაგოგი დირექტორი
ვის სჭირდება კონსულტაცია და ინფორმირება	კათედრის ხელმძღვანელი; მშობელი	კათედრის ხელმძღვანელი; მშობელი
ვინ ჩაატარებს მონიტორინგს/ მონაცემთა შეგროვებას?	ხელმძღვანელი; მშობელი	ხელმძღვანელი; მშობელი
ვალები	როდის განხორციელდება ინტერვენცია, მონიტორინგი	როდის განხორციელდება ინტერვენცია, მონიტორინგი
რესურსები	რა რესურსია საჭირო ინტერვენციის განსახორციელებლად	რა რესურსია საჭირო ინტერვენციის განსახორციელებლად

## შენიშვნა:

- სამოქმედო კვლევის განხორციელებას შეიძლება დასჭირდეს ფინანსები წიგნების შესაძენად, მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის და სხვ. დაგეგმვისას გაითვალისწინეთ სკოლის ფინანსური შესაძლებლობები და ასევე ფინანსების მოძიების ალტერნატიული წყაროები.
- ინტერვენციის გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს კვლევის ჯგუფის ყველა წევრმა.

ინტერვენციის დასრულების შემდეგ მნიშვნელოვანია, განხორციელდეს ინტერვენციების შედეგების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად. შეფასებისას ასევე მნიშვნელოვანია, შესწავლილი იყოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები. რამდენად იქონია გავლენა განხორციელებულმა ინტერვენციებმა ცვლილებებზე, ან საერთოდ იქონია თუ არა. ხომ არ იყო რაიმე სხვა მიზეზი, რასაც შეეძლო გავლენა მოეხდინა საბოლოო შედეგზე.

## სამოქმედო კვლევის ანგარიშის მომზადება

*„კვლევის დაწერას აზრი ეკარგება, თუკი მის დასკვნებს ვერავის წავაკითხებთ, ხოლო ანგარიშის გარეშე თვით კვლევის ჩატარებას ეკარგება აზრი“.*

**ვილკოტი**

დროის სიმცირის გამო მკვლევარ-მასწავლებლებს ხშირად არ სურთ ჩატარებული კვლევის ანგარიშის მომზადება. სხვადასხვა აუდიტორიას ისინი შედეგებს პრეზენტაციის სახით წარუდგენენ ხოლმე. მასწავლებლებს ყოველდღიურად დატვირთული სამუშაო გრაფიკი აქვთ, უწევთ გაკვეთილების დაგეგმვა და ჩატარება, სწავლების პროცესში სხვადასხვა პრობლემის გადაჭრა.

თუმცა, კვლევის ანგარიშის მნიშვნელობა სკოლისა და მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია. ის ეხმარება მასწავლებელს პროფესიულ ზრდაში, ხოლო სკოლას ინსტიტუციურ განვითარებაში.

კვლევის ანგარიშის წერის პროცესი მკვლევარს ეხმარება, უკეთ გაიაზროს ის, რისი თქმაც სურს, ამასთან ერთად დაწერილი ანგარიში იოლად ხელმისაწვდომია და მას სხვებაც გამოიყენებენ.

- რატომ უნდა დავხარჯო დრო ანგარიშის მომზადებაში, როდესაც შედეგები კოლეგებს გავაცანი, შედეგს მივალწიე, შევცვალებ სწავლების პრაქტიკა, ასეთი მოსაზრებები შეიძლება ბევრი მას-

წავლებლისგან მოისმინოთ. შესაძლოა, ანგარიშის დაწერას ზედმეტი დროის ფლანგვად თვლიდეთ, მაგრამ ანგარიში სკოლასა და კოლეგებს დიდ დახმარებას გაუწევს. კოლეგები გაეცნობიან ნაშრომს და გაიზიარებენ წარმატებულ პრაქტიკას. თქვენ კი, კიდევ ერთხელ, უფრო სიღრმისეულად შეისწავლით საკითხს, რაც თქვენს პროფესიულ განვითარებას და მოტივაციის ამაღლებას შეუწყობს ხელს რადაცაა:

- ანგარიშის წერისას შესაძლებელია მოსწავლეებისა და სწავლების პროცესის შესახებ ისეთი მნიშვნელოვანი რამ აღმოაჩინოთ, რისთვისაც ყურადღება არ მიგიქცევიათ;
- ანგარიშის წერისას „იძულებული“ ხართ ხელახლა დაფიქრდეთ და გააანალიზოთ კვლევა. წერის პროცესი ახალ შეკითხვებსაც აჩენს, რომელთა ახსნა თქვენს კვლევას სრულყოფილსა და დასრულებულს გახდის.

კვლევის ანგარიში შეგიძლიათ კოლეგებსა და მშობლებს გაუზიაროთ, შედეგების გამოქვეყნება და მკითხველებისაგან უკუკავშირის მიღება თქვენი საქმიანობისა და თქვენი, როგორც პროფესიონალის, აღიარებას მოგიტანთ.

თუკი წერის დაწყება გიჭირთ, წარმოიდგინეთ აუდიტორია, რომელიც თქვენი კოლეგებისგან შედგება და უყვებით განხორციელებული კვლევის შესახებ. დაიწყეთ წერა ისე, როგორც ისაუბრებდით. ტექსტის რედაქტირებას მოგვიანებითაც შეძლებთ. თუ წერის დროს გამუდმებით იფიქრებთ, რომ აკადემიური საზოგადოებისათვის წერა, წერა გაგიჭირდებათ. თქვენი წინადადებები მაღალფარდოვანი და ფორმალური იქნება. საკუთარი მოსაზრება გადმოეცით მარტივი წინადადებებით.

თუ ტექსტის პირველი ვარიანტი ადვილი წასაკითხი არ იქნება, მასში ბევრი გრამატიკული შეცდომა გექნებათ, ნუ ინერვიულებთ. წერეთ გრამატიკის, სინტაქსისა თუ პუნქტუაციის წესების გათვალისწინების გარეშე. მთავარია, თქვენი ამბავი ფურცელზე გადმოიტანოთ. სრულყოფილება არ უნდა იყოს თქვენი მიზანი.

დაწერეთ ყველაფერი, რაც თავში მოგივათ. შემდეგ ხელახლა წაიკითხეთ, დაფიქრდით რამდენად შეძელით იმის გადმოცემა, რისი თქმაც გსურდათ. ეტაპობრივად შეავსეთ თქვენი ნაწერი. ასე, ნელ-ნელა სრულყოფთ თქვენს ნაშრომს.

როცა ყველა მოსაზრებას ფურცელზე გადაიტანთ, შეგიძლიათ დაიწყოთ ტექსტის რედაქტირება. საკუთარ თავს რეალური მოთ-

ხოვნები ნაუყენეთ, არ ჩათვალოთ, რომ პირველივე მონახაზი საბოლოო ვერსიაა, არც ის, რომ მის გაუმჯობესებას ვერ შეძლებთ. ტექსტის სრულყოფის მიზნით, შეიძლება მის რედაქტირებას რამდენჯერმე დაუბრუნდეთ. სწორედ ასეთი მუშაობის შედეგია ეს სახელმძღვანელო.

როცა ანგარიშის წერას დაასრულებთ, სთხოვეთ თქვენს ნაცნობებს (მეგობრები, კოლეგები) ნაიკითხონ და მოგაწოდონ უკუკავშირი. როცა უკუკავშირს ითხოვთ, მზად იყავით, რომ მიიღებთ, მაგრამ შეიძლება სულაც არ მოგეწონოთ, რასაც ისინი გეტყვიან. მზად იყავით, მიიღოთ და გაითვალისწინოთ კრიტიკული შენიშვნები. სხვადასხვა აუდიტორია (მეგობრები, კოლეგები, სკოლის ადმინისტრაცია) განსხვავებულ უკუკავშირს მოგცემთ. აუდიტორიის გათვალისწინება უკეთესი პროდუქტის შექმნაში დაგეხმარებათ. თქვენი ნაშრომი თქვენზე უკეთ არავინ იცის, შინაარსის შესწორებაზე თქვენ ხართ პასუხისმგებელი, თქვენი გადასაწყვეტია მიიღებთ შინაარსობრივ შენიშვნას თუ – არა.

- უკუკავშირი კი შემდეგ დეტალებთან დაკავშირებით უნდა ითხოვოთ:
- იძლევა თუ არა ნაშრომი კვლევის საერთო სურათს? რაიმე ინფორმაცია ხომ არ აკლია?
- ტექსტი მკითხველისათვის იოლად წასაკითხია?
- ნაშრომი საინტერესოა?

ამ ნაწერის წაკითხვის სურვილი ვინმეს თუ გაუჩნდება?

სანამ კოლეგებს ტექსტს გაუგზავნით, კიდევ გადახედეთ, რომ არ იყოს გრამატიკული და პუნქტუაციური შეცდომები. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება კოლეგების ყურადღება გრამატიკული შეცდომების გასწორებამ მიიპყროს და არა ანგარიშის სტრუქტურამ და შინაარსმა.

სანამ ანგარიშს გამოქვეყნებთ, კიდევ ერთხელ შეაფასეთ ნაშრომი.

მილსი (2007, 205) გვიჩვენებს რომ ნაშრომის შეფასებისას ყურადღება მივაქციოთ შემდეგ კომპონენტებს: წესებს, კვლევის ძირითად მიზანს, მონაცემთა შეგროვებას, ლიტერატურის მიმოხილვას, კონტექსტს, წერის სტილსა და სამოქმედო გეგმას. გთავაზობთ მისი კომპონენტების მიხედვით მომზადებული კვლევის ანგარიშის შეფასების რუბრიკას.

კატეგორია	1	2	3
<b>წესების დაცვა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ანგარიშში ფორმატი არ არის დაცული;</li> <li>• ბევრი გრამატიკული, ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომაა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ანგარიშში ნაწილობრივ დაცულია ფორმატი;</li> <li>• გრამატიკული, ორთოგრაფიული და პუნქტუაციური წესები უმეტესად დაცულია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ანგარიშში ფორმატი დაცულია;</li> <li>• არ არის დაშვებული გრამატიკული, ორთოგრაფიული და პუნქტუაციური შეცდომები</li> </ul>
<b>კვლევის ძირითადი მიზანი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კვლევის ძირითადი მიზანი ნათლად არ ჩანს;</li> <li>• კვლევის საგანი ძალიან ზოგადია (მაგ. ონლაინ სწავლა კარგია?)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კვლევის მიზანი ძალიან ზოგადია ან არაარსებითია;</li> <li>• კვლევის საგანი კარგად არ არის ჩამოყალიბებული (მაგ. რა შედეგი აქვს ონლაინ სწავლას?)</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კვლევის მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული ("კვლევის მიზანია, რომ...");</li> <li>• კვლევის საგანი ნათელია და შესაბამისაა მიზანს (მაგ. რა გავლენა აქვს ინტერნეტ-ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ სწავლებას მოსწავლეების შედეგებზე?)</li> </ul>
<b>მონაცემთა შეროვნება</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• წყაროები არ არის მითითებული;</li> <li>• წყაროები კვლევის საგანს არ შეესაბამება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• წყაროები ნაწილობრივაა მითითებული;</li> <li>• მონაცემთა წყაროები კვლევის საგანს მეტ-ნაკლებად შეესაბამება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მრავალფეროვანი მონაცემთა წყაროები სრულად არის მითითებული;</li> <li>• მონაცემთა სხვადასხვა წყაროა გამოყენებული;</li> <li>• მონაცემთა წყაროები შეესაბამება კვლევის საგანს</li> </ul>
<b>ლიტერატურის მიმოხილვა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ნაშრომში არ არის კავშირი უკვე არსებულ კვლევებთან;</li> <li>• ციტირება არასწორადაა გაკეთებული</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ციტირებულია ბოლო სამი წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ხუთი უახლესი წყარო;</li> <li>• ციტირებულია ერთი ან ორი წყარო, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდება კვლევას;</li> <li>• ერთი ან ორი წყარო შეცდომით არის ციტირებული</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ხუთი ან მეტი უახლესი წყაროა ციტირებული</li> <li>• არარელევანტური წყაროები არაა ციტირებული;</li> <li>• ციტირება წესების დაცვით არის გაკეთებული</li> </ul>

კატეგორია	1	2	3
კონტექსტი	<ul style="list-style-type: none"> <li>• კვლევაში კონტექსტი არ არის გათვალისწინებული</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კვლევაში კონტექსტი ბუნდოვნადაა გათვალისწინებული</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კონტექსტი კარგადაა დაწერილი, ნათელია სად რა პირობებში ჩატარდა კვლევა</li> </ul>
წერის სტილი	<ul style="list-style-type: none"> <li>• ტექსტი რთულად წასაკითხია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ტექსტში გამოყენებულია ქვესათაურები, რომელიც მკითხველს კითხვაში ეხმარება;</li> <li>• გამოყენებულია არაკადემიური ტერმინოლოგია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ტექსტი ცხადი, თანმიმდევრული და მკითხველისათვის იოლად წასაკითხია;</li> <li>• თეორია მაგალითებით არის გამყარებული.</li> </ul>
სამოქმედო გეგმა (ინტერვენცია)	<ul style="list-style-type: none"> <li>• არ ჩანს ქმედება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ინტერვენციის კომპონენტები გამოტოვებულია ან შეცდომით არის ჩამოყალიბებული;</li> <li>• მონაცემთა ანალიზსა და ინტერვენციას შორის კავშირი ბუნდოვნაა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კავშირი კვლევის შედეგებსა და ინტერვენციას შორის ნათელია</li> </ul>

თუ მე-3 სვეტის მოთხოვნების ყველა კატეგორია დაკმაყოფილებულია, მაშინ თქვენი კვლევის ანგარიში მზად არის გასაჯაროებისთვის.

### სამოქმედო კვლევის ანგარიშის სტრუქტურა

სამოქმედო კვლევას, როგორც სხვა აკადემიურ ნაშრომს, აქვს გარკვეული სტრუქტურა. ანგარიშში აღწერილი უნდა იყოს სამოქმედო კვლევის განხორციელების თითოეული ეტაპი. მკითხველს საშუალება უნდა ჰქონდეს დეტალურად გაეცნოს კვლევის მიმდინარეობას, შეაფასოს კვლევის შედეგები, განსაზღვროს მისი სანდოობა, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენოს და დაუკავშიროს საკუთარ პრაქტიკას.

სარეკომენდაციოდ გთავაზობთ სამოქმედო კვლევის ანგარიშის სტრუქტურას. მასში გამოყოფილია ის ძირითადი თავები, რასაც ნაშრომი უნდა მოიცავდეს. თითოეული თავი შესაძლოა მოიცავდეს ქვეთავებს. ჩვენს მიერ შემოთავაზებული ნიმუში შეიცავს შემდეგ ნაწილებს:

- სარჩევი
- შესავალი ნაწილი
- საკვლევი საკითხის მიმოხილვა
- ლიტერატურის მიმოხილვა

- კვლევის ინსტრუმენტები და შერჩევის სტრატეგია
- კვლევის შედეგები
- ინტერვენცია
- ინტერვენციის შეფასება
- დასკვნა
- გამოყენებული ლიტერატურა (ბიბლიოგრაფია)

**სარჩევში** მოცემული უნდა იყოს ნაშრომის ყველა ნაწილი: პარაგრაფი, თავი, ქვეთავი და ა.შ. მათი თანმიმდევრობის შესაბამისად, მათ გასწვრივ შესაბამისი გვერდის მითითებით. სარჩევის საშუალებით მარტივად უნდა იყოს შესაძლებელი დოკუმენტში ნავიგაცია და უნდა იძლეოდეს ნაშრომის შემადგენელ ნაწილებზე წარმოდგენას.

**შესავალში** უნდა აღწეროთ ის ორგანიზაცია, სადაც კვლევა ჩატარდა. დაწერეთ ვინ განახორციელა კვლევა, ვინ დააფინანსა, ვინ იყვნენ კვლევის მონაწილეები, რა პროექტის ფარგლებში ან რომელი ორგანიზაციის (ორგანიზაციების) მხარდაჭერით განხორციელდა. შესავალ ნაწილში ასევე შეიძლება მოცემული იყოს, რა ნაწილებისაგან შედგება ნაშრომი. და, რაც მთავარია, შესავალში ნათლად უნდა ჩანდეს კვლევის ჩატარების საჭიროება.

**საკვლევი საკითხის მიმოხილვის** ნაწილში აღწერეთ ორგანიზაციაში არსებული პრობლემა, რომლის გადაჭრასაც ემსახურება სამოქმედო კვლევა. აქვე აღწერეთ ის პრაქტიკა, რომლის შეცვლა ან გაუმჯობესებაც იგეგმება, მიუთითეთ რა სირთულეებს ქმნის ის. ჩამოწერეთ, რა არის პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები, ასევე (კვლევის) მიზანი და ამოცანები.

**ლიტერატურის მიმოხილვის** ნაწილში ასახული უნდა იყოს შერჩეულ პრობლემურ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურა. აღწერეთ, რა გამოცდილება არსებობს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მსგავს ორგანიზაციებში, ადგილობრივ ან საერთაშორისო დონეზე. რეგულირდება თუ არა აღნიშნული საკითხი კანონმდებლობით ან რაიმე სხვა რეგულაციებით. რა ალტერნატიული მიდგომები არსებობს მსგავს საკითხთან დაკავშირებით. ხომ არ არსებობს რაიმე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ გადაჭრილა მსგავსი პრობლემა სხვა ორგანიზაციებში, რა შედეგი მოჰყვა მას, და ა.შ.

ამ თავში აღწერილი უნდა იყოს ის მაგალითები, გამოცდილება, ნორმები, პროცესები, დასკვნები, მიგნებები და ა.შ., რაც ლიტერატურის გაცნობის დროს მკვლევართა ჯგუფმა მნიშვნელოვნად მიიჩნია.

ლიტერატურის მიმოხილვის წერის დაწყებამდე, უნდა განსაზღვროთ, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, თემა, ქვეთემა. რა საკითხებს უნდა შეიცავდეს თქვენი მიმოხილვა? რა თანამიმდევრობით

უნდა შეიცავდეს? როგორაა მოცემული საკითხები საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილებიდან?

არსებობს ინფორმაციის ორგანიზების რამდენიმე ხერხი:

- ✓ ქრონოლოგიური – წყაროების განხილვა მოცემულია ქრონოლოგიურად;
- ✓ პუბლიკაციების მიხედვით – პირველად განხილულია ის პუბლიკაცია, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება საკითხს;
- ✓ ტენდენციების მიხედვით – ქრონოლოგიურად დალაგებული წყაროების ანალიზის შედეგად, შეიძლება გამოიკვეთოს გარკვეული ტენდენცია, რომელიც შესაბამისი პერიოდისთვის იყო დამახასიათებელი;
- ✓ თემატური – წყაროები ორგანიზებულია თემის ან საკითხის მიხედვით. თუმცა, ქრონოლოგია აქაც უნდა იყოს დაცული (მითითებული უნდა იყოს დროის პერიოდი);
- ✓ მეთოდოლოგიური – ძირითადი აქცენტი გადატანილია ავტორის მიერ გამოყენებულ მეთოდებზე, მაგ: ეკონომიკური გავლენა. ამ მიდგომის შერჩევა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა წყაროებს ვიხილავთ.

ლიტერატურის მიმოხილვა შეიცავს სამ ძირითად ელემენტს: შესავალი/ზოგადი ინფორმაცია; ძირითადი ნაწილი, წყაროების განხილვა; დასკვნა ან რეკომენდაცია.

### **შესავალი/ზოგადი ინფორმაცია**

რა არის ლიტერატურის მიმოხილვის ძირითადი თემა ან ორგანიზაციული ჩარჩო



### **ძირითადი ნაწილი, წყაროების განხილვა:**

შეიცავს წყაროების განხილვას, რომელიც დალაგებულია ქრონოლოგიურად, თემატურად, მეთოდოლოგიურად.



### **დასკვნა ან რეკომენდაცია:**

განხილეთ, რა გამოიკვეთა ლიტერატურის განხილვის დროს, როგორ შეიძლება არსებული ვითარების გაუმჯობესება

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე რჩევა, რომელიც გამოგადგებათ ლიტერატურის მიმოხილვის წერისას:

- ✓ შერჩევითობა – შეარჩიეთ მხოლოდ მნიშვნელოვანი საკითხები წყაროებიდან, რომელიც შეესაბამება ლიტერატურის მიმოხილვის ფოკუსს, იმის მიუხედავად, ის თემატურია, მეთოდოლოგიური თუ ქრონოლოგიური.
- ✓ გამოიყენეთ ციტატები შესაბამისად – ვრცელი ციტატების გამოყენება რეკომენდებული არ არის, რადგან ლიტერატურის მიმოხილვა არ იძლევა საკითხის ღრმა განხილვის საშუალებას. მოკლე ციტატები საკმარისია, თუ ავტორის ნათქვამის პერიფრაზი ვერ ხერხდება.
- ✓ შეჯამება და სინთეზი – თუ გსურთ მოპოვებული ლიტერატურიდან რაიმე მნიშვნელოვანი მოსაზრების გამოყენება, სასურველია ისინი შეაჯამოთ და ამ შეჯამებების სინთეზის საფუძველზე წარმოადგინოთ თქვენი დამოკიდებულება არსებული ცოდნის შესახებ.
- ✓ შეინარჩუნეთ საკუთარი ხმა – ლიტერატურის მიმოხილვა სხვათა იდეების განხილვას გულისხმობს, მაგრამ თქვენი პოზიცია უნდა იყოს ცენტრალური. ამისთვის, აბზაცის დასაწყისსა და დასასრულში საკუთარი სიტყვებისა და იდეების მიწოდება კარგი აზრია.
- ✓ პერიფრაზირების დროს იყავით ფრთხილად – პერიფრაზირების დროს უნდა დარწმუნდეთ, რომ ავტორის მოსაზრებას საკუთარი სიტყვებით ზუსტად გადმოსცემთ.
- ✓ რედაქტირება – რედაქტირება მნიშვნელოვანია ეფექტური ლიტერატურის მიმოხილვის შექმნისთვის. შეიძლება მოგიწიოთ ხელახალი გადაწერა, რადგან ლიტერატურის მიმოხილვის ენა გასაგები უნდა იყოს, ხოლო შინაარსი – მოკლე. დარწმუნდით, რომ გამოყენებული არგუმენტები გასაგები იქნება აუდიტორიისთვის. არ გამოიყენოთ ჟარგონი. გადაამოწმეთ წყაროები.

**კვლევის ინსტრუმენტებისა და შერჩევის სტრატეგიის ნაწილში** უნდა აღწეროთ როგორ გამოიკვლიეთ პრობლემის გამომწვევი მიზეზები, რა გაითვალისწინეთ კვლევის ინსტრუმენტების შერჩევისას და როგორ განსაზღვრეთ შერჩევის სტრატეგიები, გაივალისწინეთ თუ არა თქვენს ხელთ არსებული რესურსები და შესაძლებლობები, მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზისათვის საჭირო დრო, სამიზნე ჯგუფების ტიპები, მათთან ხელმისაწვდომობა.

დეტალურად აღწერეთ სამიზნე ჯგუფები, გამოყენებელი კვლევის ინსტრუმენტები (შესაბამისი სამიზნე ჯგუფების მითითებით) და შერჩევის სტრატეგიები თითოეული კვლევის ინსტრუმენტისთვის.

**კვლევის შედეგებში** აღწერეთ როგორ მოხდა მონაცემების შეგროვება, მათი დამუშავება და ანალიზის შედეგად რა მნიშვნელოვანი ფაქტორები გამოიკვეთა, რა მიგნებებამდე მივიდა მკვლევართა ჯგუფი და რა აღმოჩნდა პრობლემის გამომწვევი მიზეზები.

**ინტერვენციის** ნაწილში დეტალურად აღწერეთ შერჩეული ინტერვენცია/ინტერვენციები, განხორციელების ეტაპები, ვადები და პასუხისმგებელი პირები. თუ პრობლემის რამდენიმე მიზეზი გამოიკვეთა, უნდა აღწეროთ რომელი ინტერვენცია, რომელი პრობლემის გადაჭრას უწყობს ხელს. ასევე უნდა აღწეროთ ინტერვენციის შერჩევას რამდენად იყო გათვლისწინებული ორგანიზაციის კულტურა, კანონმდებლობა, ფინანსები, მკვლევართა შესაძლებლობები. ამავე თავში უნდა ჩანდეს ინტერვენციის შეფასების კრიტერიუმები და შეფასების მეთოდები.

**ინტერვენციის შეფასების** ნაწილში აღწერილი უნდა იყოს რა მეთოდების გამოყენებით განხორციელდა ინტერვენციის შედეგების შეფასება. რა ტიპის ცვლილებები განხორციელდა ორგანიზაციაში და როგორ შეიცვალა/გაუმჯობესდა სამიზნე ჯგუფის ქცევა/პრაქტიკა, რამდენად იმოქმედა ცვლილებებზე დაგეგმილმა ინტერვენციებმა და ხომ არ იყო რაიმე სხვა მიზეზი, რასაც შესაძლოა ასევე ემოქმედა კვლევის შედეგებზე.

**დასკვნით** ნაწილში მოკლედ აღწერეთ კვლევის დაგეგმვის, მიმდინარეობისა და შეფასების დროს გამოვლენილი მნიშვნელოვანი საკითხები, მიგნებები და საბოლოო შედეგები.

**გამოყენებული ლიტერატურის (ბიბლიოგრაფია)** მითითება აუცილებელია ნებისმიერი სახის ანგარიშში. ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს იმ წყაროების ჩამონათვალი, რომელთა გამოყენებითაც მოხდა კვლევის განხორციელება.

ბიბლიოგრაფიაში ისეთი წყაროებიც უნდა იყოს მითითებული, რომლებზეც ნაშრომში უშუალო მითითება არ გაკეთებულა, მაგრამ გამოყენებული იყო მუშაობის პროცესში. ისეთი წყაროები, რომლებზე მითითებაც შენიშვნის სახით გაქვთ გაკეთებული, ასევე უნდა იყოს მითითებული ბიბლიოგრაფიაში. მართალია, ამ შემთხვევაში ერთი და იგივე ინფორმაციის მითითება მოგიწევთ, მაგრამ საჭიროა, რომ აღნიშნული ინფორმაცია ორივე სახით იყოს წარმდგენილი. შენიშვნების საშუალებით, მკითხველს შეუძლია სწრაფად ნახოს კონკრეტული მითითების წყარო (გვერდის მითითების სიზუსტით), ხოლო ბიბლიოგრაფიის საშუალებით შესაძლებელია ვიხილოთ კვლევის მასშტაბი და მისი კავშირი მანამდე შესრულებულ ნაშრომებთან (მოსიაშვილი და სხვები 2011, 154)

## სამოქმედო კვლევის ანგარიშის ფორმატი

იმისათვის, რომ ანგარიში ადვილად წასაკითხი იყოს, ყურადღება უნდა გაამახვილოთ ნაწერის ვიზუალურ მხარეზე. გთავაზობთ ტექსტის პარამეტრებს, რომელიც დაგეხმარებათ კვლევის ანგარიშის ვიზუალურ გაფორმებაში.

- შრიფტი – (Unicod-ში კოდირებული შრიფტი, Sylfaen ან მსგავსი);
- ტექსტის შრიფტის ზომა – 12;
- სათაურების შრიფტის ფორმა და ზომა: პირველი დონის სათაური – 14, გამუქებული და სწორი; მეორე დონის სათაური – 12, გამუქებული და დახრილი; მესამე დონის სათაური – 12 და დახრილი;
- რთული სტრუქტურის მქონე ნაშრომში შეიძლება შეგვხვდეს სამ დონეზე მეტი ქვედაყოფა. ქვეთავების რაოდენობა შეიძლება განსხვავებოდეს სხვადასხვა თავში. თუ თავის ან ქვეთავის დაყოფა ხდება, მაშინ დაყოფის ამ დონეზე მინიმუმ ორი ნაწილი/სექცია მაინც უნდა გამოიყოთ. სათაურების დონეების გარჩევა ხდება იმით, რომ ერთი დონის სათაურები ერთნაირად არის გაფორმებული.
- ქვეთავების და მათი ქვეერთეულების სათაურები იწერება ცალკე, ტექსტიდან გამოყოფილ სტრიქონზე. პირველი დონის სათაური ტექსტიდან დაშორებულია ორი სტრიქონით, მეორე დონის სათაური – ერთი სტრიქონით და მესამე დონის სათაურსა და ტექსტს შორის კი არ არის გამოყოფილი სტრიქონი. მხოლოდ ყველაზე დაბალი დონის ქვეერთეულის სათაური იწერება იმავე სტრიქონზე, რომელზეც ძირითადი ტექსტი გრძელდება. ტექსტისგან მისი გამოყოფა კი ხდება იმით, რომ ის დახრილად იწერება და მის ბოლოს წერტილი დაისმის.
- ტექსტის სტრიქონებს შორის მანძილი – 1.5;
- ველები: მარჯვენა ველი – 2 სმ, მარცხენა ველი – 2.5 სმ, ზედა ველი – 2 სმ, ქვედა ველი 2 სმ;
- გვერდები ინომრება არაბული ციფრებით.
- ციტირებისას ფორმატირება უნდა იყოს ერთგვაროვანი. მაგალითად: ავტორების გვარები ერთნაირად უნდა იწერებოდეს. თუ ერთგან ვიყენებთ გვარისა და წელის ფორმატს, მაშინ სხვაგანაც იგივე ფორმატით უნდა მივუთითოთ წყარო.
- ბიბლიოგრაფიაში წყაროების ჩამონათვალი ანბანურად უნდა იყოს დალაგებული.

კვლევის განხორციელებისას მნიშვნელოვანია ეთიკური საკითხების გათვალისწინება. ეთიკური პრობლემების წინაშე კვლევის ყოველ ეტაპზე შეიძლება აღმოჩნდეთ, დაწყებული მისი დაგეგმვიდან, დასრულებული კვლევის ანგარიშის გამოქვეყნებით. ეს პრობლემა შეიძლება შეხვდეს როგორც გამოცდილ, ასევე დამწყებ მკვლევარს. კვლევის ჩატარებისას აღმოაჩენთ, რომ კვლევათა უმეტესობაში მეთოდოლოგიური და ეთიკური საკითხები ერთმანეთისგან პრაქტიკულად განუყოფელია. კვლევის განხორციელებისას, მთავარი ეთიკური დილემა ჭეშმარიტების ძიებაში წონასწორობის შენარჩუნებაა კვლევის მიზნებსა და მონაწილეების უფლებებსა და ღირებულებებს შორის.

აუცილებელია, მკვლევარმა განსაზღვროს რა სარგებლის მოტანა შეუძლია კვლევას. კვლევას შეიძლება მოჰყვეს სწავლა-სწავლების პროცესის, სასწავლო გარემოს ან პროგრამის გაუმჯობესება, სკოლაში დამატებითი მასწავლებლების ან თანამშრომლის მიღება. კვლევის შედეგად მკვლევარმა შეიძლება მიიღოს დანინაულება, შექება ან ნახალისება, პუბლიკაცია, აკადემიური ხარისხი, კვლევის დაფინანსება, პოპულარობა და ა.შ. თუ კვლევა არ გააუმჯობესებს რესპონდენტების ცხოვრებისა და მუშაობის ხარისხს, ისინი ვერ მიიღებენ მატერიალურ, საგანმანათლებლო ან სხვა სარგებელს, შეიძლება ვამტიკოთ, რომ კვლევა არაეთიკურია. მეორე მხრივ, კვლევამ შეიძლება ხელი შეუწყოს გადაწყვეტილების მიმღებ პირთა დღის წესრიგში იმ საკითხების დაყენებას, რაც კვლევამ გამოავლინა. მთავარი კითხვა, რაც კვლევისას უნდა დაისვას, არის – „ვინ სარგებლობს?“ აქედან გამომდინარე, მკვლევრის მხრიდან ეგოისტური მიდგომა შეიძლება არაეთიკურად ჩაითვალოს.

კვლევისას უნდა გაითვალისწინოთ ე.წ. დანაკარგისა და სარგებლის თანაფარდობა. ეს სოციალური მეცნიერების ძირითადი ეთიკური დილემაა. კვლევის დაგეგმვისას უნდა შეადაროთ თქვენი წამოწყების მოსალოდნელი სარგებელი და კვლევაში მონაწილე ინდივიდების პიროვნული დანაკარგი. კვლევიდან მიღებული სარგებელი შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები იყოს: გაუმჯობესდეს სკოლის მუშაობა, დაინერგოს ახალის სასწავლო მეთოდები, გაიზარდოს მოსწავლეთა უსაფრთხოება და ა.შ. მონაწილეებისთვის დანაკარგია მისი ღირსების შელახვა, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩენა, სამსახურეობრივი მდგომარეობის გაუარესება, სოციალური ურთიერთობებისადმი ნდო-

ბის დაკარგვა, დაქვეითებული თვითშეფასება და ა.შ. მაგალითად, რას მოიმოქმედებთ, თუ თქვენი კვლევა აჩვენებს, რომ ზოგიერთი მასწავლებლის კომპეტენცია იმდენად დაბალია, რომ მათთან უნდა შეწყდეს შრომითი ხელშეკრულება მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე? დანაკარგსა და სარგებელს შორის ნონასწორობის შენარჩუნების პროცესი, უმთავრესად, სუბიექტურია და არც თუ ისე მარტივი. არ არსებობს აბსოლუტურად იდეალური გადაწყვეტილება, ამიტომ, კვლევის შინაარსისა და პროცედურების შესახებ გადაწყვეტილებები უნდა მიიღოს პროფესიული და პიროვნული ღირებულებებიდან გამომდინარე.

სამოქმედო კვლევა ეთიკური საკითხებისადმი განსაკუთრებით მგრძობიარეა. ის ტარდება ორგანიზაციაში. მკვლევარი გარკვეული დროის განმავლობაში მათთან მუშაობს და შესაძლებლობა აქვს „შიდა სამზარეულოში ჩაიხედოს“. ამიტომ, მნიშვნელოვანია ადამიანთა პატივისცემისა და კონფიდენციალობის საკითხების გათვალისწინება. სწორედ აქ მართებს მკვლევარს, იქნება ის მასწავლებელი თუ „გარედან მოსული პირი“, განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინოს.

კოჭენი, მანიონი და მორისონი (2007, 191) გვთავაზობენ სამოქმედო კვლევის პრინციპებს, რომლებიც ჩამოაყალიბეს კემისმა და მაკტაგარტმა (1981).

- გადამოწმეთ, რომ შეხვდით სათანადო ადამიანებს, ხელმძღვანელებს, მიაწოდეთ ინფორმაცია, მიიღეთ საჭირო ნებართვა და დადებითი პასუხი;
- კვლევაში მონაწილეობისთვის ნაახალისეთ ისინი, ვინც დაინტერესებულია იმ გაუმჯობესებით ან ცვლილებით, რომლის მიღწევასაც აპირებთ;
- შეუთანხმდით მათ, ვისაც კვლევა ეხება. ყველას არ ენდომება კვლევაში ჩართვა. მუშაობისას ანგარიში გაუწიეთ სხვების პასუხისმგებლობებსა და სურვილებს;
- აღწერეთ პროგრესი: სამუშაო თვალსაჩინო გახადეთ და იყავით ღია შემოთავაზებებისთვის, რათა მხედველობაში მიიღოს წინასწარ გაუთვალისწინებელი და შეუმჩნეველი მიმართულებები;
- შეთანხმეთ სამუშაო აღწერილობები იმ ადამიანებთან, ვინც კვლევაშია ჩართული;
- შეთანხმეთ ანგარიშები მათთან ვისგანაც ინტერვიუ აიღეთ. მიეცით საშუალება, რომ მოითხოვონ შესწორებები. თქვენი ნაშრომი უფრო სამართლიანი, რელევანტური და ზუსტი გახდება;

- მოიპოვეთ ინტერვიუდან ციტატების გამოყენების უფლება;
- შეათანხმეთ გამოსაქვეყნებელი ანგარიშები. სხვადასხვა აუდიტორია განსხვავებულ ანგარიშს საჭიროებს. რაც თანამშრომლების შეხვედრაზე არაფორმალური ზეპირი ანგარიშისთვის არის საჭირო, შეიძლება შეუსაბამო იყოს ჟურნალის სტატიისთვის, გაზეთისთვის ან მშობლებისთვის;
- აიღეთ კონფიდენციალობის დაცვის პასუხისმგებლობა;
- შეინარჩუნეთ თქვენი ნაშრომის წარდგენის უფლება: დარწმუნდით, რომ ყველა, ვინც კვლევაში იყო ჩართული, კმაყოფილია ანგარიშების სამართლიანობით, სიზუსტითა და რელევანტურობით;
- დარწმუნდით, რომ შედეგები ზედმეტად არ ააშკარავენ ან უხერხულ მდგომარეობაში არ აყენებენ კვლევაში ჩართულ ადამიანებს.
- თანმიმდევრული და გამჭვირვალე გახადეთ კვლევის პროცედურები. სამოქმედო კვლევაში ჩართული ყველა ადამიანი მუშაობის დაწყებამდე უნდა დაეთანხმოს მას და უნდა იცოდეს თავისი უფლებები ამ პროცესში.

თუ სკოლაში კვლევის განხორციელება იგეგმება იმ პირების მიერ, რომლებიც არ არიან სკოლის თანამშრომლები (მაგალითად უნივერსიტეტის სტუდენტები ან პროფესორები) მაშინ საჭირო იქნება კვლევის ჩატარებაზე თანხმობის მიღება.

კვლევის ჩატარებაზე თანხმობის მოპოვება რთული ეტაპია. ამ ეტაპზე უნდა მოხდეს დანესებულებასთან საკვლევი თემის ადეკვატურობის, კვლევის დიზაინის, მეთოდების, კონფიდენციალობის გარანტიების, შედეგების ანალიზისა და გავრცელების შესახებ შეთანხმება.

არ გქონდეთ ილუზია, რომ საგანმანათლებლო დანესებულებაში (ბაღი, სკოლა, უმაღლესი ან პროფესიული სასწავლებელი) უბრალოდ შესვლის უფლება გაქვთ ან დანესებულება ადვილად დაგთანხმდებათ თანამშრომლობაზე. დანესებულების წარმომადგენლები უნდა დაარწმუნოთ, რომ როგორც მკვლევრები და ადამიანები, იმსახურებთ უფლებას იმ საშუალებების გამოყენებაზე, რომლებიც გჭირდებათ კვლევის განსახორციელებლად. სასურველია ნებართვა ადრევე აიღოთ და დანესებულების წარმომადგენლებს კვლევაში მონაწილეობის შესაძლო სარგებელზე და საფრთხეებზე მიუთითოთ.

ნებართვის მისაღებად თავდაპირველად მიწერეთ წერილი დანესებულების ხელმძღვანელს. წერილობითი შეთანხმების შემდეგ, პირადად შეხვედრით და გააცანით თქვენი მიზნები. თუ კვლევა უნივერსიტეტის

ფარგლებში ტარდება, მაშინ მემორანდუმი უნივერსიტეტსა და ორგანიზაციას შორის გაადვილებს თანამშრომლობას. ფესტინგერი და კაცი (1966) თვლიან, რომ თანხმობისა და თანამშრომლობის პირობის მისაღებად, უმჯობესია პირდაპირ ორგანიზაციის ან სისტემის ხელმძღვანელობასთან დაკავშირება. ეს განსაკუთრებით ეფექტიანია, როდესაც სტრუქტურა მკაფიოდ იერარქიულია და იერარქიით დაბლა მდგომი თანამშრომლები ყოველთვის დამოკიდებული არიან თავიანთ ხელმძღვანელებზე. (კოჰენი, მანიონი და მორისონი 2007, 159).

როგორ მოვიპოვოთ სკოლებთან თანამშრომლობის უფლება? რა საკითხები უნდა გავითვალისწინოთ? გთავაზობთ კოჰენის, მანიონის, მორისონისა (2007, 161) და ბელის (1991) მოსაზრებებზე დაყრდნობით შემუშავებულ რეკომენდაციებს:

1. მას შემდეგ, რაც კვლევის გეგმას შეიმუშავებთ, გაარკვიეთ, რა გზით შეძლებთ სკოლებთან დაკავშირებას, სკოლა თავად იღებს თანამშრომლობის შესახებ გადაწყვეტილებას, თუ თანხმობა ადგილობრივი განათლების უწყებიდან ან განათლების სამინისტროდან უნდა მოიპოვოთ. გაეცანით სხვა მკვლევარებისა და ორგანიზაციების გამოცდილებას. გახსოვდეთ, კანონები იცვლება და შესაძლოა თანხმობის მოპოვების სხვა გზის გამოყენება დაგჭირდეთ.
2. მას შემდეგ, რაც თანხმობას მოიპოვებთ, შეხვდით სკოლის წარმომადგენლებს, გააცანით თქვენი გეგმები. სკოლასთან თანამშრომლობის ნებართვის აღება ერთია, მაგრამ კვლევაში ჩართული ადამიანების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია. სწორედ მათ უნდა მოგცენ ინტერვიუ და შეავსონ კითხვარი.
3. სკოლის ხელმძღვანელს წარუდგინეთ კვლევის გეგმა. შეადგინეთ იმ ადამიანების ნუსხა, რომლებთანაც გასურთ ინტერვიუს ჩატარება ან ვისაც კითხვარები უნდა დაუგზავნოთ.
4. აღწერეთ კვლევის ჩატარების პირობები. წინასწარ მოამზადეთ წერილობითი ტექსტი კვლევის მიზნებისა და ჩატარების პირობების შესახებ. დაურიგეთ მონაწილეებს. მხოლოდ სიტყვიერი წარდგინება საკმარისი არ არის. მონაწილეებს შეიძლება დაავინყდეთ მოსმენილი. აღწერეთ, რას გულისხმობთ ანონიმურობასა და კონფიდენციალობაში. მაგალითად, თუ მონაცემებს მოაგროვებთ „უცხოური ენის კათედრის ხელმძღვანელისგან“ და ამას კვლევის ანგარიშში მიუთითებთ, კონფიდენციალურობასა და ანონიმურობას ვერ დავიცავთ, თუ სკოლაში უცხოური ენის ერთი კათედრაა და მას ერთი ხელმძღვანელი ჰყავს.

5. გადანყვიტეთ, კვლევის მონაწილეები გაეცნობიან თუ არა ანგარიშს, ან მის მონახაზს, ინტერვიუს ტრანსკრიპტებს? გაითვალისწინეთ გაცნობისთვის საჭირო დრო და ხარჯი.
6. კვლევის მონაწილეებს უთხარით, ვინ გაეცნობა მათგან მიღებულ ინფორმაციას – ექსპერტი, უნივერსიტეტის პროფესორი, განათლების სამინისტროს წარმომადგენელი თუ ვინმე სხვა?
7. იყავით გულწრფელი. თუ კვლევა აკადემიური ხარისხის მისაღებად გჭირდებათ, უთხარით ეს მონაწილეებს. თუ მონაწილეს უთხარით, რომ გინდათ 10 წუთიანი ინტერვიუ და სინამდვილეში ის ერთი საათი გრძელდება, მონაწილის ნდობას დაკარგავთ.
8. კვლევისას დაგჭირდებათ ადამიანების დახმარება. მათ შეიძლება მოგანოდონ დოკუმენტები და წიგნები. წიგნები დროულად დააბრუნეთ და არ დაგავინყდეთ მადლობის გადახდა.
9. იყავით სკეპტიკური მოსაზრების „ყველაფერი კარგად იქნება“ მიმართ. სკოლასთან თანამშრომლობის ნებართვის მოპოვება მნიშვნელოვანია, მაგრამ თუ „შინაური“ მკვლევარი ხართ, თქვენი დაშვებული შეცდომები თანამშრომლებს დიდხანს ემახსოვრებათ. ამიტომ, ფრთხილად იყავით.

სკოლაში კვლევის ჩატარებაზე უფლების მიღება შეიძლება მოხდეს ზეპირი ან წერილობითი (მემორანდუმის გაფორმება) შეთანხმებით, დანესებულების ხელმძღვანელთან ან შესაბამის პასუხისმგებელ პირთან. ამის შემდეგ საჭირო იქნება იმ პირთან დაკავშირება, რომელსაც სკოლა გამოჰყოფს თქვენთან ურთიერთობისთვის და პასუხისმგებელი იქნება კვლევის ორგანიზებასა და ადმინისტრირებაზე. ეს პირი, საჭიროების შემთხვევაში, ასევე გაგინეტ დახმარებას მისი შესაძლებლობების ფარგლებში.

*სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა 2016-2017 წლებში ევროკავშირისა და World Vision Georgia-ს დაფინანსებით განახორციელა პროექტი “სკოლის ახალგაზრდული ჯგუფების მხარდაჭერა ეფექტური და მდგრადი გადანყვიტელებისათვის”. პროექტის ფარგლებში სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებს, სკოლის მოსწავლეებთან ერთად, სამოქმედო კვლევის საშუალებით უნდა შეესწავლათ სკოლისა და ადგილობრივი თემის საჭიროებები და გადაეჭრათ დღის წესრიგში არსებული პრობლემები. პროექტის განსახორციელებლად, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა თანხმობის მისაღებად მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. თანხმობის მიღების შემდეგ, მემორანდუმი გააფორმა პარტნიორ*

სკოლებთან. სკოლებმა გამოყვეს პასუხისმგებელი პირები, რომლებთანაც სტუდენტები თანამშრომლობდნენ. პასუხისმგებელ პირებად, ზოგიერთმა სკოლამ მასწავლებელი გამოყო, ზოგიერთმა – დირექტორის მოადგილე. რამდენიმე შემთხვევაში დირექტორი თავად თანამშრომლობდა სტუდენტებთან. პასუხისმგებელი პირი სტუდენტებს ეხმარებოდა მოსწავლეებთან შეხვედრების ორგანიზებაში და სკოლის თანამშრომლებთან ურთიერთობაში.

კვლევის განხორციელებისას მნიშვნელოვნად მოგიწვიათ შეიჭრათ სასკოლო გარემოში, ამიტომ, მნიშვნელოვანია, დროულად მოიპოვოთ და შემდეგ შეინარჩუნოთ მასწავლებლების კეთილგანწყობა. სასურველია მასწავლებლებს წინასწარ მოელაპარაკოთ და პირობებზე შეთანხმდეთ.

კვლევის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია, მასწავლებლებისგან მიიღოთ ინფორმირებული თანხმობა. როდესაც ვერ ხერხდება ანონიმურობისა და/ან კონფიდენციალურობის დაცვა, ამ შემთხვევაში სკოლის წარმომადგენლებთან ერთად უნდა განიხილოთ კვლევის ანგარიშის საფარობა. შესაძლებელია, კვლევის ანგარიში მხოლოდ სკოლის შიდა დოკუმენტი იყოს, რადგან მასში ასახულია სკოლისთვის მწვავე პრობლემები, რომლის საფარობა სკოლის ინტერესებში არ შედის. თუმცა, სკოლისთვის მნიშვნელოვანია სამოქმედო კვლევის შედეგები, რადგან მისი გეგმები განვითარებისკენაა ორიენტირებული.

არ დაგავიწყდეთ, რომ სკოლის წარმომადგენელს უფლება აქვს უარი თქვას კვლევაში მონაწილეობაზე კვლევის ნებისმიერ ეტაპზე.

სკოლაში განხორციელებულ სამოქმედო კვლევაში დიდი ალბათობით მოსწავლეებიც იქნებიან ჩართულები. მოსწავლეებისგანაც საჭიროა ინფორმირებული თანხმობის მიღება, თუმცა, პროცედურები ამ შემთხვევაში განსხვავებულია. ბავშვებისგან ინფორმირებული თანხმობის მიღება ორი ეტაპისგან შედგება. პირველ ეტაპზე უნდა შეხვდეთ ბავშვების მშობლებს ან მეურვეს, მასწავლებელს, და ა.შ. გააცნოთ კვლევის იდეა, მიზანი, პროცედურები, გასცეთ ამომწურავი პასუხი მათ შეკითხვებს და მიიღოთ ნებართვა. მეორე ეტაპზე კი თავად ბავშვებისგან უნდა მიიღოთ თანხმობა.

ბავშვებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, გამოხატონ საკუთარი სურვილი კვლევაში მონაწილეობაზე. თუ მონაწილეები უარს ამბობენ კვლევაში მონაწილეობაზე, მათ აღარაფერი უნდა ჰქვითხოთ, აღარ უნდა ჩაინეროთ მათი მოქმედებები და არ უნდა მოიხსენიოთ (ფსევდონიმიტაც კი) არცერთ ნიგნსა თუ სტატიაში. ჯგუფის გარკვეული ნაწილი, რომელიც ჯერჯერობით უარს ამბობს მონაწილეობაზე, შეიძ-

ლება მოგვიანებით ჩაერთოს კვლევაში. ფაინი და სენდსტრომი (1988) თვლიან, რომ უარი ზოგჯერ მკვლევარისადმი უნდობლობით არის გამოწვეული. მოგვიანებით, როდესაც მკვლევარი უკეთეს ურთიერთობას დაამყარებს ჯგუფთან, ისინი, ვინც დასაწყისში უარი თქვა, შეიძლება ისევ დაბრუნდნენ და, სავარაუდოდ, პირადად მიმართონ მკვლევარს კვლევაში ჩართვის თხოვნით.

როდესაც კვლევაში ბავშვები მონაწილეობენ, გამოყოფენ ორ ჯგუფს. საბავშვო ბაღის ან ბაგის ასაკის ბავშვებთან მუშაობისას, მკვლევარმა შეიძლება არ ჩათვალოს საჭიროდ მათგან ინფორმირებული თანხმობის მიღება, მაგრამ ბავშვებს რალაცნაირად მაინც უნდა აუხსნათ რას ელით მათგან. მაგალითად, ამ ასაკის ბავშვებისთვის საკმარისი იქნება, თუ ეტყვი, რომ მათთან მოგინებთ ყოფნა, როდესაც ისინი თამაშობენ. ეს შეიძლება იყოს ინფორმირებული თანხმობის საზომი.

მეორე ჯგუფს წარმოადგენენ ბავშვები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ დაინერისა და კრენდელის (1978) „კომპეტენტურობის“ კრიტერიუმს (მაგალითად, ფსიქიკურ განვითარებაში შეფერხების მქონე ბავშვების ჯგუფი). ასეთ ვითარებაში უნდა დაიცვათ კანონი და მშობლის ან მეურვისგან მიიღოთ ინფორმირებული თანხმობა.

აქვე მნიშვნელოვანი გაფრთხილება:

კვლევის ყველა ეტაპზე დაცული უნდა იყოს პირადულობა. დაინერი და კრენდელი (1978) პირადულობას განიხილავენ მიწოდებული ინფორმაციის სენსიტიურობის, დაკვირვების ქვეშ მყოფი გარემოსა და ინფორმაციის გავრცელების კუთხით.

**ინფორმაციის სენსიტიურობა** გულისხმობს რამდენად პირადი ან პოტენციური საფრთხის შემცველია მკვლევარისთვის მიწოდებული ინფორმაცია. ზოგიერთი სახის ინფორმაცია მეტად პირადულია, ვიდრე სხვა და შეიძლება მეტი საფრთხის შემცველი იყოს. კოჰენი, მანიონი და მორისონი (2007, 175) გვთავაზობენ ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაციის ანგარიშიდან (1973) ამონარიდს, რომლის მიხედვით, სენსიტიური ინფორმაციად შეიძლება ჩაითვალოს „რელიგიური პრიორიტეტები, სექსუალური პრაქტიკები, შემოსავალი, რასობრივი ცრურწმენები. ისეთი პიროვნული თვისებები, როგორცაა ინტელექტი, პატიოსნება და გამბედაობა“. ასოციაციის ანგარიშში ნათქვამია, რომ ეს უფრო სენსიტიური ინფორმაციაა, ვიდრე სახელი, წოდება და პირადი ნომერი. თუ ინფორმაცია სენსიტიურია მონაწილეთა პირადულობა დაცული უნდა იყოს.

**გარემო.** რომელსაც აკვირდებიან, შეიძლება იყოს ძალიან პირადი ან სრულიად საჯარო. თუმცა პირადულობისა და საჯაროობის ცნება ფარდობითია. სახლი პირად გარემოდ ითვლება, სახლში მესაკუთრის თანხმობის გარეშე შექტრა კანონით არის აკრძალული.

**ინფორმაციის გავრცელება** ადამიანის პირადი ნომერი, სახელი, გვარი, საცხოვრებელი ადგილი და.ა.შ., პირადი ინფორმაციაა. ამ მონაცემების საშუალებით პირის იდენტიფიცირება იოლია. როდესაც ასეთი ინფორმაცია საჯარო ხდება, ირღვევა პირადულობა. მკვლევარმა უნდა დაიცვას ადამიანის პირადულობა.

კვლევის მონაწილემ შეიძლება უარი თქვას პირადულობის უფლებაზე, მკვლევარისთვის ხელმისაწვდომი გახადოს სენსიტიური თემები ან გარემოებები, ან კვლევის ანგარიშში მათი სახელების მოხსენიებაზე განაცხადოს თანხმობა.

**ანონიმურობა და კონფიდენციალობა** იცავს კვლევის მონაწილეებს საჯაროობისგან.

ანონიმურობა ნიშნავს, რომ მონაწილის იდენტიფიცირებას ვერაზინ შესძლებს – ვერც მკვლევარი და ვერც ანგარიშის მკითხველი. თუ კითხვარში არ არის საიდენტიფიკაციო ნიშნები – გვარი, სახელი, მისამართი, დასაქმების ადგილი, ან კითხვარი არ შეიცავს კოდირების სიმბოლოებს, რესპონდენტის სრული ანონიმურობა უზრუნველყოფილია.

შეიძლება მოგროვებული ინფორმაცია რაიმე სახით იძლეოდეს პირის იდენტიფიცირების საშუალებას. მაგ., თუ კვლევის დროს გამოვეკითხეთ ერთი მამაკაცი და ყველა დანარჩენი ქალი, ხოლო კითხვარში სქესის მითითება აუცილებელია, მაშინ მონაწილეების, კერძოდ კი მამაკაცის ანონიმურობა დაცული არ იქნება. ამ შემთხვევაში კითხვარში სქესის მითითება ზღუდავს ანონიმურობას.

ადამიანის პირადი ცხოვრების დაცვის კიდევ ერთი გზა კვლევის კონფიდენციალობაა. ეს ნიშნავს, რომ მკვლევარმა იცის, ვინ მიანოდა ინფორმაცია, მაგრამ ის არავითარ შემთხვევაში არ გახდის საჯაროს. მაგალითად: პირისპირ ინტერვიუების დროს ანონიმურობა არ არის დაცული, მკვლევარი ხვდება რესპონდენტს და ინერს მის ინტერვიუს. თუმცა, რესპონდენტის ვინაობა მხოლოდ მას ეცოდინება, ანგარიშს კი ისე მოამზადებს, რომ მკითხველი ვერ შეძლებს ინფორმაციის მიმწოდებლის იდენტიფიცირებას. ამ დროს კონფიდენციალობა დაცულია.

ანონიმურობის და კონფიდენციალობის დაცვა აძლიერებს მკვლევარსა და კვლევაში მონაწილე პირებს შორის ნდობას. მკვლევარმა კვლევაში მონაწილე პირებს საკმაოდ გასაგებად უნდა აუხსნას კონკრეტულ კვლევაში კონფიდენციალურობისა და ანონიმურობის შეზღუდვები.

სენსიტიური თემების კვლევისას ზოგიერთმა პოტენციურმა რესპონდენტმა შეიძლება უარი თქვას თანამშრომლობაზე, თუ თქვენი მხრიდან კონფიდენციალობის დაპირება სუსტი, ბუნდოვანი და გაუგებარია. ან თუ ვერ დაარწმუნებთ რესპოდენტს, რომ კონფიდენციალობა არ დაირღვევა.

კოპენი, მანიონი და მორისონი (2007, 179) გვთავაზობენ ფრანკ-ფორტ-ნახმიასისა და ნახმიასის (1992) მიერ შემუშავებული კონფიდენციალობის დაცვის რამდენიმე ხერხს:

- ინდივიდების შესახებ გამოქვეყნებული მონაცემებიდან სახელების, მისამართებისა და იდენტიფიკაციის სხვა ნიშნების წაშლა;
- ანგარიშში კონკრეტულის ნაცვლად, ზოგადი ინფორმაციის გამოყენება მაგალითად, კონკრეტული თარიღის ნაცვლად, დაბადების წლის აღნიშვნა, პროფესიის და არა ვინრო სპეციალიზაციის აღნიშვნა და სხვ.;
- მიკროაგრეგაცია – კონკრეტული ინდივიდების შესახებ ინფორმაციის ნაცვლად, მონაცემებზე დაყრდნობით, „ტიპური პიროვნების“ შექმნა და ამ მონაცემების „გამოყენება“ ანგარიშში;
- ჩანაწერებში შეგნებულად, მიზანმიმართულად დაშვებული შეცდომები, როდესაც ჯამური, კრებსითი ინფორმაცია უცვლელი რჩება. გაითვალისწინეთ, რაც უფრო სენსიტიური, ინტიმური ან მადისკრედიტებელია ინფორმაცია, მით მეტი ვალდებულება გაქვთ დაიცვათ კონფიდენციალობა.

როდესაც ნდობის პირობებში მოპოვებული მონაცემების სააშკარაოზე გამოტანა ხდება, ეს უხერხულ მგდომარეობაში აყენებს მონაწილეს და მან შეიძლება ეს ღალატად ჩათვალოს. ღალატი ხშირად თან ახლავს პიროვნულ თუ პროფესიულ ეგოისტურ მოტივებს. ღალატისადმი ყველაზე მონყვლადად შეიძლება სამოქმედო კვლევა ჩაითვალოს. ამ პრობლემის თავიდან არიდების მიზნით, სასურველია, თუ მომზადებულ ანგარიშს კვლევაში ჩართულ მასწავლებლებს გაუუგზავნით და ვთხოვთ კომენტარების მონოდებას. ეს მეთოდი კარგად მუშაობს კვლევისადმი კარგად განწყობილ მასწავლებლებთან, თუ მასწავლებლები კვლავაც გულგრილი ან მტრულად განწყობილი არიან კვლევის მიზნებისადმი, მაშინ მათი შეხედულებები შეიძლება პრობლემური იყოს.

სამოქმედო კვლევის განხორციელებისას შეიძლება რთული გადაწყვეტილების წინაშეც აღმოჩნდეთ. მაგალითად, თუ აღმოაჩინეთ, რომ სკოლის დირექტორის კომპეტენციები არ არის საკმარისი სკოლის

ეფექტიანი მართვისათვის და დანესებულებაში არსებული პრობლემები სწორედ მისი მართვის სტილით არის განპირობებული, როგორ ასახავთ ამას ანგარიშში? აქ ჩნდება კითხვა, როგორ უნდა შეუთავსოს ერთმანეთს მკვლევარმა საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა და ცალკეული პირების უვნებლობა? უნდა გამოააშკარაოს სკოლის ნაკლოვანებები რითაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს ინდივიდებს (დირექტორს, მასწავლებლებს)? თუ გააგრძელოს დუმილი? ეს საკითხი ნდობაზეა დამოკიდებული: ქეშმარიტების ძიება და ნდობის გამართლება შეიძლება ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდეს. ამ დროს უნდა დაფიქრდეთ კითხვაზე – „რას მოუტანს კვლევა მონაწილეებს, საზოგადოებას და მკვლევარს?“

ცალკე აღნიშვნის ღირსია ტყუილი კვლევის დროს. მოტყუებაა, როცა ადამიანებს არ ეუბნებით რას იკვლევთ, ეუბნებით ტყუილს ან ნაწილობრივ სიმართლეს. მაგალითად: გაკვეთილზე მოსწავლეთა ქცევაზე დაკვირვებისას, მოსწავლეებს შეიძლება ვუთხრათ, რომ დაკვირვება ხდება მასწავლებლის მიდგომებზე სასწავლო პროცესში. თუ სიმართლეს ვეტყვით, მაშინ ვერ მოვახერხებთ მოსწავლეთა ბუნებრივ ქცევაზე დაკვირვებას. მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ თუ ტყუილი ექსპერიმენტის ერთადერთი გზაა და ცდის პირს ზიანი არ ადგება, მაშინ ღირს მუშაობის პროცესში მისი გამოყენება. მოტყუება გამართლებულია იმ შემთხვევაში, თუ კვლევა საზოგადოებრივ სიკეთეს ემსახურება და ტყუილი თავიდან გვაცილებს კვლევის პროცესში ნებისმიერი სახის მიკერძოებას. ამ დროს ჩნდება კითხვა: „როგორია მეცნიერების ინტერესსა და მონაცემების გულუბრყვილოდ გამცემ ადამიანებთან მზრუნველობით, გულითად მოპყრობას შორის საჭირო ბალანსი? ფაქტობრივად აქაც დანაკარგისა და სარგებლის თანაფარდობაა შესაფასებელი.

ეთიკის საკითხების დაცვა მნიშვნელოვანია ანგარიშის წერის დროსაც. გამოსატყუებ მადლიერება ყველა იმ ადამიანის მიმართ, რომლებიც კვლევის განხორციელებაში მოგეხმარნენ. ამის გაკეთება შეიძლება წინასიტყვაობაში, შესავალსა ან სქოლიოში. ეს ყველაფერი ყოველდღიური, ბუნებრივი ეთიკის საკითხებია.

## სამოქმედო კვლევა უმაღლესი საბანმანათლებლო დაწესებულების პროგრამებში

სამოქმედო კვლევა საქართველოში პირველად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე დაინერგა. დღესდღეობით სხვადასხვა უნივერსიტეტების სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამები შეიცავს სამოქმედო კვლევის კომპონენტსაც.

სამოქმედო კვლევა მასწავლებელსა და სკოლის ადმინისტრაციას საშუალებას აძლევს, პრობლემა სიღრმისეულად შეისწავლოს და სხვადასხვა კუთხიდან შეაფასოს. კვლევის პროცესი სამოქმედო კვლევაში ჩართული პირების პროფესიულ განვითარებასაც უწყობს ხელს. განათლების მიმართულების საუნვერსიტეტო პროგრამებში სამოქმედო კვლევის კომპონენტის ინტეგრირება ხელს შეუწყობს ისეთი მასწავლებლების მომზადებას, რომლებსაც განვითარებული ექნებათ კვლევითი უნარები და დამოუკიდებლად შეძლებენ განახორციელონ სამოქმედო კვლევა.


სამოქმედო კვლევის ეფექტური დანერგვის მიზნით სტუდენტებმა უნდა შეიძინონ როგორც თეორიული ცოდნა, ასევე მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება. მომავალ მასწავლებელს სჭირდება ლიტერატურა, სალექციო კურსებით და კვლევის ხელმძღვანელის მუდმივი კონსულტაციები კვლევის განხორციელების დროს.

სამოქმედო კვლევის განსახორციელებელ დაწესებულებად შეიძლება შეირჩეს სკოლა, საბავშვო ბაღი, პროფესიული სასწავლებელი, ან განათლების სფეროში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია. დაწესებულებას წინასწარ არჩევს პროგრამის ხელმძღვანელი. სასურველია, ამ თანამშრომლობას ოფიციალურ ფორმა ჰქონდეს და მხარეებს შორის გაფორმდეს თანამშრომლობის მემორანდუმი.

შერჩეული დაწესებულებების ხელმძღვანელს, პროგრამის ხელმძღვანელმა უნდა მიანოდოს ამომწურავი ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობების შესახებ, ასევე აცნობოს იმ რისკებისა და პრობლემების შესახებ, რომლებიც კვლევის განხორციელებისას შეიძლება წარმოიშვას. მნიშვნელოვანია, რომ მკაფიოდ დაფიქსირდეს უნივერსიტეტის მხრიდან პროცესის კონტროლისა და ორგანიზაციის მხარდაჭერის პირობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ორგანიზაციამ შეიძლება უარი განაცხადოს კვლევაში მონაწილეობაზე, ან კვლევის განხორციელებისას სტუდენტებს დაუმალოს გარკვეული ინფორ-

მაცია. ეს კი უარყოფითად აისახება, როგორც კვლევის განხორციელებაზე, ისე მის შედეგებზე. პროგრამის ხელმძღვანელებმა სტუდენტებსაც დეტალურად უნდა აუხსნას კვლევის განხორციელების თითოეული ეტაპი და თითოეულ ეტაპზე მოსალოდნელენი სირთულეები. ასევე, მნიშვნელოვანია, სტუდენტებმა გააცნობიერონ კვლევის თითოეულ ეტაპზე გასათვალისწინებელი სენსიტიური საკითხები და კვლევის ეთიკის ნორმები.

სამოქმედო კვლევის სწავლების პროცესი შეიძლება დაიყოს რამდენიმე ეტაპად: დაგეგმვა, სწავლება, კვლევის განხორციელება, შედეგების წარდგინება და შეფასება. უნივერსიტეტი ყველა ეტაპის განხორციელებაშია ჩართული. მნიშვნელოვანია, რომ წინასწარ იყოს განსაზღვრული თითოეულ ეტაპზე უნივერსიტეტის, საგანმანათლებლო დაწესებულებისა და სტუდენტის მონაწილეობა და როლი. ქვემოთ მოცემულ სქემაზე ასახულია კვლევის განხორციელების სქემა სკოლის მაგალითზე.



როგორია სამოქმედო კვლევაში ჩართული უნივერსიტეტის, სკოლისა და სტუდენტის როლი თითოეულ ეტაპზე? ამ საკითხის გააზრება მნიშვნელოვანია, რადგან კარგად დაგეგმილი პროცესი, როდესაც მასში მონაწილე ყველა მხარეს გაცნობიერებული აქვს საკუთარი როლი და მნიშვნელობა, უკიდურესად დადებითად აისახება სამოქმედო კვლევის ეფექტურობაზე. ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღწერილია ის ფუნქციები, რაც კვლევის განხორციელების დროს თითოეულ მხარეს აკისრია:

	უნივერსიტეტი	სტუდენტები	სკოლა
დაზღვევა	<ul style="list-style-type: none"> <li>პარტნიორი ორგანიზაციების მოძიება;</li> <li>ორგანიზაციებისთვის პროგრამის და კვლევის მიზნების გაცნობა;</li> <li>თანამშრომლობის პრინციპებზე შეთანხმება;</li> </ul>		<ul style="list-style-type: none"> <li>უნივერსიტეტთან თანამშრომლობის პრინციპებზე შეთანხმება;</li> <li>მასწავლებლების ინფორმირება სკოლაში სამოქმედო კვლევის განხორციელების მნიშვნელობაზე;</li> <li>უნივერსიტეტისთვის შესაძლო საკვლევო თემების შეთავაზება</li> </ul>
სამართლებრივი	<ul style="list-style-type: none"> <li>კვლევის მეთოდების კურსების მომზადება და სწავლება;</li> <li>შესაბამისი ლიტერატურის მინოდება სტუდენტებისთვის;</li> <li>კვლევასთან დაკავშირებული შუალედური პრეზენტაციებისა და განხილვების ჩატარება;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>კვლევის მეთოდების, სტატისტიკის ელემენტების, მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის ხერხების შესწავლა.</li> <li>პრეზენტაციების მოწყობა;</li> <li>შესაბამისი ლიტერატურის გაცნობა;</li> <li>კვლევასთან დაკავშირებული შუალედური პრეზენტაციებისა და განხილვებში მონაწილეობა;</li> </ul>	
კვლევა	<ul style="list-style-type: none"> <li>სტუდენტების კონსულტირება;</li> <li>სტუდენტებისთვის კვლევის ხელმძღვანელი პირების შერჩევა;</li> <li>სკოლების კონსულტირება;</li> <li>სტუდენტებისთვის საჭირო ლიტერატურის მოძიებაში დახმარების განევა;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>სკოლებში ვიზიტების განხორციელება;</li> <li>სკოლებში მკვლევართა ჯგუფის ჩამოყალიბება;</li> <li>საკვლევ თემაზე შეთანხმება სკოლის წარმომადგენლებთან;</li> <li>საკითხის შესწავლა კვლევის ინსტრუმენტების გამოყენებით;</li> <li>თემასთან დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვა;</li> <li>კვლევის ანგარიშის მომზადება;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>სტუდენტების და მასწავლებლების შეხვედრების ორგანიზება;</li> <li>მასწავლებელთა ნახალისება კვლევაში მონაწილეობაზე;</li> <li>საკვლევ თემაზე შეთანხმება სტუდენტებთან;</li> </ul>

	უნივერსიტატი	სტუდენტები	სკოლა
ნარდგენა	<ul style="list-style-type: none"> <li>• კვლევის შედეგების საზოგადოებისათვის გაცნობისთვის პირობების შექმნა;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კვლევის ანგარიშის მომზადება;</li> <li>• კვლევის პრეზენტაციის მომზადება და აუდიტორიისთვის წარდგენა;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კვლევის პრეზენტაციაზე დასწრება;</li> </ul>
შეფასება	<ul style="list-style-type: none"> <li>• სტუდენტთა შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად;</li> <li>• სკოლებისთვის სტუდენტთა მუშაობის შეფასების ფორმის შემუშავება;</li> <li>• სტუდენტთა თვითშეფასების ფორმის შემუშავება;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• განხორციელებული კვლევის თვითშეფასება უნივერსიტეტის მიერ მოზადებული თვითშეფასების ფორმის შესაბამისად;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სტუდენტთა მიერ განხორციელებული საქმიანობის შეფასება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული ფორმის შესაბამისად;</li> </ul>

**დაგეგმვის ეტაპზე** მნიშვნელოვანია უნივერსიტეტისა და სკოლის თანამშრომლობა. უნივერსიტეტის მხრიდან საჭიროა პარტნიორი საგანმანათლებლო დაწესებულებების მოძებნა და მათთან თანამშრომლობაზე შეთანხმება. სასურველია, დაწესებულებასა და უნივერსიტეტს შორის გაფორმდეს თანამშრომლობის მემორანდუმი. უნივერსიტეტმა ორგანიზაციას უნდა გააცნოს საკუთარი პროგრამა და ნათლად აუხსნას თანამშრომლობით მიღებული მოსალოდნელი სარგებელი. მაგალითად: სამოქმედო კვლევის ფარგლებში, უნივერსიტეტს შეუძლია სკოლას დაეხმაროს განვითარებაში. სკოლაში არსებული საკითხების კვლევაში ჩართულები არიან არა მხოლოდ სტუდენტები, არამედ პროფესორების ჯგუფიც. ეს კი სკოლის თანამშრომლებს მისცემს შესაძლებლობას, მიიღონ ცოდნა და გამოცდილება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იკვლიონ. ასევე ჩნდება სკოლაში არსებული რეალური პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობა. გარდა ამისა, სკოლა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახით, იძენს გრძელვადიან პარტნიორს მომავალი საქმიანობებისათვის.

აქვე უნდა შეთანხმდნენ იმ რისკების მართვაზე, რაც კვლევის განხორციელების დროს შეიძლება წარმოიშვას. მნიშვნელოვანია, საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციამ ხელი შეუწყოს კვლევის განხორციელებას. დაწესებულებამ შესაძლოა განსაზღვროს რამდენიმე თემა, რომლის კვლევაც შესაძლებელი იქნება და შესთავაზოს უნივერსი-

ტეტს. ეს მომავალში სტუდენტებს დაეხმარება გადაწყვეტილების მიღებაში, თუ რომელ ორგანიზაციაში განახორციელონ სამოქმედო კვლევა საკუთარი ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.


**სწავლების ეტაპზე** ძირითადი აქტორები უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები არიან. სამოქმედო კვლევის კურსი იმგვარად უნდა იყოს აგებული, რომ თეორიულ კურსთან ერთად, სტუდენტებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაც შეეძლოთ. სასურველია, კურსი ორი სემესტრის განმავლობაში მაინც გრძელდებოდეს. კურსის მიმდინარეობისას სტუდენტები შეისწავლიან კვლევის თეორიულ საფუძვლებს და მიღებულ ცოდნას კვლევის განხორციელებისას გამოიყენებენ.

სასურველია, სამოქმედო კვლევა სტუდენტთა 2-3 კაციათა ჯგუფებმა განახორციელონ. სტუდენტთა ჯგუფები განახორციელებენ სკოლაში ვიზიტებს და სკოლის თანამშრომლებთან ერთად გადაჭრიან დაწესებულების დღის წესრიგში არსებულ პრობლემას. სტუდენტთა ჯგუფების შექმნა ხელს უწყობს მათში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. გარდა ამისა, სტუდენტები ინაწილებენ განსახორციელებელ საქმიანობებს, მცირდება სკოლაში დაგეგმილი ვიზიტების გაცდენის ალბათობა, თუ რაიმე მიზეზის გამო რომელიმე სტუდენტი ვერ შეძლებს სკოლაში წასვლას, მისი ჯგუფის წევრები ენვეციან სკოლას და პროცესი არ შეფერხდება. მნიშვნელოვანია, რომ პარტნიორი სკოლები პირველსავე სემესტრში იყოს განსაზღვრული და სტუდენტებმა რამდენიმე ვიზიტი პირველი სემესტრის დასრულებამდე განახორციელონ. პირველ ვიზიტზე სტუდენტები გაეცნობიან დაწესებულების საჭიროებებს და მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით შეარჩევენ საკვლევ საკითხებს. საკვლევი საკითხის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს კვლევის განსახორციელებლად საჭირო დრო. შესაფასებელია რამდენად მოესწრება პრობლემის შესწავლა, შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა, განხორციელება და ინტერვენციის შედეგების შეფასება. სასურველია პირველი სემესტრი დაეთმოს სამოქმედო კვლევასთან დაკავშირებული თეორიული ცოდნის მიღებას და სკოლებში რამდენიმე ვიზიტის განხორციელებას. პირველი სემესტრის დასრულებამდე უნდა შეირჩეს საკვლევი თემა და ჩამოყალიბებული უნდა იყოს საკვლევი კითხვა. მეორე სემესტრიდან უნდა დაიწყოს მონაცემთა შეგროვება, მათი ანალიზი და ინტერვენციების დაგეგმვა-განხორციელება. ასევე გასათვალისწინებელია სკოლის შიდა კალენდარი. როგორც წესი, სასწავლო წლის დასასრული საკმაოდ დატვირთულია სკოლის თანამშრომლებისთვის. მასწავლებლები და ადმინისტრაციის თანამშრომლები

ველარ ახერხებენ კვლევაში აქტიურად მონაწილეობას, რაც კვლევის დასკვნით ეტაპზე, გარკვეულ სირთულეებს და შეფერხებებს იწვევს. ამიტომ უმჯობესი იქნება ინტერვენციების დასრულება და შეფასება სკოლაში სასწავლო წლის დასრულებამდე რამდენიმე კვირით ადრე მოხდეს.

კვლევის მიმდინარეობისას მნიშვნელოვანია, რომ პერიოდულად ხდებოდეს სტუდენტების მიერ განხორციელებული საქმიანობების შეფასება. ამისათვის კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტში გაიმართება შეხვედრები სტუდენტთა სხვადასხვა ჯგუფებისა და მათი ხელმძღვანელების მონაწილეობით. შეხვედრებზე სტუდენტთა ჯგუფები წარადგენენ იმ ეტაპისთვის განხორციელებულ და სამომავლოდ დაგეგმილ საქმიანობებს. სტუდენტთა ჯგუფები ერთმანეთს გაუზიარებენ გამოცდილებას, გაეცნობიან სხვა ჯგუფების კვლევებს, გამოვლენილ მნიშვნელოვან საკითხებს, შეადარებენ საკუთარ კვლევას, მიიღებენ და გასცემენ რეკომენდაციებს. გარდა ამისა, სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ არა მხოლოდ მათი კვლევის ხელმძღვანელისგან, არამედ სხვა ჯგუფების ხელმძღვანელებისგანაც მიიღონ მითითებები და რეკომენდაციები. პროფესორ-მასწავლებლებს მსგავსი შეხვედრები საშუალებას მისცემს შეთანხმდნენ ერთსა და იმავე პრინციპებზე, ერთობლივად იმსჯელონ იმ წინააღმდეგობების დაძლევაზე, რაც კვლევის განხორციელების დროს შეიძლება წარმოიშვას.

კვლევის განხორციელების ეტაპზე ჩართულია ყველა მხარე (უნივერსიტეტი, სტუდენტთა ჯგუფი და სკოლა). სქემატურად თითოეული მხარის მონაწილეობა შეიძლება ასე გამოისახოს:



სტუდენტთა თითოეულ ჯგუფს უნდა ჰყავდეს კვლევის ხელმძღვანელი, რომელიც უშუალოდ უხელმძღვანელებს კვლევის პროცესს და დაეხმარება სტუდენტებს კვლევის მიმდინარეობისას ნამოჭრილი პრობლემების დაძლევაში. სწორედ კვლევის ხელმძღვანელთან უნდა ჰქოდეთ სტუდენტებს რეგულარული შეხვედრები. ის სტუდენტებს აძლევს უკუკავშირის განხორციელებულ და დაგეგმილ საქმიანობებზე. საჭიროების შემთხვევაში, ხელმძღვანელი შეიძლება ესტუმროს სკოლას, იმ შემთხვევაში, თუ სკოლის თანამშრომლებსა და სტუდენტებს შორის ვერ შედგა ეფექტური თანამშრომლობა და დამატებითი დახმარება საჭირო. სამოქმედო კვლევის კურსის ხელმძღვანელი სტუდენტებს ეხმარება უშუალოდ კვლევის სპეციფიკასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრაში. მაგალითად: კვლევის ინსტრუმენტების არჩევაში და თითოეული კვლევის ინსტრუმენტისათვის შერჩევის შესაბამისი ტიპის განსაზღვრაში, მონაცემთა ანალიზსა და ცვლადებს შორის კავშირების დამყარებაში. პროგრამის ხელმძღვანელი აკავშირებს სტუდენტს სკოლასთან, აწყობს ერთობლივ სემინარებს, პრეზენტაციებსა და განხილვებს.

გასათვალისწინებელია ის რისკები, რამაც კვლევის მიმდინარეობას შეიძლება ხელი შეუშალოს. კვლევა თითქმის მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეიძლება მიმდინარეობდეს, არ არის გამორიცხული, რომ სკოლაში სხვადასხვა ცვლილებამ იმოქმედოს კვლევაზე, მაგალითად შეიცვალოს სკოლის ხელმძღვანელი, ან სკოლის რომელიმე თანამშრომელმა ველარ შეძლოს კვლევაში მონაწილეობა, სტუდენტი გამოეთიშოს კვლევას. უნდა არსებობდეს რისკების შემცირებისა და დაძლევის გეგმა, რომელიც შესაძლებელს გახდის კვლევის დასრულებას. ამგვარი ცვლილებები ითხოვს სტუდენტთა ჯგუფისგან და კვლევის ხელმძღვანელისგან დამატებით ძალისხმევას. თუ სკოლას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს, შესაძლოა საჭირო გახდეს მასთან შეხვედრა, თუ მასწავლებელი გამოეთიშა კვლევას, შესაძლოა შერჩეულ თემაზე კვლევის ჩატარებით დაინტერესდეს იმავე სკოლის სხვა მასწავლებელი, ან სტუდენტმა კვლევა სხვა პარტნიორ სკოლაში გაარქილოს, ან სტუდენტთა სხვა ჯგუფს შეუერთდეს. გადანყვეტილება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის ცვლილება მოხდა სკოლაში და როდის.

**წარდგენის ეტაპზე** ხდება განხორციელებული კვლევების ფართო აუდიტორიისთვის გაცნობა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2011 წელს დანერგა სკოლებში განხორციელებული სამოქმედო კვლევების ანგარიშების საჯარო წარდგენა (რაც ამავდროულად სტუდენტების-

თვის ნაშრომების საჯარო დაცვას წარმოადგენდა). წარდგინებაზე მონვეულნი იყვნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, განათლების სამინისტროსა სხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლები, განათლების სფეროთი დაინტერესებული პირები, იმ სკოლების წარმომადგენლები, სადაც სამოქმედო კვლევები განხორციელდა, ასევე სხვა პარტნიორი სკოლები, ვისთანაც იგეგმებოდა თანამშრომლობა. ასეთი სახით კვლევის შედეგების საზოგადოებისთვის გაცნობა ხელს უწყობს კვლევაში ჩართული თითოეული მხარის პასუხისმგებლობის გაზრდას, ეს კი, თავის მხრივ, უზრუნველყოფს კვლევის ხარისხს. საჯარო წარდგინებით უნივერსიტეტს შესაძლებლობა ეძლევა ერთგვარი ანგარიში წარუდგინოს თავის პარტნიორებს, ხოლო სტუდენტებს საშუალებას აძლევს წარდგენენ პოტენციური დამსაქმებლის წინაშე.

გასათვალისწინებელია, რომ რომელიმე სკოლას, სადაც სამოქმედო კვლევა ჩატარდა, არ სურდეს იმ პრობლემების საჯაროდ განხილვა, რაც კვლევის დროს გამოიკვეთა. ამიტომ, საჯარო წარდგინებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კვლევის ეთიკის საკითხებს.

**შეფასების ეტაპი** ყველაზე რთულია. სტუდენტთა ჯგუფის მიერ კვლევის ერთობლივად ჩატარებამ შეიძლება გაართულოს მათი ინდივიდუალური შეფასება. როდესაც სტუდენტები ჯგუფებში მუშაობენ, რთულდება იმის დადგენა, თუ რა ინტენსივობით არის ჩართული თითოეული სტუდენტი კვლევის განხორციელებაში, როგორია მისი წვლილი. ამ საკითხის მოგვარება შეიძლება თუ სტუდენტები დანერგენ განხორციელებული საქმიანობის მოკლე ანგარიშს. ანგარიშში თითოეული სტუდენტი აღწერს იმ საქმიანობებს, რაც განახორციელა, ისაუბრებს იმ მნიშვნელოვან საკითხებზე რაც კვლევის განხორციელების დროს წამოიჭრა. გარდა ამისა, შეიძლება შეფასდეს სტუდენტების კვლევის ხელმძღვანელთან შეხვედრებზე დასწრება და ჯგუფური პრეზენტაცი-აში მონაწილეობა.

საბოლოო შეფასებისთვის შესაძლოა ღირებული იყოს იმ სკოლის მიერ სტუდენტის შეფასებაც, სადაც აღირიცხება სტუდენტთა სკოლაში ვიზიტების რაოდენობა, მკვლევართა ჯგუფის წევრებს შორის გადანაწილებული საქმიანობების შესრულების ხარისხი, ჯგუფში აქტიურობა და ა.შ. უნივერსიტეტმა უნდა შესთავაზოს სკოლას სტუდენტის შეფასების ფორმა, რომელიც უნდა შეავსოს სკოლის წარმომადგენელმა.

სამოქმედო კვლევის საუნივერსიტეტო პროგრამებში ინტეგრაციის ზემოაღნიშნული მოდელი არ არის ერთადერთი. შესაბამისად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია თავად შექმნას ისე-

თი კურსი, რომელიც მოერგება მათ პროგრამებს. თუმცა, არის ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ სამოქმედო კვლევის დანერგვის შემთხვევაში. აუცილებელია, მჭიდრო კავშირი უნივერსიტეტს, სტუდენტსა და სკოლას შორის კვლევის მიმდინარეობის მთელი ციკლის განმავლობაში. ეს პასუხისმგებლობა უპირველესად უნივერსიტეტის პროგრამის ხელმძღვანელსა და პროგრამის პროფესორ-მასწავლებლებს აკისრიათ.

კოჰენი ლ., ლ. მანიონი და ქ. მორისონი – კვლევის მეთოდები განათლებაში. რედ. ნინო ჩუბინიძე, მედეა კაკაჩია, მანანა დუმბაძე, ნინო მიქელაძე, ნინო ჯავახიშვილი, ანიქიტიაშვილი, მთარგმნ. ლილი კეჩუაშვილი (მეექვსე გამოცემა; 2007)  
<http://medialiteracy.ge/uploads/library/kvlevis-metodebi-ganatl bashi-luis-koheni-53.pdf> (15.10.2017)

მოსიაშვილი თ., ს. ჯანაშია, ნ. გაბრიჩიძე, ნ. ჟვანია, ნ. ფრუიძე, ე. ტატიშვილი და ნ. გულიაშვილი – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი: სახელმძღვანელო ნიგნის, სტატიის, დისერტაციის და სხვადასხვა აკადემიური ნაშრომის ავტორებისთვის (პირველი ელექტრონული გამოცემა; თბილისი; 2011)

მილსი ჯ. ი. – სამოქმედო კვლევა: სახელმძღვანელო მკვლევარ პედაგოგებისათვის (მესამე გამოცემა; პირსონ მერილ ფრენთის ჰოლი (Pearson, Merrill Prentice Hall); აფფერ სედლ რივერი, ნიუ ჯერსი კოლუმბუს, ოჰაიო (Upper Saddle River, New Jersey, Columbus, Ohio); 2007)  
<http://medialiteracy.ge/uploads/library/samoqmedo-kvleva-jefri-i-mil-si-46.pdf> (11.10.2017)

American Psychological Association (1973) Ethical Principles in the Conduct of Research with Human Subjects. Ad Hos Comittee on Ethical Standards in Psychological Research. Washington, DC: American Psychological Association.

Bell, J. (1991) Doing your Research Poject (second edition). Milton Keynes: Open University Press.

Diener, E. and Crandall, R. (1978) Ethics in Social and Behavioral Research. Chicago, IL: University of Chicago Press.

Festinger, L. and Katz, D. (1966) Research Methods in the Behavioral Sciences. New York: Holt, Rinehart & Winston.

Fine, G. A. and Sandstrom, K.L. (1988) Knowing Children: Participant Observations with Minors. Qualitative Research Methods Series 15. Beverly Hills, CA: sage.

Frankfort-Nachmias, C. and Nachmias, D. (1992) Research Methods in the Social Sciences. London: Edward Arnold.

Heron J. and Reason P. (1997) – CHAPTER 16, THE PRACTICE OF CO-OPERATIVE INQUIRY: RESEARCH WITH RATHER THAN ON PEOPLE

[http://www.peterreason.eu/Papers/Handbook\\_Co-operative\\_Inquiry.pdf](http://www.peterreason.eu/Papers/Handbook_Co-operative_Inquiry.pdf)  
(26.10.2017)

Kemmis, S. and McTaggart, R. (eds) (1981) The Action Research Planner (firs edition). Geelong, Vic.: Deakin University Press.

Mitchell, R. G. (1993) Secrecy in Fieldwork. London: Sage.

